



საქართველოს
ენციკლოპედია

ISSN 0132-1307

საქართველო სტრუქტურა

1980 1



საბჭოთა სენსიტიუიზაცია

შინაარსი

მეღწევები და კროგლეშები	2
ვიორტი მახარაშვილი — ღმინის სახე ქართულ მონუმენტურ ძანდაცევაში	8
ახალგაზრდული თეატრების ფსიქიკალი	14
ვაჟა ზრეგაძე — ქუთაისელთა ორი სპეტაკალი	17
თამაზ კილაძე — ირაკლი აბაშიძე — 70	22
ნოდარ ანდლელაძე — ძალაძი და თეატრი	24
დავით ანდრიასოვი — საზემოღმოქმო ბაჟოფანე ქართული თეატრის ღლე	36
ქეთევან კინწურაშვილი — ძიგბის ბზით	38
ზურაბ კაკაბაძე — ბელოვინების ნაწარმოების ბაბების საკითხისათვის	44
ბენდიტა იუსტინსკაია — მიტრატის ბელოვინება საქართველოში	51
ტატა თვალბრედიძე — ქართული ტელეფონიშები	55
ეთერ შვალობიშვილი — ოლეივი მიხიანი	60
ბაჟოს თეატრი თბილისში	63
ვახტანგ დავითია — თანამედროვე იაკონური არქიტექტურის ზოგბირთი ტანდენია	64
სიმონ აბო — მომზარტი მხატვრის ჩანახატები	77
ძვილი და ახალი თბილისი	78
სოსო ტორდანიია — ერთი ქართული კაფანის უმსახე	80
ვიორტი ჩაერკოვი — ბაქოვოს მონასტერი	84
თეოხაროს კესიდი — ღმინის რალიზია და რიგები	88
ლევან ფრუიძე — საბირო ნაწროვი	94
შერაბ ელიოზიშვილი — ბერძნული (პიესა)	97
ბრონიკა	111
ახალი წიგნები	117

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ქოველთვიური ჟურნალი

**თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
ძორეოგრაფია**

მთავარი რედაქტორი
თამაზ შილაძე
სარედაქციო კოლეგია:
აჟაი ბაქრაძე,
მხატვან ბერიძე,
ნოდარ ბაბუნია,
ჯუშუბი თითქარია
(კასუნიშებებელი მდივანი),
ბასილ კიწანაძე,
ნოდარ მგლოვლიშვილი,
ზურაბ ნინაძე,
ბივი ორჯონიძე,
ნათელა ურუშაძე,
რევაზ ჩხიძე,
ანდონ წულუკიძე,
ნიკო ბაგვაშაძე,
ნოდარ ჯანაბრიძე.



ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი

3. თოფურიძე.
ვ. ი. ლენინის ძეგლი კვათარაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1972 წელს მიიღო დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, რომელსაც მოჰყვა საგრძნობი გარდატეხა არა მარტო დედაქალაქის, არამედ მთელი რესპუბლიკის ცხოვრებასა და პარტიულ მუშაობაში. მართებული დასკვნების გამოტანამ ამ დადგენილებიდან, დაუღალავმა, პრინციპულმა, ნაკლოვანებებთან შეურიგებელმა მუშაობამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო, რომლის უძირითადესი მაჩვენებელია ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ფეხზე დაყენება, მომძლავრება და საკავშირო მაჩვენებლების დონემდე აყვანა.

სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ 1976 წელს კმაყოფილებით აღნიშნა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის სწორი კურსი ჩამორჩენის დასაძლევად და, მართლაც, მოხდა თითქმის შეუძლებელი, ჩატარდა ნამდვილი გრანდიოზული მუშაობა, რის შედეგადაც მივიღეთ ასეთი საამაყო მაჩვენებლები:

1972 წელს თუ რესპუბლიკა სსრ კავშირში ბოლო — მეთხუთმეტე ადგილზე იყო სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპის მიხედვით, 1978 წელს მეხუთე ადგილს მიაღწია.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის მიხედვით ჩვენს მრეწველობას ბოლოსწინა — მეთოთხმეტე

მიღწევები

და

პრობლემები

საგულისხმო წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაშიც. 1972 წელთან შედარებით გასულ წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქცია გაიზარდა ერთ-ნახევარჯერ და მეტადაც. უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენი სოფლის მშრომლები, როგორც წესი, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ თითქმის ყველა ძირითადი სახეობის პროდუქციის წარმოებისა თუ დამზადების გეგმებს.

1979 წელს არნახული მოსავალი მოიწიეს საქართველოს სახელოვანმა მეჩაიეებმა და მევენახეებმა; გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა მემარცვლეებმა, წარმატებები მოიპოვეს მებოსტნეებმა, მეციტრუსეებმა, მეიხლებმა, მეცხოველეებმა.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სპეციალური მოსალოცი წერილით აღნიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა ეს მიღწევები.

შრომითი გამარჯვებები იზეიმეს მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სხვა დარგის მუშაკებმა.

ყოველივე ამან განაპირობა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში სისტემატური გამარჯვება და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ექვსი გარდამავალი დროშის მოპოვება შვიდ წელიწადში.

ამჟამად წარმატებით ხორციელდება პარტიული მოწოდება: ხუთწლედის გეგმების შესრულება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობა ღირსეული მაჩვენებლებით შეხვდება მეათე ხუთწლედის მიზანდასახულობებს და გაანადგობს ადებულ ვალდებულებასაც.

საერთო წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის ახალგაზრდებმა, რომელთა შრომის უდიდესი დაფასება იყო საქართველოს კომკავშირის დაჯილდოება სამშობლოს უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

უკან მოხედვისა და გასული წლის შედეგების შეჯამებისას ბევრ საამაყოს, დასამახსოვრებელსა და მზრუნველედ განცდილს გავისვენებთ თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში, რომელიც ახალი აღმავლობის გზაზე დგას. მისი მიღწევები ცნობილია არა მარტო რესპუბლიკისა თუ კავშირის მასშტაბით, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მკითხველისა და მსმენელის ფართო აღიარებას იმსახურებს. ამ მხრივ განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ქართულ თეატრს, კერძოდ, შოთა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივს, რომლის ორმა სპექტაკლმა — ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარკის წრემ“ და უილიამ შექსპირის „რიჩარდ მესამემ“ — განაცვიფრა მოსკოვის, ბაქოს, ერევნის, ხოლო საზღვარგა-

ადგილი ეჭირა, 1978 წელს კი პირველ ადგილს დაუფლა. ჭეშმარიტად უდიდესი ნახტომია!

კიდევ სამი საგულისხმო მაგალითი:

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციისა და ეროვნული შემოსავლის, აგრეთვე მრეწველობისა და მშენებლობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპის მიხედვით 1972 წელს კვლავ უკანასკნელ — მეოთხთმეტე ადგილს ვტკეპნიდით, ხუთი წლის შემდეგ კი პირველი ადგილი დავიკავეთ, თანაც ყველა მაჩვენებლის შესრულებით.

ასევე პირველ ადგილზეა ჩვენი რესპუბლიკა ეროვნული შემოსავლის წარმოების ზრდის ტემპების მხრივ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

რეთ — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იუგოსლავიის, მექსიკის, დიდი ბრიტანეთის მაცურებელი, სპეციალისტები, პრესა. ინგლისის პრესამ, მაგალითად, აღიარა, რომ რუსთაველის თეატრის კოლექტივი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი თეატრის დასია.

მართალია, ჩვენი თეატრების გასტროლები საზღვარგარეთ ვერ კიდევ 1930-იანი წლების დასაწყისში დაიგემა, მაგრამ ეს სანუქვარი ოცნება მხოლოდ რუსთაველეს აუსრულდა და ისიც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ. მთავარი კი ის არის, რომ რუსთაველის თეატრის დასი ყველგან ერთნაირად აღტაცებით მიიღეს. და აი, კიდევ ერთი აღიარება: დიდი ოქტომბრის 62-ე წლისთავზე გაზეთებში გამოქვეყნდა სასიხარულო ცნობა — სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სპექტაკლ „კავკასიური ცარცის წრის“ განხორციელებისათვის 1979 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ რობერტ სტურუას (სპექტაკლის რეჟისორს), გიორგი ალექსი-მესხიშვილს (სპექტაკლის მხატვარს), რამაზ ჩხიკვაძეს (აზდაკის როლის შემსრულებელს), იზა გიგოშვილს (გრუშე ვანჩაძის როლის შემსრულებელს), გურამ სალარაძეს (ყაზბეგის, ფრეიტორისა და ბერის როლების შემსრულებელს), ჭანრი ლოლაშვილს (მთხრობელის როლის შემსრულებელს), ჯემალ დაღანიძეს (ლავერციისა და მამამთილის როლების შემსრულებელს). ამ დროისათვის „კავკასიური ცარცის წრე“ 263-ჯერ იყო დადგმული და ყოველთვის აწმლავით. სპექტაკლის ტრიუმფი მისი დადგმადან მცხუთ წელსაც წარმატებით გრძელდება, ხოლო რ. სტურუას შემდგომი ნამუშევარი „რიჩარდ III“ კიდევ ერთხელ გავრწმუნებს, რომ მისი სახით საბჭოთა თეატრს ჰყავს მეტად საინტერესო ხელოვანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე გ. მარკოვი ასეთი შეფასება აძლევს რუსთაველელთა ნამუშევარს: „ისტორიის ჭვრეტა დღევანდლობის უზიარებელიდან, შორეული ამბების ინტერპრეტაციის უზარი, დღევანდლობის დღევნობით მათი გაშუქება — ყოველივე ეს ახასიათებს თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე სპექტაკლის „კავკასიური ცარცის წრის“ დამდგმელებს. პრემია მიენიჭა კოლექტივს რეჟისორ რ. სტურუას ხელმძღვანელობით, რომელმაც მაღალი სასცენო კულტურით, აქტუალურად და თანადროულად შეასხა ხორცი ე. ბრეტის ნაწარმოებს“.

დიდი კვაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ მარჯანიშვილის თეატრის ოუბლე იქცა მთელი ქართული თეატრის, ქართული კულტურის დღესასწაულად. რესპუბლიკის თეატრალურმა საზოგადოებამ ამ რამდენიმე წლის წინ საფუძველი ჩაუყარა და უკვე

ტრადიციად იქცა მეგობრობის თეატრის სპექტაკლები. ამ ხნის მანძილზე ქართველმა მაცურებელმა გაიცნო და შეიყვარა, ხოლო რესპუბლიკის თეატრალური დაუმეგობრდნენ საბჭოთა კავშირის მრავალი თეატრის კოლექტივს. ამჟამად მეგობრობის თეატრის სპექტაკლებს ეთმობა დედაქალაქის საუკეთესო დარბაზები. სულ ახლახან მაცურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია სოკოვის ტაგანიკა და აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრების სპექტაკლებმა. მეგობრობის თეატრი ნიადგავს უპოხიერება მოძმე ხალხთა ინტერნაციონალურ აღზრდას, თეატრალური ქმნილებების ურთიერთგაცნობას, გამოცდილების გაზიარებას, თეატრალური კოლექტივებისა და თეატრმცოდნეების დამეგობრებას.

წელს პირველად ჩატარდა თბილისში ახალგაზრდული თეატრების საკავშირო ფესტივალი, რომელიც, ალბათ, ტრადიციული გახდება და მიზნად დაისახავს ახალგაზრდა მახიობების, რეჟისორების, მხატვრების, კომპოზიტორების, თეატრმცოდნეების პროფესიული კულტურის ამაღლებას, მათ დაახლოებას, რაც თავისთავად ბევრს ნიშნავს შემოქმედებითი კოლექტივისთვის. ფესტივალში მონაწილეობდნენ მოსკოვის, რიგის, ბაქოს, ერევნის, სოხუმის, თბილისის ახალგაზრდული თეატრალური მაცურებელთა თეატრები, თბილისის საომარი სტუდია, რესპუბლიკის რამდენიმე სახალხო თეატრი და სცენისმოყვარულთა დასი. ფესტივალმა, რომლის ძირითადი თემა იყო რევოლუციური წარსული, თანამედროვე ახალგაზრდების ცხოვრება, შრომა და შემოქმედება, მაღალ დონეზე ჩაიარა. შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებული წარმატება ხვდა საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრს (ერათვის კავშირში), ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატ ამირან შალიკაშვილის ხელმძღვანელობით. თეატრმა წარმოადგინა უკვე გახმაურებული სპექტაკლი — ლ. ი. პრევენეის მოგონება ნიკონის მიხედვით შექმნილი „მცირე მინა“, რომელმაც დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. აქვე გავისცინოთ ქართული პანტომიმის თეატრის დიდი წარმატება საზღვარგარეთ — საბერძნეთში, კვიპროსში, მელტაში და თურქეთში, სადაც უცხოელმა მაცურებელმა ნახა „ელექტრა“, „განათავისუფლეთ სიმღერა“ და საკონცერტო პანტომიმიური ნივთები.

მთელი ქართული საბჭოთა თეატრის ძველი და ახალი თაობების შემოქმედებითი შრომის დაფასებად წარმოვიდგებთ სოციალისტური შრომის გმირის საპტიო ნოდების მიწიჭება სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვერვიკ ანჯავაძისათვის, რომლის ცხოვრება და შემოქმედება ცოცხალი მაგალითია კეთილსინდისიერად გავლილი გრძელი და ძნელი გზის ოცინი წლებიდან დღემდე.

და კიდევ ერთი მეტად სასიამოვნო ფაქტი, რომე-

ლიც ნათლად მეტყველებს პარტიისა და ხელისუფლების ზრუნვაზე ქართული თეატრალური ხელოვნებისადმი — დედაქალაქის გლდანის რაიონში დაარსდა ახალი სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლერი პაქსაშვილი.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის დიდი შემოქმედებითი მიღწევების საყუველთაო აღიარების მოწმობაა ის ფაქტი, რომ პოეტ-კადემიკოს ირაკლი აბაშიძეს მინიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

შარშან ზეიშით აღინიშნა საბჭოთა კინოს 60 წელი და დაწესდა კინოს მუზეუმი და. მოხვიმეთა თანავარკვლავედში კვლავინდებურად ბრწყინდება კინოსტუდია „ქართული ფილმი“, რომელიც დიდ ადგილს უთმობს თანამედროვეობის თემატიკასა და პრობლემებს. ქართული ფილმების წარმატებამ ჩვენში და საზღვარგარეთ დიდი პოპულარობა მოუპოვა ქართულ კინოფილმებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა მხატვრული ფილმების — თენგიზ აბულაძის „ნატარის ხის“ საუკეთესო ქმნილება აღიარება მიეღო რიგ ფესტივალებზე და ლანა ლოლობერიძის ახალი კინოსურათის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ დაჯილდოვდა მთავარი პრიზით ჯერ აშხაბადში გამართულ საკავშირო ფესტივალზე, ხოლო შემდეგ სამ-რეგმოს XXII საერთაშორისო კინოფესტივალზე „გრან-პრის“ მოპოვება.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აგრეთვე მესამე რესპუბლიკური კინოფესტივალის ჩატარება თელავში.

ქართულ მხატვართა რიგები შეიცავს ახალი ძალებით, რომლებიც გამოირჩევიან ახლებური თვალთახედვით, თანამედროვეობის საჭირობით პრობლემების გადაწყვეტით, შესრულების თავისთავადობით. მშვენიერ ტრადიციად იქცა მხატვართა როგორც პერსონალური, ასევე კოლექტიური — საგაზაფხულო და სამშობლოდგომო გამოფენები, რომლებშიც მონაწილეობენ ყველა თაობის მხატვრები. საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეის საგამოფენო დარბაზი ამ დროს იქცევა ხოლმე ხელოვნება შეჯიბრების ასპარეზად, მათი საუკეთესო ნამუშევრების დათვალიერებად, რომელსაც უხვად ჰყავს გულშემოტივარი, გამგები და განმსჯელი.

1979 წელს ქართველმა კომპოზიტორებმა თავიანთ მორიგ ყრილობაზე შეაჯამეს ბოლო წლებში მიღწეული წარმატებები, გააანალიზეს კომპოზიტორთა კავშირის მუშაობა და დაისახეს მომავლის სამოქმედო პროგრამა. ნოემბრის მეორე ნახევარში კი ქართველი კომპოზიტორები ახალი საყურადღებო ნაწარმოებებით წარსდგნენ სსრ კავშირის კომპოზიტორთა VI ყრილობაზე. მოსკოველმა მსმენელმა და ყრილობის მონაწილე სპეციალისტებმა დიდი ინტერესი გამოი-

ჩინეს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატ გ. ყანჩელის, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატ ზ. ნასიძის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიების ლაურეატ ოთ. თავაძის-შვილის, რესპუბლიკის სახალხო არტისტ დ. თარაძის, საქართველოს სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატ ზ. ცინცაძის, საქართველოს კომპოზიტიორის პრემიის ლაურეატ ვ. აზარაშვილის, აფხაზი კომპოზიტორის რ. გუმბას, ოსი კომპოზიტორის ზ. ხაბალოვასა და სხვათა ახალი ნაწარმოებებისადმი.

ყრილობაზე დიდი ადგილი დაეთმო ქართული ესტრადის ოსტატებსაც. საკავშირო ყრილობის წინ კი თბილისის საკონცერტო დარბაზებში გაცვიანით რესპუბლიკის კომპოზიტორთა მიერ ბოლო ორ წელშიაღებული შემეხილ საუკეთესო სიმფონიურ, საგუნდო, ვოკალურ-საკრავლო, საოპერო, კამერულ ნაწარმოებებს. ამ კონცერტზე თავი ისახელა უფროსი და ახალი თაობების მრავალმა კომპოზიტორმა და შემსრულებელმა, რაც აშკარად მიგვანიშნებს თანამედროვე ქართული მუსიკალური ხელოვნების აღმავლობაზე.

შარშან საქართველოში პირველად მოეწყო ესტრადის მსახიობთა რესპუბლიკური დათვალიერება, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენი ესტრადის იდურ-მხატვრული დონის ამაღლებას და საუკეთესო ასამბლეებისა თუ შემსრულებლების გამოვლენას. საინტერესოა, რომ ეს ღონისძიებაც ტრადიციულ გახდება და სამ წელშიანაც ერთხელ მოეწყობა.

გასული წელი მიეძღვნა მსოფლიოს ბავშვებს. მათთვის სპეციალურად შეიქმნა სპექტაკლები, ფილმები, მოეწყო რამდენიმე გამოფენა, დაიწერა და გამოიცა წიგნები, ალბომები, ახალი მუსიკალური ნაწარმოებები. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თვით ბავშვების ხელოვნების გამოტანა ფართო ასპარეზზე. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ნიჭიერ ბავშვთა გამოვლენა ხელოვნების სხვადასხვა დარგში, კერძოდ კი — მხატვრობაში. მოეწყო ქართველ ბავშვთა ნახატების რამდენიმე გამოფენა, მათ შორის, თემატიკურ. ამ მოვლენას მიეძღვნა მრავალი წერილი გაზეთსა და ჟურნალში, გადაცემა ტელევიზიისა და რადიოში. ბავშვთა ნახატებს ფართო ადგილი დაუთმეს ჟურნალებმა „პიონერმა“, „დილაში“, „საუნჯემ“; „ხელოვნებამ“ გამოსცა ფერადი ალბომი „ბავშვთა მამყარი“, რომელშიც შევიდა ნორჩი ქართველი მხატვრების საუკეთესო ნახატები. აქვე მზადდება გამოსაცემად ალბომი „ლ. ო. ბრენევის „მცირე მიწა“, „ალბომიდან“ და „ყამირი“ 225 ნორჩი მხატვრის თვალით“.

კიდევ ბევრი რამ გაკეთდა სასურველი ამ ახლო ხანებში. უზრალოდ ზოგიერთი მათგანის ჩამოთვლაც კი ალკოვინარეს სასიამოვნო მოგონებას, სიამაყის გრძობას. ვაიხსენოთ, თუნდაც; შარშან ხალხური ოპერის ბრწყინვალე საღამოები (მუსიკალური თან-



ხლედეი, სიმღერებთა და ხალხური ცხოვრების სცენებით) თბილისის დარბაზებსა თუ რაიონის კულტურის სახლებში.

აღსანიშნავია შარშან გამართული დიდი სახალხო ზემიები „მოთაობა“, „ილიაობა“, „აკაკობა“, „ვაჟაობა“, „იაკობობა“, „გარეჯობა“, რომლებსაც მარტო 1979 წლის მეორე ნახევარში მიემატა „კოლხობა“; (სარფში, ხელვაჩაურის რაიონში), „ტბელობა“ (ხისხიძეში, ხულოს რიონში), ფართომასშტაბიანი „მცხეთობა“ და განანდიოზული „თბილის-ქალაქობა“, რომელშიც მთელი საქართველო ღებულობდა მონაწილეობას. ამ უკანასკნელი ღონისძიების ჩასატარებლად სპეციალურად მომზადდა რესპუბლიკის დედაქალაქი, მთელი თავისი მომხიბვლელობით აღდგა ერთ-ერთი უძველესი კოლორიტული უბანი ბართაშვილისა და პუშკინის ქუჩების შესაყარზე, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ არქიტექტორებს, მხატვარ-რესტავრატორებს, მშენებლებს... ეს არის მაგალითი სიძველეების დაცვისა და მოვლისა, რომელიც კულტურის ყველა ძეგლზე უნდა გავრცელდეს რესპუბლიკის მასშტაბით.

ქართული ხელოვნება ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის ელჩად იქცა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში — მოძმე სოციალისტური სახელმწიფო იქნება ის, თუ პაპიტალისტური. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც თითო ფაქტი გასული წლის პირველ და მეორე ნახევარში. ჯერ ერთი, უდიდესი ხე-ტყედილება მოახდინა საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის ეროვნული საგანძურის ექსპონატთა გამოფენამ შვეიცარიაში, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის მრავალმა სპეციალისტმა და ტურისტმაც ანახა. ამ ბრწყინვალე გამოფენამ, როგორც მისი მნახველები ამბობენ, ბევრი მეგობარი და ქართული ხელოვნების მოტრფიალე შევცდინა. მეორეც, გრძელდება და ახალ-ახალ ხარისხში ადის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. საარბურგენისა და თბილისის ხელოვანთა დიდი მეგობრობა, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცა ამას წინათ საარბოურკენში გამართულმა საბჭოთა საქართველოს კვირეულმა. სასიხარულოა, რომ ორი ქალაქის მეგობრობაში მესამეც — საფრანგეთის ქ. ნანტი ჩაერთო. აქვე უნდა აღვნიშნოთ ძმადნაფიცო ქალაქების—თბილისისა და ლიუბლიანის ხელოვანთა უკვე ტრადიციულ ქველღი მეგობრობას.

გასული წლის პარტიულ მუშაობაში უდიდესი მოვლენა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის დადგენილება „იდიოლოგიური, პოლიტიკური აღმშენებლობითი მუშაობის შემდგომი გარემოების შესახებ“, რომელმაც სრულიად მკაფიო და კონკრეტული მოთხოვნები წაუყენა კულტურის მუშაკებს, მათ შორის, შემოქმედებით ორგანიზაციებს. დადგენილებაში აღნიშნულია: „პარტიული ორგანიზაციების, კულტურის ორგანოების, იდიოლოგიური დაწესებულებებისა და უწყებების, შემოქმედებითი კავშირების წინაშე დასახულია ამოცანა სრულიყო მხატვრული ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა და მარქსისტულ-ლენინური განათლება. აღვნიშნავ იზრუნონ მწერალთა, მხატვართა, კომპო-

ზიტორთა, თეატრისა და კინოს მოღვაწეთა უმჯობესობითა მაღალი იდეურობის, მოქალაქეობრივობისათვის, მათი შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებისათვის. ყურადღება მიექცეოს ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი შესანიშნავი ნაწარმოებების შექმნას, რომლებიც ნიჭიერად ასახავს საბჭოთა ხალხის გმირულ მიღწევებს, სოციალისტური საზოგადოების განვითარების პრობლემებს, ლეხავარ სცემს ჩვენს იდეურ მონიანდადმდეგებს. მეტი აქტიურობა მართებთ შემოქმედებითი კავშირებს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების ტენდენციების ანალიზში, ანალიზში მათ მოთხოვნებზე, ამხანაგურ შეფასებაში, ახალგაზრდა შემოქმედი კადრების აღზრდაში; ამ პოზიციებიდან უფრო ღრმად ჩასწვდნენ თეატრების, მუსიკალური კოლექტივების საქმიანობას, სახვითი ხელოვნების, მხატვრული თვითმოქმედების მდგომარეობას, მზრუნველობა არ მოაკლონ მათს შემდგომ განვითარებას“.

როგორც ვხედავთ, ამ ვრცელ ციტატაში მოცემულია მუშაობის მთელი პროგრამა, რომელიც მოითხოვს უფო რეალიზებას, ნათქვამის საქმით განხორციელებას.

ცნობილია, რომ მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა და მისთვის მარქსისტულ-ლენინური განათლების მიცემა სკოლის მეზრიდან იწყება და უმაღლეს სასწავლებელში გრძელდება, მაგრამ არსებობს სხვა ქმედითი ფორმებიც მასობრივი პოლიტიკური სწავლების სახით პარტიული განათლების ქსელში. მაგრამ ეს ფორმები ხშირად გამოუყენებელი და ზოგჯერ უფლებბელყოფილიცაა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურის ნევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ა. ა. შვედარნაძემ საგანგებოდ გაუსვა ხაზი ამ საკითხს საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე 1979 წლის 26 ივნისს, სადაც ზემოსწვებულთა დადგენილება განიხილებოდა. აქ მან სწორედ შემოქმედებით ინტელიგენციაზე გაამახვილა ყურადღება, რომლის „ერთ ნაწილს მაინაჩა, რომ პოლიტიკური სწავლება აუცილებელია, და მისი მოწყობის ფორმებს დადებითად ახასიათებს; მეორე ნაწილის აზრით, პოლიტიკური სწავლება საჭიროა მაგრამ მისი ფორმები გასაუმჯობესებელია. დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ზოგან გაისმის ხმები, შემოქმედი მუშაკებს პოლიტიკური სწავლება სულ არ სჭირდებათო. სამწუხაროდ, ცალკეული ინტელიგენტები აღნიშნულ პრობლემას გულგრილად აციდებიან... ეს ფაქტი სერიოზულ მსჯელობას საგვად უნდა იქცეს ყოველ შემოქმედებით ორგანიზაციაში. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ხელოვანის ქმნილება არა მარტო მხატვრული ნაწარმოებია, არამედ იდეური იარაღიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ა. ბრუტენევი სკკპ XXV ყრილობაზე მკაფიოვლებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ „შემოქმედი ინტელიგენციის წრეში გაიზარდა მოთხოვნელობა ერთმანეთისა და საკუთარი შემოქმედე-

ზისადმი... რაშიც მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით შემოქმედებით კავშირებს, მათს პარტიულ ორგანიზაციებს". ეს გარემოება კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს ქართულ სინამდვილეში, ვინაიდან, ადვლბით მოვლენებთან ერთად, ზოგჯერ ტენდენციურად ფასდება ხელოვნების ესა თუ ის ნაწარმოები, რითაც გასაქანი ეძლევა იდეურ-მხატვრულად უსუსური ნაწარმოების მოძალეობას. უნდა გვახსოვდეს ამხ. ე. შვედარბანის სიტყვები: „...ლიტერატურისა და ხელოვნების წინსვლისა და განვითარების პროცესი მაინც ისე თანაბრად ვერ მიმდინარეობს, როგორც ჩვენ გვინდა. საკმაოდ ბევრია აშკარად სუსტი, ხშირად ადვილად საექვო ლიტერატურული ნაწარმოებები. სუსტია პარტიული გავლენა თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკაზე“. და — იქვე: „...საჭიროა სწორი შეფასება მივცეთ ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს, რათა უღიმღამო შაბლონმა ვერ შთანთქას ყოველივე ის ძვირფასი, რაც ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში იქნება“.

საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულ სიმფონიურ ორკესტრს, რომელსაც დირიჟორი ჯანსუღ კახიძე ხელმძღვანელობს, ევროპის მრავალ ქვეყანაში იცნობენ და აფასებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ორკესტრის კონცერტებს ჩვენში ნაკლებად ეტანება ახალგაზრდობა, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობა და მათი მასწავლებლები. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ზოგადასაგანმანათლებლო სკოლებში საკმაო პრობანდას არ უწევენ სიმფონიურ მუსიკას და ამით ძალზე აღარბობენ ახალგაზრდა თაობის სულიერ საგანძურს, აქვეითებენ მის გემოვნებას. ვინ უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი? ცხადია, სკოლამ. კომპოზიტორთა კავშირთან, სახელმწიფო კონსერვატორიასთან ერთად. საჭიროა დაისახოს განათლებისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი ქმედითი ელენისიებები.

სკკ ცენტრალური კომიტეტის აპრილის დადგენილება მოგვიწოდებს იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზღველობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად მაქსიმალური უტუგებით გამოვიყენოთ ყველა კულტურის სასახლე, კლუბი, ბიბლიოთეკა, დარბაზი, სტადიონი, სადაც განაღდება აგრეთვე კულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობა. ამ დიდი საქმის მოსავაგრებლად ცენტრალური კომიტეტი უახსენებლობას აკისრებს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს.

დადგენილების ეს მნიშვნელოვანი პუნქტი ყველგან არ სრულდება. გამონაკლისი შემთხვევები როდია გამოკეტილი კულტურის სასახლე თუ კლუბი, უკეთეს შემთხვევაში კი აქ კინოსანსების გამართვით კმაყოფილებიან; არავითარი უტუგება არ მოაქვს მრავალი სოფლისა და რაიონის ბიბლიოთეკას, სადაც ვერ იზიდავენ მკითხველებს და ეგრეთწოდებულ მკედარი სულების ხარჯზე არსებობენ. ხშირად რაიონული ბიბლიოთეკა არ მარაგდება ახალი, საინტერესო ლიტერატურით, მიმზიდველად არ ფორმდება სამკითხველო, წითელი კუთხეები, ჩაშლილია საწრეო მუშაობა, არ ვითარდება მოძრავი ბიბლიოთე-

კის სხვადასხვა ფორმა. ასეთ ვითარებაში კი წარმოდგენილია იდეოლოგიური და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესება. ერთი სიტყვით, ამ საქმეში ბევრი ფორმალზმია, მაგრამ, ზოგან, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები შერიგებული არიან ამგვარ ვითარებასთან.

საბჭოთა ხალხი სამოცამეცამედ ხვდება ახალ წელს. და ეს წელი განსაკუთრებულია. ამ წელს აღვირვინდება მეათე, საიუბილეო ხუთწლიანი; ეს წელი იქნება სკკ XXVI ყრილობისათვის აქტიური მზადების წელი. ამ წელს ვიზეიმებთ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს; აღენიშნავთ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 35-ე წლისთავს; ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში გაიმართება ოლიმპიადა — 80; ვიზეიმებთ ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მესამე და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავს.

ყოველივე ეს ქართული ხელოვნების ოსტატებს უქმნის უშარავ საზრუნავს, რომლებმაც აქედანვე უნდა დაიჭირონ თავარგი, რათა თავიანთი კალმის, ყალმის, საჭრთლის მეშვეობით შექმნან ეპოქალური ნაწარმოებები და უძღვნან ღირსშესანიშნავ მოვლენებს, მშობლიური ხალხის გიჟრულ შრომას კომუნისტების მოსახალკობლად. და ეს მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, როგორც ამბობდა ვლადიმერ შუაიკოვსკი: „რაოდენობას არ დავაკლოთ კარგი ხარისხიც“.

პარტიას აქვს იმედი, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების მოვლენები არ დაზოგავენ თავიანთ ნიჭს, გამოცდილებას, ენერგიას, მხატვრულ ოსტატობას, იდეურ სიმწიფეს ქართული კულტურის ასაყვავებლად. ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ ამხ. ე. შვედარბანის სიტყვები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე: „ბრძოლაში, რომელიც ძირითადად კომუნისტური ზნეობისათვის, ადამიანისათვის ბრძოლაა, ლიტერატურა და ხელოვნება მუდამ იყო და არის მონაწილე პოზიციებზე, მოვლენების შუაგულში, და ამიტომ ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების სულ უფრო განუყოფელი, სულ უფრო ორგანული ფაქტორი ხდება. ჩვენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოვლენათაგან ველით, რომ ისინი კიდევ უფრო ღრმად ჩაწვდებიან ცხოვრებას, ჩვენი თანამედროვის ინტელექტუალურ სამყაროს“.

ეს დიდი და სამართლიანი დაფასებაა, რომელსაც ჩვენ ვიღებთ, როგორც ჩვენს სამოქმედო პროგრამას.

ლენინის სახე ქართულ მონუმენტურ ქანდაკებაში

გიორგი მასხარაშვილი

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მხატვრული სახის შექმნა მუდამ იყო მხატვართა და მოქანდაკეთა, საერთოდ ხელოვნების ყველა დარგის მოღვაწეთა შემოქმედებითი შთაგონების დაუსრუტელი წყარო, უდიდესი მასშტაბის ამოცანა, რომელსაც ისინი განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და სერიოზულობით ეკიდებიან. ამ ამოცანის ხორცშესხმაში მოქანდაკეთა ხელოვნება თავისებურად გამორჩეულია, რამდენადაც საქრთლის ოსტატებს ძალუძთ თვით მასალა და გარემო გამოიყენონ დიადი, მონუმენტური სუნთქვის ნაწარმოებების შესაქმნელად — დიდი ბელადის შთამბეჭდავი სახის გამოსაკვეთად.

ლენინის პორტრეტებს ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე ქმნიდნენ, როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი მხატვრები და მოქანდაკეები.

როგორც ცნობილია, საბჭოთა სკულპტურულ ლენინიანაში განსაკუთრებული

წვლილი აქვს მოქანდაკე ვ. ანდრეევს. მას შესაძლებლობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის სიცოცხლეშივე შეესრულებინა ჩანახატები და სკულპტურული ეტიუდები ნატურიდან.

ქართველ მოქანდაკეთაგან იაკობ ნიკოლაძე იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც თავიდანვე ღრმად დაინტერესდა ლენინის სახის შექმნით და მთელი სიცოცხლის მანძილზე — ნამუშევრიდან ნამუშევარში ისწრაფვოდა რაც შეიძლებოდა სრულყოფილად წარმოესახა იგი.

ი. ნიკოლაძეს ეკუთვნის ვ. ლენინის თხუთმეტი პორტრეტი, განხორციელებული მრგვალ ქანდაკებასა და რელიეფში. 30 წლის მანძილზე იგი ყოველ ახალ ნაწარმოებში ახალ მხატვრულ ხერხებს ეძებდა, იყენებდა სხვადასხვა მასალას.

ლენინის პირველი პორტრეტი ი. ნიკოლაძემ 1925 წელს შეასრულა თაბაშირით. ბელადი წარმოდგენილია ფრონტალურად, გულმკერდამდე, თავი ოდნავ მარცხნივ

მობრუნებული. სახის ნაკვეთი რელიეფურადა გამოკვეთილი. წინ წამოწეული შუბლი, შეკრული წარბები, ოდნავ მოხუჭული, ღრმად ჩამჯდარი თვალები დიდ მოაზროვნის წარმოგვიდგენს.

თუმცა ამ პირველ პორტრეტში მიღწეულია მსგავსება, იგრძნობა მძლავრი ინტელექტი, მაინც, შეიძლება ითქვას, ლენინის შინაგანი ბუნება ჯერ კიდევ ვერ არის სრულყოფილად გახსნილი.

1933 წელს მარმარილოსგან გამოკვეთილ პორტრეტში მოქანდაკე ძირითადად იყენებს 1925 წ. თაბაშირისა და 1926 წ. მარმარილოს ვარიანტებს და თითქმის უცვლელად იმეორებს უკანასკნელს.

ლენინის პორტრეტზე ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ი. ნიკოლაძე შეუდგა დიდი ხნის წინათ დასახული მიზნის განხორციელებას — შეექმნა ახალგაზრდა, „ისკრის“ პერიოდის ლენინის სახე (1947). ეს პორტრეტი ერთ-ერთ უბრწყინველეს ნაწარმოებად ითვლება მთელს საბჭოთა ლენინიანაში.

ოცდაათიან წლებში ლენინის პორტრეტზე მუშაობდა მოქანდაკე გიორგი სესიაშვილი. 1924 წელს ლენინის ძეგლზე გამართულ კონკურსში ამ ნამუშევარმა ჟიურის მაღალი შეფასება დაიმსახურა. თხუთმეტი წლის შემდეგ სესიაშვილი კვლავ უბრუნდება ლენინის თემას, იგი ქმნის ბელადის შთამბეჭდავ სკულპტურულ ფიგურას.

ქართველ მოქანდაკეთა მიერ დასმულ ყოველ ახალ ამოცანას ბელადის სახის შექმნაში ახალი რამ შეჰქონდა. ტრადიციულ ფიგურაში, რომელშიც ყურადღება ძირითადად გარეგნულ დინამიკასა და მოძრაობას ექცეოდა, ხან მეტი იყო შინაგანი დაძაბულობა, ხანაც სიმშვიდითა და ინტიმურობითაც კი იყო გამსჭვალული.

ქართველი მოქანდაკეები არ შემოფარგლულან მხოლოდ ლენინის პორტრეტული ბიუსტების შექმნით. ბელადის ძეგლების შექმნა მოქანდაკეების წინაშე მეტად რთულ პრობლემებს სახავდა. ლენინი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ბელადი, ტრიბუნი, მოაზროვნე და იმავე დროს ფაქიზი, გულისხმიერი აღმამანი. საჭირო იყო მონუმენტური ქანდაკების სპეციფიკური თვისებების ღრმად გააზრებაც, გარემო სივრცესთან, არქიტექტურულ ანსამბლთან, ლანდშაფტთან ქანდაკების დაკავშირება, ძეგლის სივრცობრივი აღქმის საკითხის გადაწყვეტა.

პირველსავე წლებში იქმნება ლენინის მონუმენტის ტრადიციული ტიპი, რომელიც ემყარება ლენინისათვის დამახასიათებელ



შ. მიქაბაძე
ვ. ი. ლენინის ძეგლი მხარაბეში.

ქუსტს. ბელადი გამოსახულია ხალხისაყენ მომწოდებლურად განვდინილი ხელით.

ამგვარად გამოსახა ლენინის სახე მოქანდაკე ს. ევსეევმა, ძეგლი ლენინგრადშია აღმართული. ბელადი ჯავნოსანზე დგას და



მ. ბოლქვაძე.
ვ. ი. ლენინის ძეგლი ქობულეთში.

ხალხს სიტყვით მიმართავს. რამდენადმე შეცვლილ, მაგრამ ასეთივე ტრადიციული კომპოზიციას მიმართა ჯერ ი. შადრინმა, ცოტა უფრო გვიან მ. მანიზერმა — ულიანოვსკი და ს. მერკუროვმა — ვოლგა-დონის არხზე დადგმულ ბელადის მონუმენტებში.

შადრისეული ძეგლი ზაპესში აღიმართა 1927 წელს.

ზაპესის — საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი პირველი ჰიდროელექტროსადგურის აგება საყოველთაო ელექტროფიკაციის ლენინისეული გეგმის განხორციელების დადასტურება იყო. ეს უნდა გამოეხატა ბელადის ძეგლსაც ამ ნაგებობის წინ.

მოქანდაკის წინაშე მებრუნებული ამოცანა იდგა: მონუმენტი მთიანი პეიზაჟისა და ინდუსტრიული არქიტექტურის ფონზე უნდა აღმართულიყო და, მასთანადავსებულად განსაკუთრებულ გადაწყვეტას მოითხოვდა ადგილმდებარეობის, მასშტაბის, სილუეტის, განათების შერჩევის დროს.

ძეგლი კუნძულის წინა ქიშხია გამოწვეული, გზასთან ახლოს. (ძეგლის სიმაღლე კვარცხლბეკთან ერთად 25 მეტრს უდრის). ფიგურა აღმართულია სადა კვარცხლბეკზე, რომლის დამატებითი შერჩევები სხვადასხვა ზომისაა, საფეხურების მსგავსად, და სწორედ ამის გამო კვარცხლბეკი მოხდენილად ეხამება მთიან გარემოს.

ლენინი წარმოდგენილია უქუდოდ, პიჯაკგახსნილი, ხელი ქვემოთკენ, ელექტროსადგურისაკენ აქვს განვიდილი. მთელი ფიგურა მოძრაობაშია და მძლავრი შინაგანი დაძაბულობის შთაბეჭდილებას ჰქმნის. ფიგურის სილუეტი მკაფიო და მეტყველია. იგი შორიდანვე მკვეთრად გამოიყოფა და კარგად იკითხება.

ქართველი მოქანდაკეები წლების განმავლობაში მუშაობენ ლენინის მონუმენტის შექმნაზე და თვალსაჩინო ნაწარმოებებიც შექმნეს.

ერთ-ერთ ადრინდელ მონუმენტად ითვლება მ. ჭიაურელის მიერ შექმნილი ლენინის ძეგლი, რომელიც აღმართულ იქნა 1927 წ. ქ. თბილისში ს. ორჯონიკიძის სახელობის პარკში.

ვ. თოფურაძემ და კ. მერაბიშვილმა მნიშვნელოვან ნარმატებას მიაღწიეს 1936 წელს ლენინის ძეგლზე თბილისში გამართულ კონკურსში. პირველს მეორე პრემია ხვდა, მეორეს — მესამე. მაგრამ მაშინ ძეგლები არ დადგმულა. ლენინის ძეგლთა აღმართვა შესაძლებელი გახდა დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, ჯერ ორმოცდაათიან წლებში, შემდეგ კი 60-70-იან წლებში.



ლენინის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოწამენტი 1958 წელს დაიდა ქ. ქუთაისში; სადგურის მოედანზე. მისი ავტორები არიან მოქანდაკე კ. მერაბიშვილი, არქიტექტორები გ. ცხაკაია და მ. ლომიძე. ძეგლს საფუძვლად დაედო კ. მერაბიშვილის პირველი ესკიზი, შესრულებული 1936 წელს.

სადგურის მოედნიდან იშლება ხედი ქალაქის ახალ რაიონზე. მრავალსაფეხურიანი კიბეები აერთებს ლენინის პროსპექტს სადგურის წაგრძელებულ მოედანთან, რომელიც კიბეებისაკენ დაქანებულია, მონუმენტი ამართულია კიბეებთან ახლოს, ფართო და გრძელი პროსპექტის დასაწყისში. კვარცხლბეკი სადაა, ოთხკუთხედი, ზემოთკენ ოდნავ დავიწროვებულია. იგი აგებულია ერთი ზომის ტრანზიტის თლილი ფილევისაგან. კარგადაა მოძებნილი როგორც ფიგურისა და კვარცხლბეკის პროპორციები, ისე მონუმენტის მასშტაბი და მისი შეხამება მოედნის ზომებთან. ფიგურის მოძრაობა გადმოცემულია მტკიცე ნაბიჯით, სიმძიმე გადატანილია მარჯვენა ფეხზე, ლენინს თავი მაღლა აქვს აწეული, ზურა მიმართულია შორს, სივრცეში. მარჯვენა ხელი ტრადიციულად წინ განვიდოდა კი არ არის, არამედ ქვემოთაა დაწეული, ამ ხელში ლენინს ქუდი უჭირავს, მიუხედავად შეკავებული მოძრაობისა, იგრძნობა შინაგანი ძალა, მოძრაობას ხაზს უსვამს ტანსაცმლის ნაკეცების განლაგება. სილუეტი მთლიანია, პლასტიკური.

კ. მერაბიშვილი ავტორია ვ. ი. ლენინის კიდევ რამდენიმე ძეგლისა: თეთრწყაროში (1960 წ. არქ. მ. შვიშვილი), ბორჯომში (1959 წ. არქ. გ. ჩიკოაძე).

ქ. მახარაძეში ლენინის ძეგლის ავტორები არიან მოქანდაკე შ. მიქაბაძე და არქიტექტორი ალ. საბაშვილი. ძეგლი აღმართულია ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, რომელსაც სხვადასხვა კუთხიდან რამდენიმე ქუჩა ერწყმის. ცენტრალური ქუჩა, რომლის პირდაპირადაც აღმართულია ძეგლი, დაქანებულია სადგურისაკენ, ძეგლს უკან სკვერია გაშენებული. ფიგურა ქალაქის ერთ-ერთ მაღალ ადგილას დგას და მოჩანს ქალაქის შორეული ადგილებიდანაც. ხედვის საინტერესო წერტილია ლენინის ქუჩის ბოლო. აქედან ამავალი მასურების წინაშე ჯერ მარტო ფიგურა გამოჩნდება, შემდეგ კი მონუმენტი თანდათან იხსნება, მთლიანად კვარცხლბეკიანად. სანამ მოედანი, ახალი გეგმის მიხედვით, შენობებით შეივსებოდა, ძეგლი ცის ფონზე იკითხება როგორც მთავარი ქუჩიდან, ისე მოედნის სხვა წერტილებიდანაც. მხოლოდ მოედნის განაშენიანების დამთავრების შემ-

დე წარმოგიდგება იგი მოედნისკენ ერთიანებულ ბირთვად, მის ნამდვილ დროსადაა ნაჩვენებ. ძეგლი მოთავსებულია მოედნის სიღრმეში ისე, რომ მთავარი ხედვის წერტილები წინიდან და გვერდებიდანაა.

ლენინი მოძრაობით მიმართულია წინისაკენ, მოედანზე მყოფი მასურებლებსა კენ. მისი პალტო ფართოდაა გახსნილი, მარჯვენა ხელში უჭირავს ქუდი, სხეულის სიმძიმე დაყრდნობილია წინ გადადგმულ მარჯვენა ფეხზე. ტანის მოძრაობა და დინამიკა შეეფარდება სახის ენერგიულ გამომეტყველებას. მოქანდაკემ მიაღწია ცის ფონზე ბრინჯაოს ფიგურის სილუეტის მთლიანობას, უძელო გადმოცემა რეკლუციის ბეჭადის, ტრიბუნის სახე.

შ. მიქაბაძე შემდგომ წლებში მრავალჯერ დაუბრუნდა ლენინის თემს, იგი ავტორია ძეგლებისა ქ. ნიკოლაეში და ქ. ვიბორგში. ამ რამდენიმე წლის წინათ კი აღიზარა შ. მიქაბაძის მიერ (არქ. გ. ჯაბუასთან ერთად) განხორციელებული ძეგლები თელავსა და ხაშურში.

მოქანდაკეებს — თ. ასათიანს, ა. გორგაძეს და არქიტექტორ შ. ცინცაბაძეს ეკუთვნით 1957 წ. ქალაქ სოხუმში ქალაქის ცენტრალურ მოედანზე აღმართული ლენინის ძეგლი. მოედნის ნაწილი სკვერს უჭირავს, რომლის პირდაპირ, ჩრდილო-დასავლეთის მხარეს დგას ორი ერთმიმორესგან დაშორებული ადმინისტრაციული შენობა. ძეგლი აღმართულია სწორად ამ ინტერვალში, შენობებზე ოდნავ წინ. მის უკან მწვანე ნარგავებია. მოედანზე, ძეგლის პირდაპირ, სკვერს ორ ნაწილად ჰკვეთს ორახელაშვილის ქუჩა. ძეგლის წინ გამავალ ქუჩაზე დღესასწაულების დროს მარჯვნიდან მოედნიდან დემონსტრანტთა კოლონები. ლენინი ისეთ პოზაშია გამოსახული, თითქოს დემონსტრანტებს ეგებებოდეს. კვარცხლბეკის გარშემო გაკეთებულია ტრიბუნა, რომელიც შერწყმულია ძეგლთან და მის ნაწილს წარმოადგენს.

მონუმენტი იკითხება მოედნისაკენ მიმავალი ყველა ქუჩიდან. ორახელაშვილის ქუჩიდან ძეგლი ფრონტალურად ჩანს. ფიგურის მოძრაობა და პოზა თავისუფალია, მსუბუქი. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ადამიანი მოძრაობდა, უეცრად შეჩერდა და ოდნავ მიბრუნდა მარცხნისაკენ, საიდანაც დემონსტრანტთა კოლონა მიემართება. მარჯვენა ფეხზე გადმოტანილი სიმძიმე ქმნის პოსტამენტის და ფიგურის ერთიანობის შთაბეჭდილებას. ფიგურისა და პოსტამენტის მარჯვენა ნაწილი ერთიან ვერტიკალურ იკითხება, რომელიც იკვეთება ხელის პორიზონტალური ხაზით.

ხელის ფესტი და თავის მოზრუნება მარცხნივ ქმნის ერთგვარ კონტრასტს მოძრაობაში. ბელადი მიმართავს ხალხს. სახის გამომეტყველება შთაბეჭდილ ორატორს წარმოგიდგენს, ქანდაკება მოკლებულია იმ სწრაფ, ექსპრესულ მოძრაობას, რომელიც ახასიათებს ლენინის ძეგლთა უმეტესობას. აქ იგი უფრო უბრალო, უშუალოა, ახლოსაა ხალხთან, მათთან ერთად მოქმედებს.

ლენინის სახის შექმნაში ქართველ მოქანდაკეთა შორის თვალსაჩინო ღვაწლი აქვს ვ. თოფურიძეს, რომელმაც რამდენიმე მონუმენტი შექმნა: პირველად 1936 წელს, შემდეგ 1937 წელს. ახალი ვარიანტი—მარ-მარილოსი, — ნატურალური ზომისა, ორმოცდაათიან წლებში, კიდევ ერთი — ჭიათურისათვის და კვლავ ახალი—1953 წელს, ლენინგრადის იუბილესთან დაკავშირებით. თოფურიძის ნამუშევრებში ლენინის სახე მკაფიოდაა ხორცშესხმული. მგზნებარე რევოლუციონერის, დიდი ბელადის სახეში ხაზგასმულია ხასიათის სიმტკიცე, ნებისყოფა და გაბედული შემართება. 1953 წლის ბრინჯაოს პორტრეტში სახის ზედაპირის მოდელირება ფართოა და განზოგადებული, კომპოზიცია ლაკონიურია. კვადრატულ განიხიტის ფილაზე დადგმული თავი მკვეთრადაა მარცხნივ შემობრუნებული, მოქანდაკე სახეს ძერწავს ფართოდ, ყოველგვარი დანვრლიმანების გარეშე.

ვ. თოფურიძის მიერ შესრულებული ლენინის ძეგლები სხვა რესპუბლიკებშიც დაიდგა. მოქანდაკემ მონაწილეობა მიიღო თბილისში ლენინის ძეგლზე გამართულ კონკურსში და პირველი პრემია ხვდა.

ქ. თბილისში განხორციელებული ძეგლი (არქიტექტორები: შ. ყავლაშვილი, გ. მელქაძე, გ. ზეჩინაშვილი, კ. ჩხეიძე) აღმართული ლენინის მოედნის შუაში. მოედანს ერწყმის შვიდი ქუჩა. მთავარი წერტილი, საიდანაც ძეგლის პლასტიკური ღირსებები ყველაზე მკაფიოდ მჟღავნდება — არის რუსთაველის პროსპექტიდან შემოსასვლელი.

1960 წელს თოფურიძისეული ლენინის ძეგლი დაიდგა რუსთავეში. ამავე წელს მოქანდაკემ მონაწილეობა მიიღო მოსკოვში ლენინის მოედანზე დასადგმელი ძეგლის პროექტზე გამართულ კონკურსში.

კარგადაა გააზრებული მონუმენტის ადგილი ქ. რუსთავეში (მოქანდაკეები: ვ. თოფურიძე, გ. ჯაფარიძე, არქიტექტორები ვ. ნასარიძე, ჯ. პაპიაშვილი). ძეგლი ქალაქის მთავარ მოედანზეა აღმართული. ცენტრალური მაგისტრალი — ლენინის პროსპექტი მოედანს შუაზე ჰკვეთს. ქალაქში აღმოსავ-

ლეთის მხრიდან შესულ ძეგლი მარჯვენა მხარეს წარმოუდგება, სკვერის წინა მოედნის სამხრეთ კიდეზე. ბრინჯაოს ფიგურა გრანიტის სადა პოსტამენტზე დგას.

ფიგურა მკვეთრად დინამიურია, სხეულის სიმძიმე გადატანილია წინ გადადგმულ მარჯვენა ფეხზე. იქმნება მტკიცე ნაბიჯის შთაბეჭდილება. თავი ოდნავ მარჯვნივაა მობრუნებული. პორტრეტული მსგავსება მიღწეულია ფორმლის ზოგადი დამუშავებით. ფიგურა მონოლითურია. მხრებზე წამოსხმული პალტოს ტალღისებრი ნაკეციბი ექსპრესიას მატებს ფიგურას, რომლის სილუეტი შერულია და უარესად მეტყველი.

ძეგლის პროპორციები, ფიგურის შეფარდება პოსტამენტთან, მოედნის სივრცესთან და არქიტექტურასთან კარგადაა მოქმენილი. მიუხედავად იმისა, რომ მონუმენტი მოედნის კიდეში დგას, მას დომინანტის ძალა აქვს, თანაც უზრუნველყოფილია მისი აღქმა ხედვის საუკეთესო წერტილებიდან.

1960 წელს ვ. თოფურიძემ მონაწილეობა მიიღო მოსკოვში, ლენინის მთებზე დასადგმელი ძეგლის პროექტზე გამართულ კონკურსში. მოქანდაკემ და არქიტექტორმა ვლასოვმა ძეგლის ადგილი გადაიტანეს მთავარი დეგრიდან გვერდით. თოფურიძის ეს ნამუშევარი ნათელყოფს, რომ მოქანდაკემ მას საფუძვლად დაუდო თავისი დიდი გამოცდილება. ფიგურა ბევრად უფრო მონოლითურია. სიბრტყეების დამუშავება რბილია, სილუეტი ერთიანი. ოდნავ მარჯვნივ გადადგმული ფეხი ფიგურას არ უკარგავს მდგრადობას, ხოლო თავის დამახასიათებელი მოძრაობა მატებს პორტრეტულ მსგავსებას.

ვ. თოფურიძის მიერ შესრულებული ძეგლი დაიდგა აგრეთვე ქ. კალინინგრადში, უკანასკნელ ხანებში, 1972 წელს — ქ. სილნალში და 1978 წელს ქ. ჭიათურაში. ამ ძეგლებზე მუშაობისას მასთან ერთად თანამშრომლობდა არქ. კ. ჩხეიძე.

ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ლენინის მრავალი ძეგლი აღმართა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, რიონულ ცენტრებში, სოფლებში. ისინი დაიდგა მთავარ მოედნებზე, მაგისტრალებზე, პარკებში, სკვერებში, დიდ სანარმოთა წინ, სკოლების ეზოებში. ეს გახლავთ როგორც ფიგურები — მონუმენტები, ისე ბიუსტები. ძეგლების ავტორები არიან ქართველ მოქანდაკეთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი მოქანდაკეები და არქიტექტორები, რომლებიც ძეგლის პლასტიკურ გადაწყვეტას უთანხმებენ მისთვის გათვალისწინე-



თ. ლვინიაშვილი
ვ. ი. ლენინის ძეგლი ბორჯომში.

ბულ გარემოსა და ადგილს. ბელადის ძეგლი მუდამ დომინანტია, იდეური და მხატვრული ცენტრია არქიტექტურულ ანსამბლსა და ლანდშაფტში. ყოველი მოქანდაკე ინდივიდუალურად უდგება ლენინის მხატვრული სახის გახსნას, მისი შინაგანი ბუნების სიდიადის გადმოცემას. თუ ადრე, ხშირად, ბელადი წარმოდგენილი იყო როგორც მგზნებარე ორატორი, ტრიბუნი, მისთვის დამახასიათებელი ხელის მოძრაობითა და ფესტიკულაციით, უკანასკნელი პერიოდის ნამუშევრებში მოქანდაკეები ცდილობენ მოქებნონ ახალი ხერხები ბელადის სახასიათო თავისებურებათა გასახსნელად. ყოველივე ეს მათ სხვადასხვა მხატვრული საშუალებებით აქვთ მიღწეული. ამ მხრივ აღსანიშნავია ძეგლები: გალში (1970 წ., მოქ. ბ. ყაზიშვილი, არქ. თ. ბა-

რათაშვილი); ქობულეთში (1970 წ., მოქ. მ. ბოლქვაძე); კასში (1972 წ., მოქ. თ. ფარულავა, არქ. ტ. ბერიძე); ლანჩხუთში (1975 წ., მოქ. დ. ურუშაძე, არქ. ს. ქუთათელაძე და თ. ლითანიშვილი); ბ. ძნელაძის სახელობის კომკავშირულ ქალაქში (1977 წ., მოქ. ლ. მხეიძე და თ. ასათიანი, არქ. ტ. ცუხიშვილი); ცხაკაიაში (1979 წ., მოქ. თ. მელიქიშვილი, არქ. ჯ. დავითაია); ბორჯომში (1977 წ. მოქ. თ. ლვინიაშვილი, არქ. კ. ნახუცრიშვილი); საინტერესოაა გადანყვეტილი ლენინის პორტრეტი თბილისის მეტროპოლიტენის სადგურ „ლენინის მოედნის“ ქვედა ვესტიბიულში (1968 წ., მოქანდაკეები. ვ. ჩხეიძე, ა. რატიანი).

ქართველ მოქანდაკეთა პროფესიული დასელოვნება მათ საშუალებას აძლევს კიდევ უფრო მაღალი ღირებულების ნაწარმოებთა შესაქმნელად საბჭოთა ლენინიანაში.



ქართული თეატრი

ახალგაზრდული თეატრების ფესტივალი

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს ინიციატივით თბილისში ჩატარდა ახალგაზრდული თეატრებისა და ახალგაზრდული სპექტაკლების საკავშირო ფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის მრავალმა ახალგაზრდულმა თეატრალურმა კოლექტივმა როგორც მომეხ რესპუბლიკებიდან, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან. თბილისის პანტომიმის სახელმწიფო თეატრმა მაცურებელს უჩვენა ლ. ი. ბრეჟნევის ნიგნის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „მცირე მიწა“. სპექტაკლი დადგა პანტომიმის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა ა. შალიკაშვილმა. რიგის მოზარდ მაცურებელთა სახელმწიფო თეატრმა თბილისში ჩამოიტანა ს. ლუნგინის და ი. რუსინოვის „ერთი თავდასხმის ისტორია“. სპექტაკლი დადგა ლატვიის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ლატვიის ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა ა. შაპირომ, მხატვრულად გააფორმა ა. ფრეიბერგმა, კომპოზიტორია მ. ბრაუნი. მეტეხის ახალგაზრდული თეატრისტულია მაცურებლის წინაშე წარსდგა დ. კლდიაშვილის პიესით „უბედურება“. სპექტაკლი დადგა მეტეხის ახალგაზრდული დრამატული თეატრ-სტუდიის მთავარმა რეჟისორმა ს. მრეველიშვილმა, მხატვრულად გააფორმა მ. ჭავჭავაძემ, კომპოზიტორია მ. მშველიძე.

ფესტივალი ათ დღეს მიმდინარეობდა. ამ ხნის მანძილზე წარმოდგენილი იყო შემდეგი სპექტაკლები:
ს. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური

დრამატული თეატრის სპექტაკლი ი. ბრანდონის „ჩარლის დეიდა“. სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა მ. გრიგორიანმა, მხატვრულად გააფორმა შ. ტერ-მინასიანმა, ქორეოგრაფია ლ. ბაბკოვა. თბილისის ახალგაზრდული კლუბ „ამირანთან“ არსებული თეატრალური კოლექტივის სპექტაკლი „აკცია-ადამიანი?!“ ინსცენირების ავტორები და დამდგმელი რეჟისორები—ა. ვარსიმაშვილი და გ. ბარაბაძე, სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა კ. ბერიანიშვილმა, მუსიკა ეკუთვნის ს. თომაძეს. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნოს სპექტაკლი მ. მრეველიშვილის „წამება დედოფლისა“. სპექტაკლი დადგა ნ. ბაგრატიონ-გრუზინსკიმ, მხატვრულად გააფორმა კ. ქორიძემ, კომპოზიტორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ე. კვერნაძე. ამავე თეატრმა მაცურებელს უჩვენა სუხოვო-კობილინის „საქმე“. სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მ. თუმანიშვილმა, მხატვრულად გააფორმა თ. ჰენემ, კომპოზიტორია დ. ტურიაშვილი, ქორეოგრაფი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. ზარეცი. ერევნის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი ვ. პეტროსიანის „უკანასკნელი მასწავლებელი“. სპექტაკლი დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სომხეთის სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა რ. კაპლანიანმა, მხატვრულად გააფორმა სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. ვარაიანიანმა, კომპოზიტორია ფ. არამიანი. იმავე თეატრმა მაცურებელს უჩვენა გ. გორინის „დაივიწყეთ ჰეროსტატე“. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ა. სანდკიანმა, მხატვრულად გააფორმა ე. საფრონოვმა, მუსიკა ეკუთვნის ფ. არამიანს. ა. გრიბოედო-

ვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის სპექტაკლი უ. შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“. სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ტოვსტონოვოვმა, რეჟისორია ლ. ჯაში, მხატვრულად გააფორმა ლ. მანთიძემ, კომპოზიტორია ტ. ჯაიანი, ქორეოგრაფი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ზარეცი. ბაქოს მოზარდ მყურებელთა სახელმწიფო თეატრის (რუსული დასი) სპექტაკლი — „მომავალი წლის უკანასკნელი ღამე“. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ა. ნეიმატოვმა, მხატვრულად გააფორმა ე. მამედოვმა. გადმოიტრფის სახელობის საავიაციო ქარხნის კლუბთან არსებული მუშათა თეატრალური კოლექტივის სპექტაკლი გ. ვიოს და ე. ენიკენის „მატყუარა“. სპექტაკლი დადგა ი. აივაზოვმა, მხატვრულად გააფორმა ვ. თაგიროვმა, სიმღერების ტექსტი და მუსიკა ეკუთვნის ზ. კვიციანიძეს. სამტრედიის რაიონის სახალხო თეატრის სპექტაკლი ლ. თაბუკაშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ტ. ხაჭალიამ, მხატვრულად გააფორმა გ. ფრანგიშვილმა, სპექტაკლისათვის მუსიკა შეარჩიეს ზ. ანდრიაძემ და ა. კარაპეტოვმა, ქორეოგრაფია გ. კეშელავა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახალხო თეატრის სპექტაკლი გ. ქავთარაძისა და რ. სტურუას „ბრალდება“. სპექტაკლი დადგა თეატრის მხატვრულმა ხელმძღვანელმა ნ. ბუცხრიკიძემ, მუსიკა-ლურად გააფორმა ჯ. სეფიაშვილმა, კონცერტმეისტერია მ. თვალჭრელიძე, რეჟისორის ასისტენტი თ. ჯაფარიძე. თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი ვ. კოროსტილიოვის „მე მჯერა შენი“. სპექტაკლი დადგა ნ. ლორთქიფანიძემ, მხატვრულად გააფორმა უ. ხუმარაშვილმა, მუსიკა შეარჩია დ. გურგენიძემ. თბილისის კავშირგაბმულობის კლუბთან არსებული ახალგაზრდული თეატრალური კოლექტივის სპექტაკლი ვ. ედლისის „იძებნენ მოწვებს“. სპექტაკლი დადგა მ. ჭავჭავაძემ, მხატვრულად გააფორმა ვ. თაგიროვმა. მეტეხის ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის სპექტაკლი სერვანტისის „მწუხარე სახის რანიდი“. ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორია ს. შრეკლიშვილი, მხატვრულად გააფორმა მ. ჭავჭავაძემ, სპექტაკლისათვის მუსიკა შეარჩია ჯ. იაშვილმა, რეჟისორის თანაშემწეა ი. აზიკური. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახალხო თეატრის სპექტაკლი ბ. სუნდუკიანის „ოსკარ პეტროვიჩი ჯოჯოხეთში“. სპექტაკლი დადგა ნ. ბუცხრიკიძემ, მეტყველების პედაგოგია ც. ჩიხლაძე, მუსიკალურად გააფორმა ჯ. სეფიაშვილმა, ი. ჭავჭავაძის ლექსებს კითხულობდნენ რ. ზარიძე და დ. გამგონიშვილი. მოსკოვის ახალგაზრდული თეატრი-სტუდია კრასნაია პრესნიაზე — ა. ალექსინის „არ გტკივა“ სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ვ. სპესივეცმა, მხატვრულად გაა-



სცენა სპექტაკლიდან „ფატიმა“ (ცხინვალის ქ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრი)



სცენა სპექტაკლიდან „არ გტკივა“ (მოსკოვის ახალგაზრდული სტუდია კრასნაია პრესნიაზე)

სცენა სპექტაკლიდან „აროღი დამწვევი მსახიობი გოთანასთვის“ (სოხუმის ქართული დრამატული თეატრი)





ფორმა ი. ლუბლინმა, კოსტიუმები ეკუთვნის ე. გაგარინას, მთავარი რეჟისორის ასისტენტია ვ. ნიკულინა. ჩოხატაურის რაიონის სახალხო თეატრი — გენაძის „შუაზე გაყოფილი ცრემლი“. სპექტაკლი დადგა ზ. ხედელიძემ, მხატვრულად გააფორმა გ. სიხარულიძემ, მუსიკა ეკუთვნის ა. ლუჩიძეს. ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრი (ოსური დასი) — კ. ხეთაგორივის „ფატმა“. სპექტაკლი დადგა რსფსრ სახალხო არტისტმა გ. ხუგაევამ, მხატვრულად გააფორმა ქელეხსავემა. თბილისის საოპერო სატუდია — პ. ჩაიკოვსკის „იოლანტა“. სპექტაკლი დადგა გ. გაჩეჩილაძემ, დირიჟორია რ. ტაკიძე, მხატვრულად გააფორმა ვ. ასკურავამ, ქორმაისტერია ა. ბეჟანიშვილი, ბალეტმეისტერი ნ. მახათელი. რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი — ლ. თაბუკაშვილის „დარაბებს მიღმა გახაფხულია“. სპექტაკლი დადგა გ. ბუკიამ, მხატვრულად გააფორმა გ. მღვებრიშვილმა, მუსიკა შეარჩია დ. ტურიაშვილმა, ტექნიკური რეჟისორია დ. პეტრიაშვილი. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი — დ. კლდიაშვილის „ბაკულას ღორები“. სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მ. თუმანიშვილმა, მხატვრულად გააფორმა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა გ. ცერაძემ, სიმღერები დაამუშავა გ. დარახველიძემ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი — ე. შვარცის „ჩვეულებრივი სასწაული“. სპექტაკლი დადგა გ. ანთაძემ და თ. ცაავამ. მხატვრულად გააფორმა გ. გეგეჭკორმა. თბილისის მოზარდ მსყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატ-

რი — ე. როსტანის „რომანტიკოსები“. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა რ. მირცხულავამ, მხატვრულად გააფორმა ნ. გაფრინდაშვილმა, კომპოზიტორია ა. ჩხაიძე. თბილისის მოზარდ მსყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრი — თ. ბიბილურის „ორი ნოველა“. სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. განწერელიამ, მხატვრულად გააფორმა მ. ჭავჭავაძემ, მუსიკა შეარჩია დ. გურგენიძემ. სოხუმის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრი — თ. ქილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“. სპექტაკლი დადგა მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა ი. კაკულიამ, მხატვრულად გააფორმა თ. ჰინიემ, გორის სახელმწიფო დრამატული თეატრი — ა. ფადევეის „ახალგაზრდა გვარდია“. სპექტაკლი დადგა ი. კაკულიამ, მხატვრულად გააფორმა შ. ხუციშვილმა.

ფესტივალი მოეწყო სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ ცხოვრებაში გატარების მიზნით. გამოვლინდა ბევრი ნიჭიერი თეატრალური კოლექტივი და ცალკეული როლის ოსტატურად შემსრულებელი მსახიობი. ფესტივალის მიზანაც სწორედ მათი გამოვლენა და ახალგაზრდობის შემოქმედებითი პოტენციალის გააქტიურება იყო.

ფესტივალში მონაწილე ახალგაზრდული შემოქმედებითი კოლექტივები დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებითა და სამახსოვრო მხატვრული ემბლემებით.

სცენა პანტომიმის თეატრის სპექტაკლიდან „მკირე მიწა“.





ქუთაისელთა ერთი სკამტაკლი

ვაჟა ბრეგვაძე

დღი დი ხანი არ არის, რაც ქუთაისის ლაღო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა თბილისში მოაწყო გასტროლები, რომელშიც ფართო საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. მაშინ, გასტროლებთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიაში თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გოგი ქავთარაძემ განაცხადა, რომ თეატრის ყველა ახალ მნიშვნელოვან ნამუშევარს იგი უეჭველად წარმოუდგენდა თბილისელ მაყურებელს. რეჟისორმა თავისი ნათქვამი გაამართლა — ერთი წლის თავზე, კვლავ რუსთაველის თეატრის სცენაზე, გასული თეატრალური სეზონის საყურადღებო ნამუშევრები — შექსპირის „კორიოლანუსი“ და გ. ბათიაშვილის „ვალი“ წარმოვიდგინა.

ქუთაისის თეატრის დირექტრესება გურამ ბათიაშვილის პიესით „ვალი“ თავისებური პასუხი იყო იმ ტრადიციას, რომელიც ამ ქალაქის თეატრალური ცხოვრების ისტორიას ახლავს.

აქ დაიღვა კ. გუცოვის „ურთელ აკოსტა“, რომელიც დღემდე ამშვენებს მარჯანიშვილის თეატრის სცენას, გ. ბაზოვის „მუნჯები აღაპარკდნენ“, რაც თავის დროზე ერთ-ერთ საინტერესო სპექტაკლად იენა აღიარებული.

ბოლო წლებში ქართველ ებრაელთა განსახლების ამბავი მოითხოვდა ამ მოვლენის თეატრალურ ასახვას, საქმის ვითარებაში ჩაძიებას, პასუხს მრავალ საჭირობოროტო კითხვებზე.

პირველი და ეპიზოდური ცდა ებრაელთა ცხოვრებაში მომხდარი ძვრების გამოხატვის მოგვცა ნოდარ დუმბაძემ რომანში „თეთრი ბაირაღები“, სადაც ნათლად გამოჩნდა კეთილი დამოკიდებულება მრავალ საუკუნეთა მანძილზე ჭირ-ვარაში ქართველებთან შეზრდილი ხალხის მიმართ. ამ რომანის ინსცენირების დროსაც შენარჩუნებული იქნა ნაწარმოების ეს საყურადღებო მონაკვეთი და ამდენად ამ მოვლენამ თეატრალური საცოცხლე შეიძინა.

დრამატურგმა გურამ ბათიაშვილმა სამგერელის ერთი სოფლის, ერთი ებრაელური კომლის მშობლიური მიწიდან აყრის ტრაგიკული სურათი მოგვცა და საღი თვალთ მოძიებული მიზეზები რეალური გარემოს მიმართებაში წარმოვიდგინა.

ქუთაისის ლაღო მესხიშვილის სახელობის თეატრმა გ. ბათიაშვილის პიესის პირველი ნათლობა ითავა, რითაც ტრადიციისადმი ერთგულება და თანამედროვე ინტერესებისადმი დროული შესვლიანების მაგალითიც გვიჩვენა. რაც არ უნდა საძნელო იყოს მიმდინარე ცხოვრების სიღრმისეული გააზრება, მა-



სცენა სპექტაკლიდან „ვალე“ დაეითი — გ. ბერძენი, ლია — ნ. სალარაძე, იოსები — ნ. მიქიაშვილი

ინც თავს იჩენს ქეშმარიტი მოვალეობა თეატრისა, რომ მისი ვალია მაყურებელს სწორი მიმართება მოუწოდოს და გააჩვიოს არსის სინამდვილეში.

გურამ ბათიაშვილმა ზუსტად ამოიკითხა მიზეზთა მიზეზი, რამ დამრა ებრაელთა ერთი ნაწილი ისრაელისაკენ, რა ძალამ მისცა მათ ესოდენი მძიმე გადაწყვეტილების საშუალება, — ებრაელთა შორის თემობრივმა კონსოლიდაციამ რელიგიური ფიციის ქვეშ. ეს ძალა აღმოჩნდა სწორედ ტრაგედული ჰოვლეუნის თავიდათავე, რომელმაც საბედისწერო ნაბიჯისკენ უბიძგა მრავალ კეთილ და გულმართალ ადამიანს.

ქუთაისის თეატრის სპექტაკლ „ვალში“ ეს აზრი წარმოდგენის დასაწყისშივე გამოტანილია უსიტყვო სცენა-მსვლელობაში, სადაც ნაბუქოდუნოსორის ცეცხლიანი მახვილებით აყრილი გაუბედურებული ხალხი მოეშურება მძიმე და გატანჯული გზით შორეულ ქვეყნებში თავშესაფარის საბოვნელად. მათ წინ მიუძღვის ბიბლიური მოხუცი თალმუდით ხელში. ამ რეტროსპექტივის რეჟისორები იქვე უპირისპირებენ დღევანდელობას და ხალხს კვლავ მიემართება უკვე განწყობილებით წელგამართული, სევდიანი იერიით, იმავე გზით, ისევე მოხუცი მიუძღვით მათ წინ თალმუდით ხელში. შეიკრა წრე, სამი ათასი წელი გამოტიანდა სცენურ ეპიზოდში.

დრამატურგის წარმატების ერთ-ერთ განსაზღვრულ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ მისი ჩანაფიქრის სიზუსტე. მან ლტოლვილ ებრაელთა სამოქმედო ასპარეზად სოფელი აირჩია, სადაც უფრო მძაფრად აღიქმება და შეიგრძნობა მიწის სურნელი, საკუთარ კე-

რისთან დაშორების სიმძიმეილი და სულიერი მღვლევალება. აქ ყველა ხე, ბუჩქი, ვენახი, ბილიკი, წყარო იმდენად შესისხლბორცებულია თითოეული მათგანის სამყაროსთან, რომ განუყოფელ ნაწილად ქვეულა — წარსულიც მათთანაა გადაქდობილი, აწმყოც და მომავლის იმედებიც. ეს ხაზი გამჭოლ ზოლად გასდევს მთელ სპექტაკლს, იგი თითქოს ელევგოურიც, ზედმეტად სევდიანიც, ცრემლნარევიც, გრძნობამოჭარბებულიც, მაგრამ სპექტაკლის აეტორების ღირსებად უნდა მივიჩნიოთ, რომ არამც და არამც ასეთ პირობაში მოტანილი სიტუაცია არ ვადადის სენტიმენტალიზმში. აქ ყველაფერს საღი დრამატიზმის მაიციხლებელი ძალა ახლავს, რაც ისტატურადაა გადაქდობილი ყოფით კომედიურ ელემენტებთან, სახიერ კოლორიტთან.

პიესა ორმოქმედებიანია. პირველ ნაწილში მოქმედება საქართველოში მიდინარეობს, მეორეს კი ისრაელში გადაყვავართ. ეს საკმაოდ რთული მომენტი სცენოგრაფიაში კარგად აისახა. რეჟისორებმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა გოგი ქავთარაძემ და მანანა იმედაძემ შექმნეს ღრმად დამფიქრებელი, ამაღლებელი, მრავალმხრივ საინტერესო სპექტაკლი, რომელშიც განწყობილებათა მონაცვლეობა, რიტმი, მასობრივი სცენები, კოლორიტი, იმდენად ზომიერადაა ერთმანეთში შერწყმული, რომ ყველა ეს კომპონენტი ერთ მიზანს ემსახურება — აზრის წარმოჩინებას, სათქმელის ძალდაუტანებლად და, ამავე დროს, სახიერად მოტანას.

რეჟისორების მახვილგანიერული მიგნებაა

წამყვანის (მსახიობი მ. სამანიშვილი) ჩართვა სპექტაკლში, რომელიც მთელი მოქმედების მანძილზე კითხულობს ცალკეულ სტროფებს „ვეფხისტყაოსნიდან“. ამ შემთხვევაში თითქოს ბრეტისეულ განსხვავებასთანაც ვეაქვს საქმე. და, ამავ დროს, იგი ღრმად ეროვნულ-ლიტა. სახიერია მასობრივი სცენები პირველ და მეორე მოქმედებაში, როდესაც ნათესავეები და ნაცნობ-მეგობრები ისრაელში აცილებენ დათიკო მეგრელიშვილს; ფულის შეგროვებისა და ჯვრის მონასტრის სცენები. აქ უმრავლესობა უსიტყუო პერსონაჟია, ზოგიერთ მათგანს მხოლოდ თითო ფრაზა აქვს სათქმელი, მაგრამ როგორც ზუსტი ხასიათები გამოკვეთილი.. თინათინ ლენიაშვილი, ლამარა ვაშაყიძე, ნესტან კვიციანი, დავით დვალაშვილი, ანზორ ხერხაძე, ერეკლე სეზაძე, მიხეილ სვანიძე, ზურაბ ცირაშვილი, ვაჟა ოყერეშიძე, ალექო ტროტაძე, გიგო ცაგარეიძე და სხვ. უაღრესად კოლორიტულ, მკვეთრი ინდივიდუალობით აღბეჭდილ სახეებს ქმნიან.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ დ. დვალაშვილი გაცილების სცენაში. ზუსტად ნიკელეული გარეგნული მონახაზი — დამახასიათებელი მოძრაობა, გამომეტყველება, ყვეთელი მისიური, ველისიბედი ყვავილით და ბოლის ნიუანსებით გამდიდრებული „ცეცხლოვანი“ ცეკვა ქმნის დასრულებულ პორტრეტს.

ასეთივე შთაბეჭედავი გ. კაკაურიძის დაბნეული, ექსცენტრული პერსონაჟი, რომელ-

საც რამდენიმე გავლა აქვს პერონზე და თავისი „გმირის“ გამოსაკვეთად საჭირო ფერების მსახიობს ისეთი სიზუსტითა აქვს მოძებნილი, რომ სცენური დროის ორიოდვე წუთიც კი საკმარისი გამოიღვა მსაყურებელზე ზემოქმედებისათვის.

რეჟისორებმა სპექტაკლის ყველაზე ტრაგიკულ სცენაში, გაცილების სცენაში, მოახერხეს მონაცვლეობით ისეთი განწყობილებების შეტანა, რაც მოითხოვდა ზედმიწევნით სიზუსტეს, ემოფინებას და ტაქტს, რათა მზიარული ინტონაციები ორგანულად შეთავსებოდა სევდიან და დამძიმებულ სიტუაციას. აქ გამოჩნდა მათი უნარი და ისტატობა. სპექტაკლში ძირითადი აქცენტი, სათქმელის მთელი სიმძიმე გადატანილია დათიკო მეგრელიშვილზე. ამ სახეში თავს იყრის ის დიდი კონფლიქტური ბრძოლა, რამუდაც აგებულია თვით ნაწარმოები. მსახიობი გივი ბერძენი უბრალოდ, უბრუნებელი, შინაგანი სიმართლით, პიროვნული კეთილშობილებით, მიყვება ამ სახეს, მის ნიჭურ წარმოთქმული თითოეული სიტყვა განცდილია ბოლომდე და ამდენად, დამაჯერებელი. მისი გმირი დატვირთულია შიდა მონოლოგების სიმრავლით, არ არის წუთი სცენურ დროში, როცა ის განდგომილია თავის ფიქრთან, საერთო საზრუნავთან, თანამოქმედთა ტყვილებთან. თუ პირველ მოქმედებაში მისი გმირი დინებასა დამორჩილებული და სახედისწერო მოვლენების ტყვეობაშია, მეორე მოქმედებაში, როდესაც გამოჩნდება სანუკვარი მიზანი საქართველოსთან კვლავ დაახლოებისა, ადგილი გვაქვს ხასიათის მეტამორფოზსთან. აქ მსახიობი მეორე სუნთქვას იძენს, იგი მთლიანად იხსნება; შეკავებული ემოციით, შინაგანი სიხარულით, ზეაღმატრებით, პიროვნული სიამაყით წარმართავს მოქმედებას.

მიზანი კი მართლაც სანუკვარი გაუჩნდა ქართულ ებრაელთა სათემოს. შორს, იერუსალიმში ჯვრის მონასტრისა და რუსთაველის საფლავის გამოხსნა. შესანიშნავადა დაწერილი დრამატურგის მიერ დათიკო მეგრელიშვილის მონოლოგი ჯვრის მონასტრისა, რომელსაც ასევე შესანიშნავად, დიდი შინაგანი სითბოთი, სიღრმითა და განსაკუთრებული სულიერი გამოწვავებით ასრულებს გ. ბერძენი: „რამ მომიყვანა მე, ებრაელი დათიკო მეგრელიშვილი, შენთან, ქრისტიანულ მონასტრთან. მე არც ჯვარი მიყვარს თქვენი და არც რჯული, რჯულიც ჩემი მაქვს და ცნებაც. ნურც აწი მომიშლოს ღმერთმა, მაგრამ კიდევ ერთი რჯული ყოფილა ქვეყანაზე — სიყ-

სცენა სპექტაკლიდან „ვალი“. დავითი — გ. ბერძენი



ვარულის რჯული. ეგ სიყვარული შენმა ხალხმაც იცის და ჩემმაც.

მოვედი, მაგვრა უზოში არ შემოვალ მანამ, სანამ ტყვეობიდან არ დაგისხნი, მანამ, სანამ შენ არ გახდები ჩვენი, არ გახდები ქართველების, ჩვენი სოფელივით კეთილი და ლამაზო შენა!

ეს რა კარგი აუშენებიახარ იმ ცხოვრებულებს, იმათ...

ასე შორს რამ წამოგიყვანა შენ, დიღო ადამიანო... ეს დღეც იცოდი?! იცოდი, რომ არც აქ დაიკარგებოდი? შენმა საფლავმა გაგვეართიანოს კიდევ უფრო, შენმა სულმა შეგვეაერთოს, თორემ ვერ ძლებს გული...“

ამ მონოლოგში გამჟღავნებულია საუკუნოვანი მეგობრობის ღრმა ფესვების სიმდიერე, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს და ეს მომენტი ხაზგასმული გულის-სხმიერებითა აქვს გამოყოფილი მსახიობს. მის მიერ წარმოთქმული თითოეული ფრაზა თითქოს არის დიალოგის ნაწილი მაყურებელსა და რაბათთან, რომელიც გარინდული, სუნთქვაშეწყვეტილი უსმენს დათიყო მეგრელი-შვილს სულიერ ღადაისს და იქმნება თეატრალური ცხოვრების ბედნიერი წუთების საოცარი ჰარმონია.

მიზნის აღმოჩენა თავისებური ბედნიერებაა, მისკენ მიმავალი ხალხი განიცდის სიხარულს, მაგრამ დათიყო მეგრელი-შვილი ის კაცი არ არის, რომ საკუთარი პიროვნების გაორებული მდგომარეობის ანალიზი არ შეეძლოს, და ეს მთელი ძალით იჩენს თავს მის ყველაზე ახლო თანამშრომელთან დიალოგში: „არც ახლა დაიჭერებ, დანიელ, ჩვენზე უბედური ხალხი ამ ცისქვეშეთში რომ არ გაჩენილა? იქ ვიყავით და ეს მიწა გვეცხადა, აქა ვართ და ხედავ სიმღერით როგორ ვტვირთო? სულ ასე იყო ჩვენი ცხოვრება, სულ ცრემლით ვმღეროდით, მაგრამ ახლა რომ სატყევიარიც გავვიჩინა ღმერთმა! მეორე ბედის დაკარგვის სატყევიარი. ამას რალა ვუქნათ, დანიელ, ეს ტყვილი როგორ დავიამოთ? გესმის, როგორ ტირის ეს ხალხი! ყური მიუგდე, დანიელ, ამ ხალხის ცრემლიან სიმღერას, ყური მიუგდე...“

ამ სიტყვებში მთელი სიცხადით მოჩანს ქართველ ებრაელთა საერთო გულისძახილი, მათი განცდა, დამოკიდებულება, პოზიცია და ეს ძირითადი არის კარგად მოაქვს მსახიობს გ. ბერძენს.

დრამატურგის ჩანაფიქრით ლიას სახე უპირისპირდება დათიყოს. იგი დაუფიქრებლად, განუსჯელად მიჰყვება ისრაელისკენ დაძრულ

ტალღას. ლიას სახე მსახიობ ნათელა საღარაძეს კომიკურ პლანში აქვს გააზრებული, რაც როლს ამ შემთხვევაში მატებს გამომსახველობის ეფექტს და კოლორიტს, დრამატურგიული სიტუაქე მაქსიმალურად გამოუყენებია მსახიობს და თავისი ოსტატობით საინტერესო შედეგს აღწევს. „სამიში“ გზით, რომელიც დაკავშირებულია გარდასახვის სირთულესთან, როცა საჭიროა შინაგანი სიმართლის გრძობა, ზომიერება, გემოვნება და გმირის ხასიათის მთლიანობაში წარმოჩენა, აქ მხოლოდ გამოცდილება და ოსტატობა არ არის საკმარისი, უუქველად საჭიროა ნიჭი, რაც ნათელა საღარაძემ ამ სპექტაკლში საკლებით გამოავლინა.

მთელ სპექტაკლს ნათელი გვირგვინივით ადგას თავს რუსთაველის სახება, მისი სული, ძალა და ის სხივმფენი შუქი, რომელიც იმედის მატარებელია და ყველა დამაშურალის შემწე და გამკითხავი. ეს ერთგვარი ჩაღტეხავი ხილია, რომელიც ყოველთვის აერთიანებს იმ ადამიანებს, ვისაც კი ერთხელ მისი პოეზიის მადლი შეხებია.

მეორე სპექტაკლად ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა შექსპირის „კორიოლანუსი“. ქართულ სცენაზე შექსპირის ამ ნაწარმოების პირველი ინტერპრეტაციები სწორედ ქუთათურები არიან, რაც ერთგვარ პასუხსმგებლობას აკისრებდა მათ და „პირველგამეღელის“ პოზიციებიდან გარკვეულ პრივილეგიებსაც ანიჭებდა.

თბილისელ მაყურებელში დღემდე არ განელეხებულა ის დიდი შთაბეჭდილება, რომე-

სცენა სპექტაკლიდან „კორიოლანუსი“. ვირჯილია — ნ. ყორეილიანი, კორიოლანუსი — ე. სვანაძე, ეოლმანია — კ. კოლიბიდელო





სენა სპექტაკლიდან „კორიოლანუსი“
კორიოლანუსი — ე. სვანაძე,
ტოლუს აფიდიუსი — ა. ტორობაძე

ლიც ამ რვა წლის წინ სახელგანთქმული „ბერლინერ ანსამბლის“ თეატრის ვასტროლებს დროს წარმოდგენილმა „კორიოლანუსმა“ მოახდინა. ალბათ ამანაც განაპირობა ის ცხოველი ინტერესი, რომელიც ქუთაისელთა სპექტაკლს წინ უსწრებდა.

გამართლა კი თეატრმა ეს მოლოდინი? გაუუწრებთ მოვლენებს და ვიტყვით — კოლექტივმა შემოგვთავაზა საინტერესო ნამუშევარი, რეჟისორული გადაწყვეტის ორიგინალური გზა, შეეცადა „გაეთანამედროვევინა“ შექსპირი, მაგრამ კარგი ჩანაფიქრის განხორციელება ბოლომდე არ არის მიყვანილი.

შექსპირის ამ ერთ-ერთ ურთულეს პიესაში პიროვნებისა და ხალხის, გმირისა და ბრბოს პრობლემას ორი მიმართება აქვს. ეს არის ტრაგედია გამოჩენილი პიროვნებისა, რომელიც ხალხს მოწყდა, და, ამავე დროს, ტრაგედია ხალხისა, რომელსაც ღირსეული ხელმძღვანელი არ ჰყავს. როგორი გადაწყვეტაც არ უნდა მოუძებნოს რეჟისორმა სპექტაკლს, იგი ვერ აცდება აღზევებულ პიროვნებისა და უმადური ბრბოს შეპირისპირების სიმწვავის წინა პლანზე წამოწევას. კორიოლანუსი პიროვნული მშვენიერებით უნდა იყოს აღსავსე, ხოლო მოქალაქენი სოფიტიაკაში გაწვრთნილი და ცვალებადი ემოციით

„შეიარაღებულნი“. ეს მეორე ხაზი რეჟისორმა გ. ქავთარაძემ ორიგინალურად გადასჭრა, მოახდინა მისი ორგანიზაცია ნიღბების საშუალებით, რომელშიც შიში, მწუხარება, სიხარული, ირონია ორგანულად ჩართო და დაუკავშირა მოქმედების მსვლელობას. პირველი და, ჩვენი აზრით, ყველაზე მთავარი მოტივი ტრაგედიის სპექტაკლში ვერ აღსახა ჩანაფიქრის სიძლიერით. ბრბოსთან დაპირისპირებული მონოლითური ძალა ვერ გამოიკვეთა იმ მასშტაბებით, რომელიც გააპრობლებდა მასის ერთიანი სახით წარმოდგენილ შთაბეჭდვად ამა თუ იმ ემოციას.

შექსპირი პოეტია, ვისაც კი ეს ჭეშმარიტება ოდნე მაინც დაევიწყებდა, სახედისწერო აღმოჩნდება მისთვის. მისი სიტყვის ძალა, მეტაფორული და სახიერი აზროვნების კასკადები მოითხოვს ფრაზის განსაკუთრებულ მუსიკალურობას, თითოეულ სტროფში უმთავრესი სიტყვის გამოყოფას ლოგიკური მახვილით. გამოსახვის ეს საშუალებანი, პირველი და აუცილებელი პირობაა, ამ სპექტაკლში მინიმალურადაც კი არ არის მიღწეული. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სპექტაკლს სჭირდებოდა მეტი შრომა ამ მიმართებით. დარღვეულია ინტონაციური მთლიანობა, ხელოვნური რიტმი ფრაზების სწრაფ წარმოთქმას იწვევს, რაც მაყურებელთა დარბაზს უკარგავს შექსპირის ტექსტთან მომდინარე საამოვნებას, ამასთანავე, წყვეტილს ხდის და აქუცმაცებს შინაარსობრივ მთლიანობას. რაც შეეხება რეჟისორული ჩანაფიქრის ტექსტზე დაფუძნებულ აქცენტებებს, ეს მომენტი სრულიად გამოირცხვლია.

საგასტროლო სპექტაკლში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ფორმისეულმა ძიებებმა, გარეგნულმა ორგანიზაციამ, მიზანსცენათა სახიერებამ, რაც კვლავ მიგვიანშენებს პირველი ჩანაფიქრის სერიოზულ განაცხადზე.

ტრაგედიის ცენტრალური გმირია თვით კორიოლანუსი. ამ სახის სწორად გასახაზე არსებითადა დამოკიდებული სპექტაკლის წარმატება, მაგრამ, სამწუხაროდ, მსახიობმა ე. სვანაძემ თითო ვერ გაართვა მის წინაშე წამოჭრილი სიუჟეტის სერიოზული, თითქმის ნახევარზე მეტი სათქმელი მან მაყურებელამდე ვერ მიიტანა სრული ძალით, რამაც უემპირიის გრძნობა დაბადა. კორიოლანუსის გზა სპექტაკლში სხვადასხვაგვარი დაბრკოლებების გავლითაა მონიშნული, მაგრამ მსახიობმა

სტატიურობას თავი ვერ დააღწია, რითაც თავისი გმირის სისხლსავე ცხოვრება შინაგანად მოდუნებული ნერვით, თუმცა გარეგნულად ყალბი აღზევებით წარიმართა.


ფინალურ სცენაში რეჟისორმა ავტორის საპირისპიროდ გულსაკლავი სიტყვებით დაამთავრა სპექტაკლი:

„იღონეთ რამე, თუნდ სამიში წამლით უწამლეთ ბედარულ ქვეყანას, სასიკვდილოდ ისევ განწირულს. ამოაგლიჯეთ ენა იგი მრავალხმიანი, რაიც ტპბილს საზრდოს ღოკავს ვითომ, და შაპს კი ჰყლაპავს. თქვენმა მეფომა უგუნურად და დამცირ-კინებამ ლამის მიწასთან გაასწოროს ეს სახელმწიფო; ბოროტმა შეგკრათ, უძლურნი ხართ კეთილის კმისთვის“.

ამ შემთხვევაში ჩაწერილი ტექსტი ე. სვანძის მიერ საოცრად კარგად ისმოდა მთელი თავისი სიკეთით, განწყობილებით; რაინდული კეთილშობილებით, მაგრამ თვით ამ ტექსტის აქ მოტანა ხელოვნურად, მოუშვებლად, უადგილოდ გაისმა.

მთელ სპექტაკლში თითქმის არცერთი სახე არ არის სრულყოფილად მოტანილი: ყველა მსახიობი თავის სახესთან მიმართებაში ჩანასახის სტადიაშია წარმოდგენილი; მხოლოდ ერთი სცენა შეიძლება გავიხსენოთ ვოლსკე-ვის ბანაკში. მენენიუს აგრიბა — დ. დვალისმ-ვილი ნაწილობრივ მიუახლოვდა სასურველ შედეგს, მაგრამ ისიც მხოლოდ ერთადერთ სცენაში. ეს კი ზღვაში წვეთად მოჩანს შექსპირისეული აზრისა და ვნებების ოკეანეში.

კვლეა „ბერლინერ ანსამბლის“ სპექტაკლს „კორიოლანუსს“ გავიხსენებთ, რომელზეც თეატრი თურმე თითქმის ორ წელიწადნახევარს მუშაობდა. როგორც ჩანს, შექსპირი დიდ შრომას მოითხოვს. რულდუნებით, იუველირის მოთმინებით უნდა ჩამოქნა ყველა წახანავი, მნიშვნელოვანი და „უმნიშვნელო“, რათა საბოლოოდ მიეღოთ სპექტაკლი, რომელიც სრულყოფილებას მიუახლოვდება. ქუთაისის თეატრმა კი რამდენიმე თვეში აშკარად ვერ შესძლო გამკალებობა იმ დიდ სირთულე-ებს, რაც თან ახლავს შექსპირის და, კერძოდ, „კორიოლანუსს“.



ყოველი ნამდვილი პოეტის იუბილე იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ კიდევ ერთხელ ვხედავთ, როგორ იზარავენ ადამიანის ფიქრი და აზრი, როგორ მალდდება ადამიანის პიროვნება დროის დინებაზე, წუთისოფელზე, ჩვეულებრივ ბიოლოგიურ არსებობაზე. კიდევ ერთხელ ვხედავთ და ვრწმუნდებით, რომ თვითეული ჩვენგანი გაცილებით უკეთესია, ვიდრე გვგონია, გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე წარმოგვიდგენია და გაცილებით მეტის ღირსია, ვიდრე მიგვჩინია. ამდენად, ყოველი ნამდვილი პოეტის იუბილე ადამიანის ღირსებათა აღლუმია, მათი გამოშ-ზეურების კიდევ ერთი ძლევაბოსილი აქტია.

ვინ ეტყვის, ვინ ჰკარგებს ტყუილს პოეტს, რომ სამოცდაათი წელი ცოტაა, მაგრამ ვერც იმას იტყვის ვინმე, თითქოს სამოცდაათი წელი წარმოადგენდეს ადამიანის ცხოვრებაში რაიმე მიჯნას, საზღვარს, კედელს, ბოლო სადგურს, განსაკუთრებით კი ისეთი პოეტისათვის, ვინც ახლა ერთ-ერთი ყველაზე აქტიური შემოქმედია, მე ვიტყვი — მოქმედი ვულკანია დღევანდელი საქართველოს დიდი მწერლობისა. ეს არის პოეტი, რომლის შთაგონებულმა ძალისხმევაებმა ამ ბოლო წლებში უნებურად გაგვახსენა ბრძენი აკაკის სიტყვები:

თითქოს ჭაბუკი ვყო მე ახლა და ვყოფილიყ მოხუცი წინადა...
დღეს პოეტი ისეთ სიმძლევზე დგას, რომ მთელი მისი ცხოვრება, მთელი მისი შემოქმედება ჩვენს თვალიდან — ფეხვიდან კენწეროდღე ვხედავთ პოეტის მიერ გავლილ გზას დასაწყისიდან დღემდე და ეს გზა გამუდმებული ძიებისა, ეჭვისა თუ იმედის, აღმოჩენებისა თუ დაკარგვის მარადიული გზაა. აკი თვითონვე თქვა: „ჯერ არ გინახავს, ჯერ არ გინახავს,

ირაკლი აბაშიძე

70

თამაზ ქილაძე

ვინც და რაც ქვეყნად შენ გიძებნიაო“. ეს არ გახლავთ უბრალო სიტყვები. ეს იმ კაცის ნათქვამია, ვისაც უგრძნვია სიმოკლე საუკუნისა და უსასრულობა წამისა, ვისაც ხელობად იმ მარადიულ გზაზე დგომა აურჩევია, ანუ ხელობა პოეტისა, ისეთივე დიდებული და წამებული, როგორც მწყემსისა თუ გუთნისდების საქმინობა.

პოეტობა წამებულთა ხელობაა-მთქი იმიტომ მოგახსენეთ, რომ აქ სული შრომობს, სულის აორტა აწვდის სისხლს შენს ოცნებასა თუ აზრს. ეს არის სულის გაყოფა, განაწილება ყველასთვის, ვინც ოცნებით უპოვარია ან სულით ღატაკია, ანუ ვისაც ყველაზე მეტად ჭირდება შეეღა ამ ქვეყნად. ჩვენი ზღაპრებიდან ისმის ასეთი ხმა: ნაილე ეს პური, გამველეხსაც აჭამე, გამომველხსაც და შინაც მთელი მოიტანეო. ეს მკაცრი, დაუნდობელი ხმაა და როგორ მოგვაგონებს ის პოეტის ხედვებს, სწორედ ასეთი სიმკაცრით რომაა განსაზღვრული: გამველხსაც უნდა გაუნაწილოს თავისი სული და გამომველხსაც და, ამავე დროს, ხელუხლებლადაც უნდა შეინახოს სიცოცხლის ბოლო წუთებამდე.

ირაკლი აბაშიძე, როგორც ჭეშმარიტი პოეტი, წარსულს ანმყოფ გარდაქმნის და ანმყოს კი მომავლის საკუთრებად აქცევს, ამის დამადასტურებელია მისი თითქმის ყველა ლირიკული შედევრი.

ირაკლი აბაშიძის პოეზია, შეიძლება ითქვას, ერთად შეკრული ფერადი ხმებია, რომელთაც „სულის წწვინი, გულის ფრიალი“ ხმებს უწოდებს პოეტი, და რომლებიც უკვე სამუდამოდ შეუერთდნენ, სამუდამოდ შეემატნენ ქართული პოეზიის დიდებულ მდინარებასა და მქუხარებას.

სულითა და გულით ვულოცავ ძვირფას პოეტს,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი ღვაწლისათვის, ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწეობისათვის დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით პოეტ ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცა **ლენინის ორდენი** და ოქროს მედალი „ნამბალი და ურო“.

უფრანლ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია და სა-რედაქციო კოლეგია, საქართველოს ყველა ხელოვნის სახელით, სულითა და გულით ულოცავენ გამოჩენილ პოეტს ამ მაღალ ჭილდოს, უსურვებენ ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

უფროს მეგობარს, სახელგანთქმულ ოსტატს ამ დიდ ჯილდოს, ამ დიდ აღიარებას, ამ დიდ სიყვარულს ხაზლისას!

რა შეიძლება ვუთხრათ დღეს მისმა მკითხველებმა, მისი პოეტური ფიქრის თანამგზავრებმა სახელოვან ოუბილარს, რომელსაც მთელი ცხოვრება სულ ბრძოლების წინა საზღვე, მენინავე სანგარში ზეზეურად სულმოუთქმელად გაუტარებია?

უპირველეს ყოვლისა, გვინდა შევახსენოთ მისივე ფრაზა: „ამაყი იყავ ახალგაზრდობითო“ დიას, ახალგაზრდობა, სიჭაბუკე მარტო ასაკობრივი ცნება არ გახლავთ, ის თვისებაცაა სულისა, ანუ გამუდმებული მზადყოფნა ცხოვრების ახალი სასწაულის, ახალი ტალღის შესახვედრად.

ისიც გვინდა ვუთხრათ პოეტს, მას შეუძლია იამაყოს იმით, რომ დღეს მისი სახელის სხენებაც კი საკმარისია, რათა თვითუღმა ჩვენგანმა წარმოიდგინოს მთელი პოეტური ქვეყანა, თავისი გეოგრაფიით, თავისი მელოდიით, თავისი ფერით, თავისი ხასიათით. და ეს მის მიერ აღმოჩენილი ქვეყანაა და პოეზიის რუკაზე ამ ქვეყანას მისი სახელი ჰქვია.

მას შეუძლია იამაყოს იმითაც, რომ დიდი განსაცდელისა თუ სიხარულის ფამს ხალხს მისი ტანკიონები გახსენებია, გამოუჩრევი და ხმამაღლა სიმღერად გაუმეორებია.

ისიც გვინდა ვუთხრათ პოეტს, რომ მის სულს, რომელიც თავისი ცხოვრების გზაზე კრავლისთვის და მრავლისთვის პურიით გაუყვია, კიდეც დიდხანს შეუძლია ასაზრდოვოს მადლიერი მკითხველი და, სწორედ ამიტომაც, კიდეც დიდხანს შეუძლია ემსახუროს თავის სამშობლოს — საქართველოს!



ჭუთაისის თეატრისა და ბალეტის თეატრის ფოიე

თითმოს არც ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ერთი კამათი და აზრთა შეხლა-შემოხლა იყო იმის თაობაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია ჭუთაისში საოპერო თეატრის გახსნა.

დღეს ჩვენ ვზეივობთ ჭუთაისის თეატრისა და ბალეტის თეატრის მეათე წლისთავს.

ქართული საოპერო თეატრის მოწინავე მოღვაწენი წარსულში არაერთგზის ცდილან წამოეყენებინათ ჭუთაისში საოპერო (ანუ ლირიკული, როგორც იტალიელები ეძახიან) თეატრის გახსნის საკითხი, სწორედ საოპერო თეატრის, რადგან ჭუთაისის დრამატულ თეატრის ტრადიციებს არ დაიწუნებდა კულტურის არც ერთი ცნობილი ცენტრი. საკმარისია გავიხსენოთ ლაო ალექსი-მესხივილი, ალექსანდრე იმედაშვილი, კოტე მარჯანიშვილი, აკაკი ვასაძე, შოთა პირველი და სხვა გამოჩენილი მსახიობები, რომ ნათელი გახდეს, თუ რა თეატრალურ ტრადიციასთან გვაქვს საქმე.

ჭუთაისში საოპერო თეატრის გახსნის ქომაგი იყვნენ ქართული მუსიკალური სცენის ავტორიტეტული მოღვაწენი ალექსანდრე წუწუნავა და დავით ანდლუქაძე.

ჭუთაისში საოპერო თეატრის შექმნის იდეა, რალა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. იგი ბუნებრივად გამომდინარეობს ისტორიული ჭუთაისის კულტურული კონტექსტიდან.

ჭუთაისი მუსიკოსების ქალაქია! მელქონ ბალანჩივაძე და ზაქარია ფალიაშვილი ჭუთაისლები არიან!

ჭუთაისი სიმღერის ქალაქია! ჭუთაისლებმა იციან და უყვართ სიმღერა, იციან თაუანთო მომღერლების ფასი.

ჭუთაისმა ქართულ საოპერო თეატრს მისცა გამოჩენილი მომღერლები — პეტრე ამირანაშვილი, დავით ბაღრიძე, ეკატერინე სო-

ხაძე, ნადედა ცომაია, ზურაბ ანჯაფარიძე, თენგიზ მუშუქიანი, მაყალა ქასრაშვილი, რომელთაც შორს გაუთქვეს სახელი მშობლიურ ქალაქსა და ქართულ სასიმღერო-სამუსიკო კულტურას.

ჭუთაისი პოეტების ქალაქია! მან აღზარდა პოეტები, რომლებმაც თავის ლექსებში ხოტბა შეასხეს მშობლიურ ჭუთაისს.

ჭუთაისში ყოველივე გამსვენულაა პოეზიითა და მუსიკით.

ჩვენს ოჯახში ინახება დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონის სურათი წარწერით: „ძვირფას ბატონო დავითს, რომელთანაც გვაკვშირებს სიმღერა. გალაკტიონი“.

პოეზია და მუსიკა ხომ განუყოფელი არიან და დიდი პოეტების მშობლებმა ქალაქმა წარმოშვა დიდი მუსიკოსები!

ჭუთაისში ქვეც ამღერებულა: „ეთერი ხილის“ განთქმული ქვეები! დააკვირდით, ცოტა ხანს შეჩერდით მათთან — ეს ხომ ბუნების პარონიაა, ფორმების, ზედაპირების ხლართი და გადამღერება, პლასტიკური სრულყოფა, ვირტუოზული სინატიფე!

ამ ლოდებს ეალერსებოდნენ, ეხვეოდნენ საუკუნეების მანძილზე რიონის მოდულუნ ტალღები „შენ რალას მეტყევი, მქუხარეო ზვიროთო რიონის? ყურს ვუვგებ ხმათა შენთა ელერებას...“

რიონის ტალღები ელამუნება აჩქელის გორას, რომელზეც ბაგრატის ტაძარი აზიდულა. ორგანის კლევიშებს მოგვაგონებ: რქიელის კიბე! თვით ბაგრატი კი ორგანია, ხუროთმოძღვრის აგებული.

ჭუთაისი მხატვართა ქალაქია! ბაგრატის ტაძარი ორგანზე შესრულებულ სიმფონიასავით აღიმება, ქვაში აღერებულა ბახის მასების ინტონაცია, ქართული საგლობლების პარმონია და რიტმი. ეს სრულყოფის ის დონეა, როცა ოსტა-

ქალაქი და თეატრი

ნოდარ ანდღულაძე

ტობა ძლევს მასალის წინააღმდეგობას, ფორმებს ანიჭებს ისეთ რიტმსა და ჰარმონიას, რომელიც თითქოს ყურითაც მოისმინება, რომელიც ამ გენიალური ქმნილების შემყურე ადამიანის შთელ არსებას გამსჭვალავს და აღფრთოვანებს.

„ბაგრატიდან“, როგორც არქიტექტურულ ექოს, ისმენ „ველათს“. გესმის „ველათის“ ზარების ვერცხლის წყარუნი, თითქოს ეპასუხებიან „ბაგრატის“ ზარების გრვეინვას. აქ, „ბაგრატზე“, შეიგრძნობ გლაკტიონის პოეტური სამყაროს რეალობას და ამ რეალობის პოეტურობას.

„ველათს“ რომ მიუხალოვდები, შორის მოსმენილი ზარების წყარუნი თანდათან, შენს წინ გაღრმავდება და გაუართოვდება, გადაიქცევა ახალ, ახლა უკვე, ველათის სიმფონიად. ხელოვანს იგი შეუქმნია სხვა ტონალობაში (ბაგრატში სხვაა), მაგრამ ისეთი ძალით გამსჭვალავს სულს, რომ სამუდამოდ თან მიგყვება ქვაზე ამოკვეთილი მზის სხივი და ჰანგები, ელერადობა, წყობა... ყოველივე მოგაგონებს მიქელანჯელოს: „ჩენის დედამიწაზე არაფერი არ არის უფრო კეთილშობილი, ვიდრე ეს ქემშარიტი მხატვრობა, დიდი შრომით მოპოვებული ეს მიწიერი სარულყოფილება. კარგი ქმნილება — სრულყოფილებას ანარეკლი — საბოლოო ანგარიშით არის პუსიკა და მელოდია, რომლის შეგრძნება კეთილშობილ სულსაც კი ძნელად შეუძლია“.

ეს ხელქმნილი ჭეის სიმფონია გარს ეხვევა ქუთაისს. ქუთაისი მუსიკაზე აღმოცენებული!

და, აი, აქ, ქუთაისში ათი წლის წინათ ყოფილი დრამატული თეატრის შენობაში გაიხსნა ოპერისა და ბალეტის თეატრი.

აქ კვლავ აუღერდა მ. ბალანჩინაძის და ზ. ფალიაშვილის მუსიკა. მუსიკა, რომელიც ჩაისხა მისი, ქუთაისის, მკვიდრთა გულში, კვლავ დაუბრუნდა ქუთაისს.

ქუთაისის საოპერო თეატრის დაარსებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეს დიმიტრი მჭედლოსს.

ღიას! სიმღერისა და პოეზიის ქალაქს აქვს თავისი საოპერო თეატრი, მუსიკისა და სიმღერის თეატრი! თეატრი ვაჟკაცდება, ძალღონეს იკრებს, მხრებს შლის და წელში იმართება. ქუთაისის თეატრმა შეისისხლობრა ქართული საოპერო თეატრის საუკეთესო ტრადიციები, იგი ავითარებს და სათუთად ინახავს ეროვნული კულტურის მემკვიდრეობას.

თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად, თეატრის ძალუბს შექმნას ძალზე მალალი დონის სპექტაკლები. დაუეწყვარია ქუთაისლების საგასტროლო წარმოდგენები თბილისის საოპერო სცენაზე.

ვოკალური ხელოვნების, საერთოდ, მუსიკალური თეატრის დიდი მკოდნე და მოყვარული სტენდალი ერთ დროს წერდა:

„ამერიკაში ზოელი დღე მოსაწყენი საქმით ხარ გართული: გულმოდგინედ ელაქუცები მედუნქნებს და ცდილობ ისე მოაჩვენო თავი, თითქოს მათსაკით ყვეყნი ყო. თანაც იქ ოპერა არ არის“.

საოპერო ხელოვნების მოყვარულებს ვურჩევთ უფრო ხშირად იარონ ქუთაისის საოპერო თეატრში. ისინი აქ მოისმენენ ისეთი დონის ვოკალურ შესრულებას, რომელიც დაამშვენებდა ნებისმიერი თეატრის სცენას.

მართლაც, ბევრი ეჭვი და მოსაზრება გამოითქვა ქუთაისში საოპერო თეატრის ბედის თაობაზე, ამ ქალაქში ამგვარი, თეატრის არსებობის შესაძლებლობასა და საქართვებზე.

დღეს თვით ამ თეატრის ათი წლის ისტორიამ, მისმა ყოველდღიურმა საქმიანობამ, მისმა შემოქმედებითმა მონაპოვებებმა გაჯანტეს ყოველგვარი ეჭვი და სექტიკოსესტის გასცეს დამაყრებელი პასუხი.

ქუთაისის ესპირობება ოპერისა და ბალეტის თეატრი. ასეთი თეატრი უნდა იზრდებოდეს და ვითარდებოდეს ქალაქის ზრდასა და განვითარებასთან ერთად. თეატრი თავისი შემოქმედებით ძიებებში უნდა ასახავდეს ქალაქის სულიერი კულტურის განვითარების ტენდენციებს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება იგი ამ ქალაქის თეატრი, ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრი. მეორე მხრივ, თვით ქალაქიც დაინტერესებულია, რომ მისი თეატრი, როგორც ქალაქის კულტურის სარკე, ქალაქის სულიერ მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა ამსახველი, მაღალ დონეზე იყოს, რადგანაც ჭირ კიდევ ჰეგელს უთქვამს: „სულის დაქინება განიზომება იმით, რითაც იგი ემაყოფილება“.

აქ უნებლიედ გავონდება მრავალმხრივ საინტერესო და ბევრის მოქმელი გამოკვლევა ხელოვნების დისციპლინიდან, რომელიც ცნობილი მკვლევარს ა. ლონტეივს ეკუთვნის: „რისთვის სჭირდება ადამიანს ეს სამყარო — ადამიანური ვნებათა დღეისა და ადამიანური სიხარულის, გმირობისა და თანაგრძნობის, ტოლსტოისა და ბეთხოვენის სამყარო? ბუნებამ, როცა ადამიანი წარმოიქმნა, რისთვის მისცა მას ადამიანობა? — გვეკითხება ა. ლონტეივი და კ. მარქსის სიტყვებით გვიპასუხებს: — „ადამიანურობის თვალსაზრისით გაცილები ტანჯვა არის ერთ-ერთი საშუალება, რომლის მეოხებითაც ადამიანი თავის „მეს აღიქვამს“. ...მხოლოდ მუსიკა უღვიძებს ადამიანს მუსიკალურ გრძნობებს... სწორედ ამიტომ საზოგადოებრივი ადამიანის გრძნობები სულ სხვაა, ვიდრე არასაზოგადოებრივი ადამიანის გრძნობები. მხოლოდ ადამიანის არსების საფუძვრივად გამოილი სიმდიდრის წყალობით ვითარდება, ზმირად კი პირველად იბადება სუბიექტური ადამიანი ური გრძნობადობის მრავალფეროვნება, მუსიკალური ყური, ფორმის სილამაზის აღქმელი თვალ... რადგან არა მარტო ზუთ გარეგან გრძნობას, არამედ ეგერეთოდებულ სულიერ გრძნობებსაც (ნებისყოფა, სიყვარული და სხვ.) — ერთი სიტყვით, ადამიანი ური გრძნობასაც, გრძნობათა ადამიანურობასაც — წარმოშობს მხოლოდ შესაბამისი საგნის არსებობა, გაადამიანი ური ბუნება...“

„...შექმნილი საზოგადოება წარმოშობს, როგორც თავის მუდმივ სინამდვილეს, ადამიანს მისი არსების მთელი ამ სიმდიდრით, წარმოშობს მრავალფეროვნებას და ყოველმხრივ, ღრმა გრძნობებისა და აღქმების მქონე ადამიანს“. (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ადრეული ნაწარმოებებიდან. მ., 1956., გვ. 592-594).

ავითარებს რა კ. მარქსის აზრს, ა. ს. ლონტეივი წერს: „გრძნობათა ადამიანურობის განვითარება ადამიანის გზა ბუნების საზოგადოებრივი სინამდვილის ყოველმხრივი შეცნობისაკენ. ეს განვითარება საზოგადოებისა და ცალკეულ პიროვნებათა ურთიერთქმედების დიალექტიკური პროცესის ნაწილია. საზოგადოება წარმოშობს ადამიანს, რათა შექმნას ადამიანური სამყარო, შექმნას „ცოდნის განვითარებული ძალა“ და გრძნობის განვითარებული ძალა...“

„ადამიანთა ურთიერთობაში, საზოგადოების ცხოვრებასა და პიროვნების ცხოვრებაში არის რაღაც ისეთი, რაც შესაძლოა თვით ამ პიროვნებას სედეშიტად, უქმად, ფუფუნებად მიაჩნდეს (სწორედ ეს ასაზრდოებს სულელურ კამათს, საჭიროა თუ არა ზახი, ბლოკი თუ იასმინი რტო კოსმოსში), რაღაც ისეთი, ურომლისოდაც შეიძლება ცხოვრების თითოეულმა ჩვენგანმა ცალ-ცალკე, მაგრამ ურომლისოდაც ვერ იცხოვრებს საზოგადოება. ეს „რაღაც“ დაკავშირებულია „ადამიანური გრძნობის“ სინამდვილესთან...“

დახ, ყოველ ცალკეულ ქუთაისელს, იქნებ მართლაც შეეძლოს გასძლოს საოპერო თეატრის გარეშე, მაგრამ თვით ქუთაისის, ქუთაისის როგორც კულტურულ ქალაქს, ქუთაისის, როგორც საზოგადოებას, ვერ წარმოვიდგინთ თავისი საოპერო თეატრის გარეშე, რომელიც ესპირობება ქალაქს და რომელსაც ესპირობება ქალაქი. ქუთაისის კულტურის მთელ ისტორიას ძალუქს აღაზვევოს თავისი თეატრი, მაგრამ თეატრსაც თავისი განვითარებით შეუძლია აღაზვევოს ქუთაისი. დიმიტრი უზნაძის არ იყოს, „ხელოვნება არის არსებული სინამდვილის გამდიდრება, არის შექმნა, შემოქმედება ახალი სინამდვილისა“!

ხელოვნება სარკეა ადამიანის სულისა — ადამიანის სულიერი და არა გარეგნული სახისა.

და თუ დღეს ისტორიულ ქუთაისის, ქუთაისის კულტურას ვერ წარმოვიდგინებთ ბაგრატიის, გელათის, აფიხინიას გარეშე, ასევე დღევანდელი ქუთაისი და მომავალი ქუთაისი ვერ წარმოვიდგინებთ თავისი საკუთარი საოპერო თეატრის გარეშე.

საშემოდგომო

გაოფენა—

პროგნოზი და

ეპოქანები

დავით ანდრიასოვი

ტრადიციული საშემოდგომო გაოფენა, რომელიც კვლავინდებურად საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში გაიმართა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი სისრულით ვერ ასახავდა თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების შინაგან პოტენციას და ჩვენი მხატვრების შემოქმედებით შესაძლებლობებს, საკმარისად იძლეოდა იმის საშუალებას, რომ თავლი გადაგვევლო მიმდინარე პროცესებისათვის და მასში ყველაზე დამახასიათებელი, მკაფიოდ გამოკვეთილი ტენდენციებიც დაგვეჩვენა.

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ საშემოდგომო გამოფენაზე წარმოდგენილ ფერ-

კამათს წესით.

წერულ ნამუშევართა დიდი ნაწილი (უმთავრესად ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრები) ამჟღავნებდა ავტორთა აშკარა მისწრაფებას უფრო სახვითი ამოცანების გადანაცვლისაკენ, ისიც არასრული სიღრმითა და გამიზნულობით, ვიდრე მხატვრული სახის ღრმად გამოკვეთილი და განზოგადებული დახასიათებისაკენ. ერთნი მყარ რეალისტურ სტრუქტურას არჩევენ კონკრეტული მხატვრული ამოცანის გადასაჭრელად, მეორენი მოდერნიზებულ-სტილიზებულ, ხან კი კომპოზიციურ-ასოციაციურ ნაკადში ცდილობენ ინდივიდუალურ-სახასიათო ნიშნების მოძიებას. თუმცა ძიებათა ამ რთულსა და საყურადღებო პროცესში შედეგებზე საუბარი ნაადრევია, ამასთან დასაზუსტებელია თუ რა უნდა ვიგულისხმოთ „ძიებაში“ და ისიც გასარკვევია, მართლაც რთული გზებით სიარულია ეს „ძიება“ თუ იოლითა და გატყენილით. ამ შემთხვევაში „გატყენილი“ მოსალოდნელი აკადემიურობისა და აზრობრივი ბანალურობის ნაცვლად შეიძლება „ულტრათანამედროვე“ ტექნოლოგიის „სამოსით“ აღჭურვილი და „ავანგარდული ესთეტიკით“ შეიარაღებული სტილისტიკა მოგვევლინოს. გულუბრყვილობა იქნება, კაცმა ზოგიერთი ახალგაზრდა მხატვრის ნაწარმოებების ზედაპირზე მოტივტივე, „ღრმა აზროვნების“ იქით მწირი ოსტატობა არ დაინახოს. ამის დახაზვა და აღუნიშნაობა, ამის მიჩქმალვა კი დანაშაულს უნდა უდრიდეს. როცა მხატვრის პროფესიული ტექნიკაც კი აშკარად მოისუსტებს, ამის გამო კი იძულებულია „უჩვეულო აზროვნებასა“ და ყალბ ფორმისეულ აკრობატიკაში ეძებოს ფონი, მაშინ მალალი გრძნობებით დამუხტულ ხელოვნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ზოგნი თავიანთი ოსტატობის სიმწირეს, ან საერთოდ სათქმელის უქონლობას ყალბი სტილიზაციით, დეფორმაციით, პრიმიტივიზაციით, მჭახე ფერწერული წყობით, არამდგრადი პლასტიკური ფორმებითა და სხვა ტენდენციური საშუალებებით ნიღბავენ. სხვათა შორის, მათ „ანალოგიური სულის კონტრაქციებიც ჰყავთ მებოტბელ“ (აკ. განკერელიას სიტყვებია). ამ მავნე პრაქტიკას კი ხშირად მივყავართ მხატვრული ოსტატობის ნიველირების არასასურველ ტენდენციამდე. აღნიშნული „რანგის“ მხატვრობას წამსვე უპირისპირებენ აკადემიზმს, ნატურალიზმს და თითქოს „მიზანიც მიღწეულია“, მხატვრის ნაბიჯი გამართლებულია. ამ ტენდენციაში ჩაღრმავება და გარკვევაა საჭირო, თორემ ამით, ბევრ შემთხვევაში, პირველ რიგში, უნიჭობას ეხსნება ხელ-ფეხი, მეტიც: შეუძლებელი ხდება ნიჭიერისა და უნიჭოს, ღირსეულისა და უღირსის, ჭეშმარიტისა და ყალბის გამიჯვნა ურთიერთისაგან,

ეს კი იმ განურჩევლობის საფუძველია, რომლის საშიშროებაც ერთობ საგონივრია. საქმე ისაა, რომ უმრავლეს შემთხვევაში არ სხსევედება სინამდვილის მხატვრული ტრანსფორმაცია (რაც ცხადია, პოზიტიური-ესთეტიკური ღირსებებით აღინიშნება და მის გარეშე დღეს დიდი ხელოვნება წარმოუდგენილია) და დეფორმაციისა თუ პრიმიტივიზმის ის ყალბი ფორმები, რომელნიც, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ნეგატიური პოზიციებიდან უნდა შეფასდეს. ამდენად, სინამდვილის მხატვრულ გარდასახვა-ტრანსფორმაციას მიმართავენ სწორედ ნათელი და მიზანდასახული მხატვრული ამოცანებით აღძრული და ფართო შემოქმედებითი ტალანტითა და ინტუიციით დაჯილდოებული მხატვრები, ხოლო ზემოთ ნახსენები ტენდენციური ხერხები უმეცართა და უნიჭოთა ხელში მხოლოდ სპეკულანტური თვითმიზანია და სხვა არაფერი. შედარებით მოხერხებულნი, „შემოქმედებით ტრიუკებს“ (და არა ძიებებს) დაჩვეულნი და მეტნაკლებად დაუფლებულნი ყოველივე ამას გაცვეთილ ფილოსოფიურ სარჩულსაც კი არგებენ ხელოვნურად, ამით მაძიებელი და რთული სამყაროს შემოქმედადაც კი ისაღებენ თავს.

ცხადია, ძიება ახალგაზრდული შემოქმედების თანამდევი ცნებაა, მაგრამ ისიც ხომ საკითხავია, თუ რა ხერხებით ხდება იგი სიახლე, სიახლის გრძნობა სულაც არ უნდა ნიშნავდეს მანეროზმს ანდა ფორმალიზმს, მეორეც, ახალი ყოველთვის არ არის უკეთესის სინონიმი, პირიქით, სათქმელის არქონა და ამისდა მიუხედავად დიდი სურვილი საკუთარი ხმის მოპოვება-დამკვიდრებისა იწვევს საეჭვო ღირსების ხერხებით „სათქმელის“ გამოხატვას; არადა ყველა საშუალება როდი გამოადგება მიზნის მისაღწევად. ავტორი, ნაცვლად საკუთარი ნააზრების მხატვრული სახიერების პრიმატზე დაყრდნობისა, ფორმალურ ეგზერსისებს მიმართავს, რითაც შეუძლებელია ძირითადი მხატვრული იდეის (თუკი, რა თქმა უნდა, ასეთი რამ გააჩნია!) მაყურებელამდე მიტანა, თუნდაც ეს უკანასკნელი საუკეთესოდ იყოს მომზადებული სერიოზულ ხელოვნებასთან შესახვედრად. მაგრამ აქ გამორიცხულია ის აუცილებელი და წარუვალი ფენომენი, რასაც ჩვენ „მხატვრულ იდეას“ ვუწოდებთ. ყველაფერი ენირება არასწორი, მცდარი პრინციპების განსხეულებას არამყარ სახეებში. ხდება მთელი რიგი მხატვრების შემოქმედებაში ერთი და იმავე ფორმის (თუ რამდენად ავტორისეულია ეს ფორმები, კიდევ საკითხავია) უსასრულო ვარიაცია. ამ მიგნებების ფილოსოფიურ მხატვრულ თუ გეოგრაფიულ სადაურობა-წარმოშობობას რომ თავი დავებოთ, ისინი, ფაქტურად, როგორც იდეურ-შინაარსობრივად, ისე მხატვრულ-სტილისტურად წმინდა წყლის ნახევარფაბრიკატებია. ავტორების მსოფლმხედველობით-ზნეობრივი თუ წმინდა პროფესიული პოზიცია, მხატვრული სახის დახასიათება თუ ამოცანის სპეციფიკურობა საკმაოდ ბუნდოვან



ქ. ლოლაშვილი
ღაბრუნება
პეიზაჟი





ნია, ან სრულიად გაურკვეველი, ეს კი იძლევა თავად ავტორის სულიერ-შემოქმედებით ნატურაში ეჭვის შეტანის საბაზს. აქ ამგვარი ტენდენციების წახალისების ფაქტებიც უნდა ვიგულისხმებოდეთ ამ არასწორი ძიებების ერთგვარ „ბასტიონურებადაც“ კი ვიგულისხმებოდეთ. ამცთუ იშვიათად საქმეში ჩაუხედავი, ანდა გაუცნობიერებული მნახველი ამგვარ „ნაოსტატარს“ აღიქვამს, როგორც თანამედროვე ხედვისა და ხატოვანი ნაზრების ნაყოფს. ცოცხალ ემოციურობასა და ჭეშმარიტ მხატვრობას განირიდებულ ამ ნამუშევრებს აკლიათ პლასტიკური ფორმების სიცხადე და შემადგენელი ნაწილების ლოგიკურობა, რაც თანამედროვეობის, ჩვენი დღევანდლობის სულში და რთულ აღმშენებლობით თუ ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი ცვლურების ბატალიტში ზედაპირულ ნედრობისა და თემისადმი ზერელე, განყენებული მიდგომის შედეგია.

პროფესიონალიზმის აკადემიური საფუძვლების აუცილებლობაზე ნამოყვებულ ამ მოკლე მსჯელობას ის შეიძლება დაეფუძნებოდეთ, რომ ამ საკითხისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ შეიძლება საერთოდ მხატვრული ოსტატობის უარყოფამდე მიგვიყვანოს, ყოველგვარ აკადემიურობასთან თუ აკადემიზმთან დაპირისპირება ხელოვნურია, უსარგებლო და ცოტა უხერხულიც. ჩვეს დღემდე შესაძლოა ვინმეს მიაჩნია, რომ აკადემიზმის ფრონზე უკეთ წარმოსდგება ავტორის თანამედროვე ზნეობების სულისკვეთება, ღირსებები. ვფიქრობთ, რომ არა. სწორედ აკადემიურობის პოზიციიდან იღანდება ნახატის სისუსტე, კომპოზიციური არამდგრადობა, თუ საერთოდ პროფესიული ჩვეულის ნედლი ხასიათი, სწორედ იგია, რენტგენივით რომ აშუქებს ამგვარი ნამუშევრების უსუსურობა-უმწიფარობის ერთგვარ მიზეზებს. აკადემიურობაში (თუნდაც აკადემიზმში) თავისთავად იგულისხმება მალალი პროფესიონალიზმი (რაც ცოტა არამედ არამც არაა ახალგაზრდა შემოქმედისათვის). ხოლო თუკი მანაც ვიგულისხმებთ, რომ ახალგაზრდა შემოქმედი ასცდა აკადემიზმის საშიშროებას, სამაგიეროდ, არანაკლებ საშიში სენის — ოლი ეფექტების გზით, პროვინციალიზმისა და ფსევდომათეტიკის ყრუ კედლის პირისპირ აღმოჩნდება.

დავუბრუნდეთ გამოყენას. საზოგადოდ ამგვარი — სემონური ხასიათის ვერნისაჟები, რომელთაც ამ ბოლო ხანებში შეემატა ე. წ. ერთი ნამუშევრის გამოყენები (ფერმანერება უკვე მიაწვდის ორი ამგვარი გამოყენება) მუდამ საყურადღებოდ და მრტყველ სურათს გვიხატავს სწორედ ეროვნული სახეობი ხელოვნების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე მიმდინარე მხატვრული ტენდენციების წარმოჩენის თავალსაზრისით. ამ დროს ვლინდება ჩვენი ავტორების საყოფიერ მხატვრული ინტერესები, რაც: ცხადია, უჭჭვლად გულისხმობს არა მარტო სტილისტურ ძიებათა რკალს, არამედ მათი შემოქმედების საზოგადოებრივ-მოქალაქეობრიობასაც ამ-

ყლავნებს, და უთოოდ ანგარიშგასაწიფი ფაქტორია მათი აქცენტიზაცია. ვერა მოფენა საყურადღებოდ დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა, როგორც პირველი, ისე მეორე მომენტის გათვალისწინებით.

ექსპოზიციში მხატვრობის თითქმის ყველა ტრადიციული სახეობა იყო წარმოდგენილი, თვარტალურ-დეკორატიული ხელოვნების გარდა. მართალია, ეს გამოფენა რესპუბლიკის მხატვართა წლევენი დელი მონაგარიც გახლდათ, მაგრამ მას მაინც შეიძლება ახალგაზრდული ვუნოდით. არ მარტო იმით, რომ წარმოდგენილი ნამუშევრების უმრავლესობა ახალგაზრდა მხატვართა ნაოსტატარი იყო. არამედ იმიტაც, რომ მან ყველაზე მეტად სწორედ ახალგაზრდული სულის შემართება (ამ სიტყვის არა პარადული გაგებით) გამოავლინა. ამას გარდა, მათი საყმანელო სენის სიმპტომებიც გამოამჟღავნა აქ ერთმანეთის გვერდით იყო ექსპონირებული სრულიად ახალგაზრდა ავტორთა ჯერ კიდევ დაუღივებელი, მეტიც, დაუამაჭრებელი ნამუშევრები და რამდენიმე უკვე გამოცდილი ოსტატის, პირდაპირ ვიტყვი, გადაღვინებული და ოდნავ დაძმარებულიც კი) ნამუშევრები.

რომელი სჯობს ამ შემთხვევაში? არც ერთი და არც მეორე. პირველი იმიტომ, რომ ის გზა, უფრო სწორად ბილიკი, ახალგაზრდები რომ ადგანან დღესდღეობით, ჩვენი აზრით, არ არის ის, რომელმაც შეიძლება გაიყვანოს დიდ შარავაზე, შემეცნეინოს ჭეშმარიტი ღირებულებანი ეროვნულ ხელოვნებაში.

მეორე კი, იმის გამო, რომ იგი კლავს და სობოს ყოველგვარი თვითგანახლებისა და ცოცხალი, ქმედითი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის გამზნულ სპექტრებს და გაყინული, მანკურ-მულაჟური არსებობისათვის განწირვას უქადის შინაგანად აქტიური და სისხლჭარი მხატვრული ცხოვრებისათვის მონოდებულ ხელოვნებას. გამოფენამ როგორც ერთი, ისე მეორე, არცთუ სასიამოვნო ტენდენციის გამონაშუქი აირეკლა.

კვლავ პორტრეტი, პეიზაჟი და ნატურმორტია ის ფანრები, რომელნიც იტყვი ჩვენი მხატვრები შემოქმედებით პორტრეციას. აქ დასაძრახი, ერთი შეხედვით არაფერია, პორტრეტიც, ნატურმორტიცა და პეიზაჟიც იმდენად ფეხბოკიდებული ფანრული სისტება, რომ შეუქმლელია და არც არის საჭირო მისი გადალაზე. პირიქით, მისი გაღრმავება და გაფართოება საჭიროა. განა ადამიანურ-სულიერი ურთიერთობების ასახვაც ვერ შეძლებს პორტრეტი. თანამედროვე ადამიანის შინაგან განწყობილებასა და ხასიათს ვერ გადმოსცემს პეიზაჟი ანდა მისსავე შრომის ბარჯას, სოციალურ შინაარსსა თუ სავნის თილოსოფიის აქტუალობას ვერ დაიტყვს ნატურმორტი? ცხადია, დაიტყვს და მერე როგორ! მაგრამ გამოყენის ექსპონატებში სასულირული ძალითა და შინაგანი მეტყველებით ვერ აისახა სწორედ ადამიანის — ჩვენი თანამედროვის სულიერი

სახე, ხშირად, როცა ვამბობთ თანამედროვის სახეო, ცხადად არც კი გვაქვს გაცნობიერებული ის, რასაც ამ ცნებაში ვდებთ და ვგულისხმობთ, არც-თუ იშვიათად დაგვეყვას იგი რომელიმე ვინორ საზოგადოებრივ თუ სოციალურ-კლასობრივ ტიპზე, ანდა მივღებინებთ, არა, აქ ლაპარაკი უნდა იყოს საერთოდ ჩვენი დღეების ადამიანზე, მის ღრმად ფსიქოლოგიურ დახასიათებაზე. სხვათა შორის, ამ უკანასკნელ სიტყვებზე ერთგვარად დიდი სიფრთხილი ვხმარობთ, რადგანაც ხშირი და უმეტესად უადგილო და უსაფუძვლო ხმარებისაგან ძალანაც გაცვდა და ერთობ ტრაფიკული ფუნქცია შეიძინა. იქმნება იმგვარი შთაბეჭდილება, თითქოს საკმარისია ტილოზე ამ ქანდაკებაში პორტრეტი იყოს გამოსახული, რომ მეტანკურადვე მიიღოს ფსიქოლოგიური სიღრმის სტატუსი. ესეც განურჩევლობაა და, სხვათა შორის, საკმაოდ ფესვგამდგარი ჩვენს კრიტიკაში. ამგვარი „ფურნა-ღარში“ კი, ცხადია, არ შეეფერება მას.

წინა გამოფენებზე გაცილებით მეტყვევებდა პორტრეტებიც გენიანზე, უფრო სახიერი ნატურმორტებიც და კიდევ უფრო ფერადოვანი პეიზაჟებიც, მაგრამ იშვიათად თუ დაგვეცდინა (თუნდაც გულში) საყვადური მათი განწყობილებისეული მონოტონურობის მისამართით. მაშ, რა მოხდა ახლა? პირველ ყოვლისა, ის, რომ მთლიანად დამამაყფოლებელი არ არის მათი მხატვრული დონე.

იმისდა მიუხედავად, რომ გამოფენილი ნამუშევრებიდან ტექნოლოგიურ ოსტატობის მხრივ არცერთი არ სცოდავდა, მაინც უკმარისობის განცდას ბაღებდა ისევ და ისევ მხატვრულ-გამომსახველობით ამოცანების სიღარიბის მხრივ. ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ტექნოლოგიური ოსტატობა და სახვითი ოსტატობა ერთი და იგივე ცნებები არაა. იმისთვის, რომ ტექნოლოგიურ განსწავლულობაზე დაყრდნობით გამოიმუშავო მხატვრული ამოცანების დაყენებისა და გადაჭრის ჩვევები, ძიებაა საჭირო. ამ უკანასკნელს კი ხშირი წარმართვა ესაჭიროება. შეუძლებელია დღეს სახვითი ოსტატობა განვიხილოთ იდეურ-მინარსობრივისაგან მონყვევით, მაგრამ ხშირად ეს განცხადება თუ მოთხოვნა მოთხოვნადვე რჩება.

ერთი ნიშნული გარემოება, რაც კვლავ გამოძვლავნა გამოფენამ, არის ლიტერატურულობისაგან განრიდებული მხატვრული აზროვნება, საკუთრად განწყობილების მოცოცრულ-ინტიმური შთაბეჭდვაობის პრიმატზე დაყრდნობა. მაგალითად, ა. პოპიან-შვილის „პასტორალი“ გამოირჩევა განწყობილების ერთიანი ტონუსით. მაგრამ იგრძნობა ყურადღების შესუსტება საკუთრივ კონკრეტულ-სიუჟეტური სანყისი-სადმი, ეტიუდურობა. სხვათა შორის, ზოგადში გათქვეფა და ჩანაფიქრის კონკრეტულ გარემო-გარემოებათაგან განრიდებაც ის ნიშანია, რომელიც შეიძლება სხვებზედაც განზოგადდეს. ტ. შყელიაძე ამ-

ჯერადაც თავისი ორიგინალური მანერით შეიციანით, მაგრამ, ამხვე დროს, გამვლავნდა მისი ძიებების ცალმხრივობა და მიგნებულის განმეორება.

დამახასიათებელი ფაქტია და არც ვასაკვირი, რომ წლების მანძილზე ქართული პეიზაჟის როგორც თემატიკა, ისე პრობლემატიკა ისევ და ისევ ძველი თბილისის, მთა-თუშეთის, ხევისურეთისა თუ სხვაეთის სახებით განისახლებურება. ამაში თავისთავად ცუდი არაფერია, გააჩნია ავტორისათვის ძველი თბილისი თუ მთა-თუშეთი მხოლოდ ეგზოტიკის ობიექტია თუ გარკვეული მხატვრული შინაარსისა და თემის არჩევანის გამოძრავებელი იმპულსი. ამ გაზზე კი ხშირი ტრაფიკულ-ტოლობისა და მიგნებულობის გაუფასურების შემთხვევები. სასამოიგრო განცდას ბაღებს ვ. მარგანიის „ნადიმი სოფლი“ — თავშეკავებული, მკაცრი კოლორიტით, სიერცულად ორგანიზებული და შეულამაზებელი, მართალი და განცდილი, ლირიკული ხედვით გამოირჩევა ტილო. „მთათუშეთი“ წარმოადგინა გივი თოიძემაც, ცნობილი ფერმწერი და გამოცდილი ოსტატი კვლავ შეიციანით მასში, მაგრამ რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, სწორედ ეს „ნაცნობობის“ მომენტი გამოდგა ამ შემთხვევაშიც ის აქილევსის ქუსლი რასაც ამ ბოლო ხანებში ვამჩნევთ კარგი კოლორისტის ნიჭით დაჯილდოებულ მხატვარს (სამუხარბოდ, იგივე შეიძლება გვეთქვა ჩვენი ნიჭიერი მხატვრების — დიმიტრი ერისთავისა და თენგიზ მირზაშვილის მისამართითაც). ეს ის მომენტიცა, რომლის იქითაც იმალება ერთხელ ნაყოფის ვარიაცია, კონკრეტული მხატვრული ამოცანებისადმი ანგარიშგაუწევლობა: შეუძლებელია ერთი თვლით, კოლორისტული იდენტური ერთობლიანობით იქნას აღქმული და გააზრებული თბილისი, ხევისურეთი და მთა-თუშეთი.

იგივე თემაა შ. ჩლაიძის „მთათუშეთში“. ავტორი ცდილობს სახიერად გათავროს საქართველოს ეს მშენიერი კუთხე, მაგრამ იღალატობს მხატვრული აღქმის უშვალობა და ლოგიკურობა. ტილო ბუტაფორულობის განცდასაც აღძრავს, რადგანაც ნატურის თვისობრივი მასიათადე არ ამოდის და ამიტომაც ვერ ახახხეს ჩანაფიქრის კეთილშობილებას.

საშემოდგომო გამოფენა ერთგვარ რეტროსპექტულ-სოციაციურ ხასიათსაც ატარება, რაც გამოიხატება უკვე ნაცნობთან, ერთხელ ნანახთან (ვინ იცის, უკვე მერამდენედ!) განმეორებითი შეხედურის განცდაში. ეს იმითააჯა გამოწვეული, რომ ავტორთა ერთი ნაწილი, ძირითადად, ერთსა და იმავე თემას ან მხატვრულ ამოცანას უტრიალებს.

ც. კალანდაძის „პარილი“ და დ. სუ-ლაკაურის „სკოლა-ინტერნატმა იმალოში“ რატომღაც ვგვახსენდა ჩვენი შესანიშნავი მხატვრების ე. კალანდაძისა და ჯ. ხუნდაძის აქტიური ძიებების მიზანსწრაფული ხასიათი. ისიც უნდა ითქვას, რომ მათი კოლორისტული აზროვნების მოხაცემები სადავო არ არის, თუმცა ნაწი-



ლობრივ უკვე იგრძნობა ნიჭის ცალმხრივად წარმართვის ერთგვარი საშიშროება. ლ. დაეითაშვილის „მაიას პორტრეტში“ გატარებულ სპექტრალურ ფერწერულ კონცეფციაზე (ზ. ნიჟარაძის მანერაზე მიუთითებენ ხოლმე) თუმცა ბევრს ლაპარაკობენ, ინერციით მაინც ვრცელდება გამოფენიდან გამოფენამდე ამგვარი სტილისტიკის ნამუშევრები. სამივე შემთხვევაში ეს ფაქტორად გოგელენები უფროა, ვიდრე ფერტილოები: ერთადერთი სხვაობა მათ შორის მასალის ტექნიკაშია. კამათი გამოიწვია ანზორ ჩაგელიშვილის ორმა ტილომ „შავი ზღვა“ და „ქეთინო“, ი. ფარჯიანის „ოთახმა“.

ი. ფარჯიანის ნამუშევარში საკმაოდ დიდი ზომის ტილოს სასურათე სიბრტყეზე გამოსახულია ინტერიერში, მაგიდასთან მჯდომარე მანდილოსანი და ძალი, სამოქმედო გარემო კი, ოთახის კედლებზე გამოსახული, მასშტაბურად მცირე ზომის სარკმლის სახით, ჩაფიქრებულია სამყაროს განზოგადებულ სახედ. ამდენად ამ შემთხვევაში, ავტორის შეცდომა თვით ჩანაფიქრის საფუძველშივეა, რამეთუ მან ვერ შეუფარდა სათქმელის ხასიათი, აზრობრივი ჩანაფიქრი გამოხატვის ფორმას და ზედმეტად ხელოვნურ-ფილოსოფიური ფერტილი შემოგვთავაზა, ეს კი საერთოდაა დამახასიათებელი ახალგაზრდა მხატვართა გარკვეული ნაწილისთვის. ხელოვნებაში გადაამწყვეტი თუ არა, სერიოზული მნიშვნელობა მაინც აქვს ნაწარმოების ემოციურ-შინაარსობრივი და ჟანრულ-სტრუქტურული მასშტაბის შეფარდებით განსაზღვრულობას. აქ მოქმედებს მხატვრული იდეის შინაგანი მექანიზმი და გარკვეულად აქვე ვლინ-

დება მოცემული ამოცანის მთელი რაობა — მისი დასმის სისწორე და გადაჭრის ხარისხი.

პრიმიტივიზმის ერთგვარი ნიშნები იჩენს თავს ა. ჩაგელიშვილთანაც, რაც თანდათანობით უფრო მავალიოდ რეაქციონევი ხდება. უკანასკნელ ხანებში, ერთგვარი პრიმიტივიზმისა თუ „მაქსიზმის“ სფეროში შეჭრილი, იგი სულ უფრო და უფრო ავლენს შინაგან მიდრეკილებას თვითგამოხატვის ინდივიდუალური ხერხებისაკენ. თუ რა აიძულებს ახალგაზრდა ავტორს მხატვრული აღქმის ამგვარ რეალობაში შეჭრას, და მითუმეტეს იქ საკუთარი მსოფლალქმის გამოშუშავებას და სტილისტიკის მოძიებას, კონკრეტულად ძნელი სათქმელია. ძნელია, საერთოდ, ამ ნაბიჯის გონივრულობის მტკიცებაც, თუმცა, ამავე დროს, საგრძნობია მხატვრის სწრაფვა საკუთარი ხმის მოპოვებისაკენ, თუნდაც არსებული მხატვრული გამოცდილების გათვალისწინებით.

თუ რა ფორმით გამომჟღავნდა გამოფენაზე სურათის ჟანრისადმი ინტერესი, ისევე ზემოდ განხილულია ა. მარგიაანის ტილოთი „ნადიმი სოფლი“ შვიძლმა გაეიაზროთ, რომელიც (ისევე როგორც მისი ხასიათის სხვა ნაწარმოები) ფაქტურად ისევე პეიზაჟია, რადგანაც მისი იდეურ-მხატვრული თუ სოფეტური არსი იხსნება არა პერსონაჟთა ქმედებით, რამდენადაც ბუნების ემოციური ზემოქმედების მეშვეობით, სადაც ადამიანს, როგორც ასეთს, სტაფაჟის ფუნქცია ეკისრება. დაახლოებით იმავე ნიშნებით ხასიათდება ვლ. კანდელაკის მომწვანო-მოოქროსოფერო კოლორიტში გადანწყვტილი „დოლი სოფლის ზეიმზე“. ტილო კვლავ თანამე-

დ. ნოდია
ძველი თბილისის ვახსენება.



დროვე სოფლის რომანტიკის ექვნივება, რომელიც კარგა ხანია აღდგებდა მხატვრის, იგი კიდევ ერთხელ შეტყვევებს ვლ. კანდელაკზე, როგორც თემატურ-პეიზაჟური სურათის ავტორის გარკვეულ შესაძლებლობებზე, რომელიც პერსპექტივის, რაკურსებისა და სივრცის ორგანიზებით, პლასტიკის, რიტმის გონიერი მოშედიებითა და ჩართვით სურათის ზოგად ქსოვილში დამახასიათებლად წარმართავს თავის ოსტატობას შემოქმედებითი ამოცანის დამაჯერებელი და სერიოზული განსხეულებისაკენ. მიუხედავად ამისა, „დოლი“ ავტორისათვის ადრე მიღწეულ გარკვეულ იდეურ-შინაარსობრივ თუ საეტიკურ-მხატვრულ დონეს არ სცილდება, რადგანაც მასში თავიდანვე ვერ იქნა აზი-რადული თემა ჭეშმარიტად შემოქმედებითი გაბნეების სიმბოლოდ. ამასთან, ერთგვარად უკვე შეტამაშებული სტილი, ცოცხალი არ იყოს, ბორკავს შემოქმედის შინაგან თავისუფლებას. ზედმეტი სიფრთხილე და რდი საკუთარი მანერის რეტროსპექტიულობის მიმართ ამ შემთხვევაში (და საერთოდ) უადგილოა, რადგანაც შემოქმედების შინაგანი ხიბლი თავად ძიებაშია.

რადიმ თორდიას შემოქმედება ძალზე ფართოდაა აღიარებული. შეიძლება ითქვას, რომ მან გარკვეულად უკვე გამოიმუშავა საკუთარი ფერწერული ენა. გაითავისა რა მონივე ტექნოლოგიურ-გამოხატვითი არსებობის რიგი ფენები, რ. თორდიამ გამიზნულად წარმართა ისინი პიროვნულ-ინდივიდუალური მსოფლადქმისა თუ სტილისტიკის წახნაგში გარდასახვად და არცთუ წარუმატებლად. ამაზე კვლავ მტყვევებს გამოფენაზე გამოტანილი „მამლები“, რომელშიც გამოვლინდა ფერის კოლორისტიული ნიუ-ანსიებისა და საკუთრივ ფერწერული დიამაზონის გაფართოებისაკენ სწრაფვის ნიშნები, ადრე გამოყენებული ცდებისაკენ მიბრუნება. რაც შემთხვევითი არ უნა იყოს, რადგანაც რ. თორდიას, როგორც ყველა მაძიებელ შემოქმედს, ჯერ არ დაუსრულებია ახალი მხატვრულ-სტილისტური ამოცანებისადმი აქტიური დამოკიდებულების პროცესი. ეს მისი შემოქმედებითი ევოლუციის პროცესია. ამაში მისი ძალა.

რ. გაგნიძე კიდევ ერთხელ წარმოგვიდგა გამოუფენაზე, როგორც პორტრეტის მზარდი ოსტატი. მისი „ექიმ თ. ჭანტურიას პორტრეტი“, პირველ რიგში, მოდელის ხასიათობრივი ნიშნების გამოკვლივითა და შინაგანი თვისებების გამოკვეთით გამოირჩევა. ყოველგვარი დამატებითი დეტალებისა და საგნობრივი გარემოს მოშველვითად იქმნება ნატურის სულიერი მონაცემებისა და სოციალური მდგომარეობის შემცველი აბსოლუტური, ყველაფერი ემორჩილება ერთიანი მხატვრული იდეის გახსნის ამოცანას.

დამახასიათებელია მ. ჯავახიშვილის „თამარიკოს პორტრეტი“, რომელიც გამოირჩევა ახასახავი ობიექტისადმი თბილი, გულითადი დამოკიდებულებით. მხატვარი

შეგნებულად ერიდება ყოველგვარ ფორმისულ ტრანსფორმაციას, სახვითი ოსტატობის ტრადიციულ სისტემაშივე ცდილობს ნატურის ობიექტურად ასახვის ამოცანის გადაწყვეტას. ავტორი კმაყოფილდება მარტოოდენ მისი გარეგნული (თავისთავად მიმკვებანი) თვისებების გამომტანით, ხოლო შინაგან-სულიერი სახის გახსნის ამოცანას მხოლოდ მოდელის გამომტყვევლების სფეროში შედეგებს და ფაქტიურად მის დაზრუნველ წყვეტს.


სხვაგვარადაა გააზრებული ი. ოცხელის „დიტო“. აღსანიშნავია ავტორის სწორი და გამიზნული ხედვა გამორის სულიერი პორტრეტის შესაქმნელად. ყმაზონის გამოხედვაში, სახის მიმდებარებაში, ტილის ფერწერულ ენაში დამახასიათებლად შეიცნობა მითის შვილი.

დ. გრიგოლის „ლენინგრადადელი გოგონას“, ჩვენის აზრით, დაახლოებულად გამოპრინციპული ნაკლი ახასიათებს, რაც მ. ჯავახიშვილის ნამუშევარს. პირველი, რაც უნდა შევნიშნოთ მხატვრის, ეს არის თემის არჩევანის შემთხვევითობა. ვერ არის მოტენილი მთელი ნამუშევრის ემოციურ-ლოგიკური ბირთვი, ამასთან, ტილის ორნავ სენტიმენტალური იერი დაპყრავს.

არ ვიცით, თ. ცხოვრებაშვილის „შავი ზღვა“ ავტორის ხუმრობად უნდა ჩავთვალოთ. პრიმიტივიზმის „გეორგელ მოსველად“, თუ, უბრალოდ, საზოგადოებისადმი უპატივიცემლობად. „ბავშვობის გახსენება“ კარგია, მაგრამ სასურველია ამ რანგის შემოქმედება სახელსწიფეშივე

გ. ლონტი.

ციხარტყელი





რჩებოდეს. შესაძლოა არც ღირდა ამგვარ „კაზუსზე“ ყურადღების შეჩერება, მაგრამ, ალბათ არც უთქმელია იგარეგება. როგორც უკვე ვთქვით, ხშირად მხატვრული ამოცანის წარმოშობები გადაჭრის მიზეზად პასიური შემოქმედებითი სანაყისი, მანერათა ნივთიერების ტენდენცია გვევლინება. ერთგვარ გარდუვალ აუცილებლობად იქცა გამოყენება ე.წ. თანამედროვე არსენალიდან სტილისტური მეთოდებისა და გამომოსახველობითი ხერხებისა, რამაც მათი სტანდარტიზაცია მოახდინა. ცხადია, ეს გამოირჩევა შემოქმედებით ინდივიდუალობათა გამოვლინების შესაძლებლობას. ახალგაზრდა ავტორები გვთავაზობენ ერთი და იმავე მანერით შესრულებულ ნამუშევრებს, რომელთაც ერთი გვარით ნამო მიაჩნოთ, ალბათ არვითარ უხერხულობასა და დაექვევებას არ გამოიჩვენებს. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ ახალგაზრდები ერთგვარად ტენდენციურად ცდილობენ ხელნერის გამოცხადებას და იდეურ-მისთერული პოზიციისაგან მოწყვეტით მის ჩამოყალიბებას. მეტიც, ხშირად „საუთარი მანერის“ ძიება თვითმიზნურად და ხელმოყვრად ხდება. ყოველგვარი ცდა ამგვარი „ინდივიდუალიზმისა“ კი უეჭველად მარცხით მთავრდება, რადგან შინაგან-შემოქმედებითი მოთხოვნილებებიც არ გამოიხატავენ. ამის შედეგია აზრობრივად ზერეულ და მხატვრულად დაუხვეწავი ნამუშევრებიც. მრავალრიცხოვან ნატურმორტებს შორის უპასტიკურ-კომპოზიციური მოწესრიგებულობით, ფორმის ლოგიკის მეტ-ნაკლებად დასაღი შეგრძნებითა და ფაქტურული დამაჯერებლობით გამოირჩეოდა ს. კენჭაძის, ზ. ნაფაღას, რ. ჩუბინაძის, რ. კუპრეიფლის ნამუშევრები.

გამოყენაზე წარმოდგენილი ზოგიერთი ნატურმორტის დეკორატიული განზოგადების, სტილიზებული კომპოზიციის და ფორმისეული ლოგიკა ავტორთა დეკორატიული ხედვისაკენ მიდრეკილებას ავლენს. საკმარისად ნაცდია თვით ფორმულქმნის ეს პრინციპი და სერის მანერა. დღეს არცთუ ცოტანი არეგებენ ამგვარ გასაღებს თავიანთი ნამუშევრების იდეურ ჩანაფიქრს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ხშირ შემთხვევაში სწორედ ეს „ჩანაფიქრი“ გამოირჩევილი მხატვრული სახის შექმნის მთლიანი არსიდან. გარდა ამისა, უნდა ვთქვათ, რომ მიუხედავად ნატურმორტების მეტ-ნაკლებად დადებითი ღირსებისა, გვევლინება რამდენიმე კითხვა მოცემული ფანრის თაობაზე. პირველი: არის კი საერთოდ გამოყენაზე წარმოდგენილი რიგი ნატურმორტები თანამედროვე, ჩვენი დღეების მხატვრის თვალით დანახული სამყარო? მეორე: ამა თუ იმ „ნატურმორტის“ შემადგენელ საგანთა გამოსახულებების გარკვეული სახის ფორმულქმნის მიზეზი შინაგანად მოქმედ პრინციპია თუ შემთხვევითი მოხიზილი ხერხი? ნატურმორტის პრობლემატიკა ვრცელია და სერიოზული, და ხშირად უფრო სერიოზულიც. ვიდრე ამ ფანრში მომუშავე ზოგიერთ ახალგაზრდა

(და ხშირად არაახალგაზრდა) ავტორთა წარმოდგენა. და კიდევ ერთი საკითხი მოითხოვს პასუსს: რამდენადა ეს ტილოები ქართველი მხატვრის თვალთ დანახული, საგანთა სამყარო?

სამუშაოვარ, ნამოქრულ კითხვებს ძნელად თუ მოეძებნება დადებითი პასუხი საშემოდგომო ვერნისაჟის მიხედვით.

ისევე როგორც ფერწერა, საშემოდგომო ვერნისაჟზე არც გრავიკა ცილობდობა, თუ არ ჩამორჩებათ, წინა გამოყენათა მხატვრულ ღონეს, არც ავტორთა შემოქმედებით ინდივიდუალობათა გამოვლინება და არც სტილისტურ-ტექნიკლოგიურ ამოცანათა დაყენებისა და გადაჭრის მხრივ. ექსპოზიციონა, რომელშიც უფრო დაზგურ გრავიკის ნიმუშები ჭარბობდა, რამდენიმე ახალგაზრდა, თუმცა უკვე ცნობილი მხატვრის ახალ გრავიკულ ფურცლებს შეიხადით.

გ. ნერეთელი „კომპოზიცია № 1“ და „კომპოზიცია № 2“-ში კვლავინდებურად კონტრული ხაზისა და წერილი შტრიხების ბადით ქმნის კომპოზიციის საბრტყობრივ კონსტრუქციას. ახგვარად კომპოზიციური ნაკლებ ემოციურია, მხატვრული პრობლითობის შემცველი ელემენტები ვერ მაღლდება სიმობლიკის განზომილებამდე და შემთხვევით მოხიზილი ხერხებად აღიქმება. ა. რიგინაშვილის ორი კომპოზიცია „ილუსტრაციები სიცოცხლის შესახებ“ და „მხატვარი ქალაქში“ შედარებით უფრო გამოკეთილად მოქმედ იდეურ კონცეფციას შეიცავს. ხაზის ექსპრესია შინაგანად დაუზუტებლ აზრობრივ კონტექსტს ამძაფრებს, ხოლო ხან კონტრულად, ხან კი მსუბუქი, ხშირი შტრიხებით ნატივად მოდულირებული ფორმა ნიტირალურ ფონზე უფრო სახიერად ავლენს მისსავე მხატვრულ ღონესებს. კ. მატაბეგის ილუსტრაციებს ბ. ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტასათვის“ უფრო თეატრალურ-ასოციაციური ელფერი ახლავს, რაც ერთის მხრივ, თავად ლიტერატურული წყაროს ჟანრულ-სახეობრივი ხასიათიდანაც გამომდინარეობს. ამირ კაკაბაძის „ტყეში“ კვლავ დეკორატიული პრობლითობისა და რიტმული წონასწორობის მხატვრულ პრინციპზეა აგებული და ავტორის დახვეწილ ხედვას ავლენს.

გამოყენის ერთ-ერთი საყურადღებო და ძლიერი ექსპრესიები იყო გივი კასრანის ორი პორტრეტი „გ. პეტრიაშვილი“ და „გ. დავითაი“. რითა ეს ნამუშევრები ძლიერი? პირველ რიგში, თანამედროვე ამბიანის ხასიათში წვდომის შინაგანი სიმართლით, განცდის სახებით, ფორმათა პლასტიკური მეტყველების მაქსიმალური დატვირთვითა და მისი სრულყოფილი ათვისებით, ღრმა სულიერი გაახრებულობით. გ. კასრანე უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ინტენსიურობით მუშაობს თანამედროვეთა მხატვრული სახის შექმნაზე, ამ გზაზე მას პოზიციას უმაგრებს ფართო შემოქმედებითი თვალსაზიერი ცხოვრების ღრმა ცოდნა. მკაფიო ინდივიდუალობა და შეუმცდარი მხატვრული ალი.

გივი კასრანის ამ ორმა ნამუშევარმა

კვლავ დადასტურა, თუ რაოდენ იზრდება მათი ავტორი ღრმა შინაგანი პოტენციალის მქონე ოსტატად, თუ რა მიზანსწრაფულად ყალიბდება მისი მხატვრული ხედვის თავისებურებანი იდეალიზებულ-სტილური სტრუქტურებიდან კონკრეტულ-სამოქალაქიურ სახისმეტყველებამდე. ამ ნაშრომებშიც კარგად ჩანს, თუ ზრდასრული შემოქმედი როგორი თანმიმდევრულობით ახერხებს მოდელის პლასტიკულად გარდასახული ხატის სფეროში შეიტანვის მისი სულიერი სამყაროს ყველაზე დამახასიათებელი ნიშნები და ამ ტრანსფორმირებულ-სტილიზებულ რეალობაში დაღანდოს და შეიქნოს კონკრეტული რეალობის მკაფიო ნიშნები, სრულიად მოულოდნელი რაკურსითა თუ წახანავად დაგვიანოს ხასიათი, გააფართოვოს ჩვენი წარმოდგენები, მიმართებანი და დამოკიდებულებანი ადამიანზე, მისი ყოფიერების ფილოსოფიურ არსზე, ცნობიერ ბუნებაზე, შინაგან სამყაროსა და ადგილზე საზოგადოებაში.

ჟ. ლოლაშვილი, ცნობილი მხახიობი, რომელსაც უკვე კარგა ხანია ციციანობით როგორც მხატვარსაც, უშუალოდ და მართლად განხედლი ემოციური სამყაროს ავტორად მოგვევლინა. მისი „პეიზაჟი“, „დილა“, „ჩიტები“ და „დაბრუნება“, რომელთა გამომსახველობითი ენაც უბრალოა და ძალდაუტანებელი, საგნისა თუ მოვლენის აღქმის მოულოდნელი კუთხითაა აღიერებული. ის ერთგვარად ინფანტილური ხედვაც, რომელიც მათში გამოსჭვივის, ავტორის გულწრფელ და შეურყვანელ სულიერ სანყისზე მეტყველებს.

დინარა ნოდის ციკლი „მოგონებანი ძველ თბილისზე“ მხატვრულ-სახეობრივი უპირობით ეხიანება მისსავე „უღუბის“ სერიას, გაბედული კომპოზიციური და პლასტიკური საშუალებებით ავლენს იგი ყოველი მოცემული კონკრეტულ-სიუჟეტური ამოცანის ემოციურ არსს, დეკორატიული გამომსახველობა თემიდან ამომავალი სპეციფიკურ-თვისობრივი ნიშნების რიტმულ და რაკურსულ მონაცემებზე დაყრდნობით გაიანზრება და კარგად ერწყმის ჩანაფიქრის რომანტიკულ პათოსს, მისი თანახმიერია.

საერთოდ, გამოფენის გრაფიკულ ნაწილში კვლავ შესამჩნევ იყო მასალაში (ოფორტი, გრაჟიურა...) განხორციელებულ ნაწარმოებთა ერთსახეობა, თემატურითა და ტექნიკურად, რაც ამ ბოლო ხანებში სულ უფრო თვალმისაცემი ხდება და ხშირად თავისსავე თავში გამორიცხავს მხატვრის საკუთარ ხედვას, ორიგინალურ ინტერპრეტაციას, ეროვნულ-ხასიათობრივად მოქმედ საწყისს. ჩვენი ფიქრით, გრაფიკული ენის სპეციფიკურ-გამომსახველობითი თვისებების შეზღუდვა და გადაღახვა კი არ არის საჭირო, არამედ ათვისებულ სტილისტიკაში მოძიება იმ მარცვლისა, რომელიც 70-იან წლებში მოსულ გრაფიკოსთა თაობას (გ. ნერეთელი, გ. ლლონტი, ა. თევზაძე, ს. ცინცაძე და სხვები) შესაძლებლობას მისცემს მათი გრაფიკული ფურცლების „წრდილოეთური“ წარმომავლობა საკუ-

თარი წიაღობრივი სულითაც „გაბათონ“. მაშინ უფრო ნათლად წარმოჩინდება ავტორთა დამახასიათებელი ოსტატობა, ქართველი მხატვრების სულიერი და ზნეობრივი სახე, პოზიციაც. ეს კი თანაზრად ვრცელდება სხვა ფარგლებში მოთუშავე ახალ-გაზრდებზეც, რადგანაც მათ უმეტესობას ჯერ კიდევ უჭირს არ მარტო მხატვრული ამოცანის გადაჭრა, არამედ დასმაც კი... და რაც ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია, ეროვნულ-ტრადიციული საწყისების აქტიური შემოქმედებითი გაცნობიერება.

შედარებით ძუნწად იყო წარმოდგენილი ქანდაკება. თუმცა გამოფენილი ნამუშევრებიც საკმარის მასალას წარმოადგენს იმისათვის, რათა გამაერთიანებული ნიშნები მიუთქმნონთ და ზოგადად წარმოვიდგინოთ ისინი.

აეთ. მონასტიძე, ახალგაზრდობის მიუხედავად, უკვე ნაცნობი სახელია. არაჩვეულოვანად ექსპოზიციაში მის არათუ ერთ, ზოგჯერ ორ და მეტ ნამუშევარსაც შეიძლება შევხვდეთ. მისასაღებელია მხატვრის შემოქმედებითი მუშაობის ამგვარი ქმედითობა და შრომისმოყვარეობა. მაინც რით გამოირჩევა მონასტიძის პლასტიკა? პიროვლ რეგმი, სწორედ პლასტიკურობით, თუმცა არც რბობი, ერთგვარად „ფერწერული“ ძერწვის მაინარა მისთვის უცხო და არც გრაფიკულობა. მეორე, რაც გამოირჩევა მას, როგორც მხატვარს, ესაა გულთბილი, ამასთან ერთად ირონიული, იუმორული გამათბარი და უჩვეულოდ ოპტიმისტური დამოკიდებულება თავისი გმირებისადმი, საერთოდ იმ ემოციურ-პლასტიკური სამყაროსადმი, რომელიც ჰყავს მოძიებული მოდელში. მოქანდაკეს გამოარჩევა ასევე სახის გააზრების მოხმობილი არქაული და თანამედროვე ნიშნების სინთეზირება ქანდაკების ერთიან სტრუქტურაში, მაგრამ ამ დამახასიათებელ ფაქტორს მეორე ანგარიშგასაწევი მხარეც გააჩნია: სტილიზაციის ნაკადი, რაც ასე ორგანულად ერთვის მოქანდაკის პლასტიკური აზროვნების თავისებურებებს და განაპირობებს მისი ნამუშევრების ზოგად ეროვნულ სახეობას (და არა სულს), თვალმისაცემად მორდება და თითქმის შეუცვლელი სახით გადადის ერთი ნაწარმოებიდან მეორეში, ამასთან დაზგურ ნიშნებს თანდათან სცილდება და ხშირად თოჯინურ-კარიკატურულობამდე დასული, მხატვრული იდეის გაურკვევლობასა და გახლეჩიერებლობას ამჟღავნებს. თუ ახალგაზრდა მხატვარმა ამგვარ პლასტიკურ წესს თავი არ დააღწია, ადრე თუ გვიან ჩიხში მოექცევა. ამის ნიშნები კი საშემოდგომო გამოფენაზე ექსპონირებული „ცეკვითაც“ დადასტურდა.

ახალი თაობის უკვე ცნობილი წარმომადგენელია მოქანდაკე აეთ. მჭედლიშვილი, რომლის „მამაკაკის პორტრეტი“ უპირველესად მოდელის ხასიათის გამოკვეთილობით გამოირჩევა, რაც ნატურისადმი სწორი, სერიოზული დამოკიდებულებითაა ასახსნელი. მოქანდაკემ მთელი



მა მასალის (თაბაშირის) სპეციფიკურ მონაცემების დართვით ხაზს უსვამს მომსახურების შინაგან სინამდებეს და სულიერ სიფაქიზეს.



გ. შვაცავაია რობერტ ბერნსის პორტრეტი

რიგი ხასიათობრივი ნიშნები შეიტანა გმირის სულიერი პორტრეტის ხორცშესხმის გზაზე და ადამიანური თანაგრძნობითა და მეტყველი ლირიზმით ნიშანდებული მართალი და მიმზიდველი მხატვრული სახე შექმნა.

უანრული განწყობილების შემცველია კ. ჯაფარიძის „ტრენაჟიც“, სადაც ძერწვის პლასტიკური და გრაფიკული ხერხების თანაარსებობით იქმნება ემოციურად და პლასტიკურად გამომსახველი კომპოზიცია, რომლითაც ახალგაზრდა მოქანდაკე აგრძელებს და სრულყოფს „ბალეტის“ თემაზე შექმნილ სულბატურულ-დაზგურ კომპოზიციათა რკალს.

ნ. კვიციანი „ქალიშვილის პორტრეტში“ ცდილობს ზოგად შტრიხებში გასწას სახე, უარს ამბობს დეტალებზე და მხოლოდ არსებით პლასტიკურ ნიშნებზე გადააქვს ყურადღება, რაც კიდევ უფრო აშკარას ხდის ავტორის მისწრაფებას — განზოგადებულად წარმოსახოს ნატურის ხასიათი. სახის რბილი მოდელირება და შუქ-ჩრდილებით დაუნანერგებელი, მთლიანი ფორ-

მ. შანშიაშვილიცა და ჯ. რუხაძეც ინტენსიურად მუშაობენ მცირე პლასტიკის სფეროში. ამჯერადაც განსხვავებული რაკურსით დანახული „ქალის ტორსით“ წარმოგვიდგა ორივე მოქნდაკე. ჯ. რუხაძის ნამუშევარი, მოცულობათა გამახვილებული და ენერგიული გადმოცემით, ფორმათა ჰარმონიულობის შეგრძნებით მცირე ქანდაკების კარგი ნიმუშია.

გ. შვაცავაიამ „რობერტ ბერნსის პორტრეტში“ გარეგნულ-პლასტიკური ნიშნების გამოხატვის გზას მიმართა, მაგრამ ვფიქრობთ, საკუთრივ სულიერი ნიშნების შეტანამდე ვერ ამაღლდა, რადგანაც მხატვრული ამოცანის მთლიანი არსი უცხო აღმოჩნდა მისთვის. რ. ნაროუშვილის „თენგიზ არჩვაძის პორტრეტიც“ მხოლოდ გარეგნულად მანიშნებელი ხასიათის ზოგადი, ნედლი თვისებებითაა ნაკეპი, ვიდრე ვანცდილი სულისმირი მეტყველებითა და ხელშესახები შინაგანი სისავსით. ამ დროს ცოცხალი ემოცია, შინაგანადვე ვანცდილი ფორმა ადგილს უთმობს სქემატურ, ნიღბსმიერ ხასიათს, რაც ზოგჯერ მხატვრულ-პლასტიკური აზროვნების მაღალ დონედაც მიიჩნევა. კონკრეტული პიროვნების პორტრეტულ გამოხატულებაზე მუშაობისას პირველადი ფენა მაინც სწორედ პორტრეტული მსგავსებაა და შემდეგ, უკვე მასზე დაყრდნობით — ნატურის ფსიქოლოგიისა და შინაგანი სამყაროს გახსნა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაუთიარი „ესთეტიკური თორია“ ვერ გამართლებს თემის ამგვარი მხატვრული გააზრების პრინციპულად მცდარ ვერსიას.

ქანდაკება ვერნისაჟზე იმითაც იყო საკურადლებო, რომ შემოქმედებით მეთოდთა და ინდივიდუალურ მანერათა, საერთოდ, მხატვრულ ხედვათა დიდ სხვადასხვაობასაც ატლენდა. კარლო გრიგოლის მიზანსწრაფული ექსპერიმენტების რკალი სპეციფიკური პლასტიკურ-გამომსახველობითი ფორმის დიაპაზონის თვისობრივი გაფართოების სფეროში მოქმედებს. მისი „პლასტიკური ფორმა“ კიდევ ერთხელ მეტყველებს მოქანდაკის მიერ წარმოებული იდეების მხატვრულ საფუძველზე.

ა. თოფურიძემ „მოჭიდავის პორტრეტში“, ამ თემის ტრადიციული გადაწყვეტისამებრ, პლასტიკური აგების მდგრად ფორმისეულ წყობას მიმართა, რათა ნატურის ფიზიკური ძალისათვის გავსვა ხაზი

სსრ კავშირის სახალხო
არტისტები



გოგა ლორთქიფანიძე



ოთარ მელიქიშვილი



ცისანა ტაბიძე




ზურაბ სოტყალავა

და მასზე დაყრდნობით გამოეხატა მისი ხასიათი, ბუნება. ტ. სიხარულიძის „ეკიმ ი. ჭუმბურიძის“, რ. შეროზიას „კუბელი ქალის“, გ. კეშელავას „მამაკაცის“, ლ. მხეიძის „მოზუცის“ პორტრეტები ისევე ტრადიციული რეალისტური პორტრეტის ფარგლებში რჩება, ავტორები თავიანთი შემოქმედებითი გაქანების კვალად ცდილობენ გახსნან მოდელის ხასიათი და შესაფერი პლასტიკური მახასიათებელი მოუქებნონ მას.

როგორც ვნახეთ, საშემოდგომო გამოფენამ ბევრი დამახასიათებელი პრობლემა გამოკვეთა, ბევრი ამოცანა წამოჭრა. პირველ რიგში ესაა გარკვევა თაობათა ურთიერთდამოკიდებულების მომენტისა, რომელიც მუდამ ანგარიშგასაწევ ფაქტორს წარმოადგენდა ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხის გარკვევა-გააზრებისას. ეს უკანასკნელი ახალი არ არის და ყოველ ეტაპზე განსაზღვრავდა ხელოვნების, კერძოდ, მხატვრობის განვითარების შინაგან კანონზომიერებებს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, მოაქვს თუ არა საკუთარი სათქმელი ქართული მხატვრობის ახალგაზრდულ ფრთას, რა იდეურ-საზოგადოებრივ პრობლემატიკაზე დაფუძნებული მათი მხატვრული ინტერესები? რა ფართულ-სტრუქტურულ საფუძველზე ყალიბდება მათი პოეტიკის განმსაზღვრელი ნიშნები, რა მიმართება-შეა ყოველივე ეს საკუთარ, დიდი ტრადიციების მქონე ეროვნულ სანყისებთან?

თაობათა გზაშესაყარზე იმდენი ახალი, განსხვავებული, ხშირად მოულოდნელი მიმართულებანი და ტენდენციები იყრის ხოლმე თავს, რომ მის შესწავლას მრავალ საშუალებას და ალტერნატივასაც უქმნის, რათა სრულად გამოავლინოს არა მარტო თავისი, არამედ მთელი თაობის სულიერი და საზოგადოებრივი მიდრეკილებანი. ზოგჯერ ამ საშუალებათა სიმრავლეცაა მათ შემოქმედებით გზაზე პირუტყუ შედეგების მიზეზიც. ამგვარ ვითარებაში კი მნიშვნელოვანია, თუ თავიანთი ნიჭისა და მონაცემების საფუძველზე, რამდენად კეთილსინდისიერად გამოხატავენ შემოქმედნი თავიანთ მიმართებას გარე სამყაროსა და ჩვენი სინამდვილისადმი. ამ მხრივ საშემოდგომო გამოფენა გამოკვეთილ პოზიციურ და მკვეთრ შემოსაბრუნებელ ძვრებს არ მიაჩივს.



სსრ კავშირის სახელმწიფო
პრემიის ლაურეატები

რობერტ სტურუა



სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1979 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ:

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რეჟისორ რეზინა სტურუას, მხატვარ გიორგი ალექსი-მესხიშვილს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს რამაზ ჩხიკავაძეს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ირაკლი შიშკაშვილს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს მანრი ლოლაშვილს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს თეატრის სექტაკლისათვის „კავსიური ცარცის წრე“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში გაწეული დიდი ღვაწლისათვის „სსრ კავშირის სახალხო არტისტის“ საპატიო წოდებები მიენიჭათ:

თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს გიბა ლორთქიფანიძეს;
თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური დრამატული თეატრის ერთ წამყვან მსახიობს ოთარ მღვიმელიძეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა საოპერო ხელოვნების განვითარებაში გაწეული ღვაწლისათვის „სსრ კავშირის სახალხო არტისტის“ საპატიო წოდებები მიენიჭათ:

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს მინანა ტაბიშვილს;

სსრ დიდი თეატრის სოლისტს ზურაბ სოქოლიძეს;
ფურნალ „საბოთა ხელოვნების“ სარედაქციო კოლეგია და რედაქცია სულითა და გულთა ულოცავენ ქართული ხელოვნების შესანიშნავ მოღვაწეებს ამ დიდ აღიარებასა და საპატიო წოდებებს და უსურვებენ ახალ გამარჯვებებს.

გიორგი
ალექსი-მესხიშვილი



რამაზ ჩხიკავაძე



ირა გიგოშვილი



გურამ საღარაძე



ქანრი ლოლაშვილი



ქემალ ლაღანიძე





პიეზის გზით

ქეთევან კინწურაშვილი

თმებრი, როგორც განსაკუთრებით, ცოცხალი ორგანიზმი და, შესაბამისად, თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნება, თითქმის ყოველ ათეულ წელიწადში ეტაპობრივი მნიშვნელობის ცვლილებებს განიცდის.

როგორც ცნობილია, 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა დეკორაციულ ხელოვნებაში მიმდინარეობს ბრძოლა თეატრის არსებითი, „ყველაზე ფასეული“ (მ. თუმანიშვილი), მაგრამ წლების განმავლობაში ცნობილი მიზეზებით მივიწყებული თვისებების — პირობითობის ახალი ძალით აღორძინებისათვის.

ახალი ეტაპი სათავეს იღებს ისეთი ოსტატების შემოქმედებაში, როგორც არიან ს. ვირსალაძე, დ. თავაძე, ფ. ლამიაშვილი, ი. სუმბათაშვილი. ხოლო ახალი ტენდენციის საბოლოო დაფუძნება უკავშირდება იმ მხატვრების მოღვაწეობას, რომელნიც 60-იანი წლების დასაწყისში მოვიდნენ თეატრში (ო. ქოჩიაძე, ა. სლოვისკი, ი. ჩიკვაძე — სამეული, მ. მალაზონია, ნ. იგნატოვი, გ. გუნია, თ. მურვანიძე).

მათი შემოქმედებითი გზის დასაწყისში გ. ალიბეგაშვილი აღნიშნავდა: „ბოლო წლების დადგმების გაფორმება თვალნათლივ მოასწავებს ახალ ეტაპს თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების ისტორიაში. თუ ამ ეტაპის დასაწყისი, უკვე ცნობილი ხერხების განმეორებით, ისტორიული პირობებით შეწყვეტილი ტრადიციებისაყენ მიბრუნებით აღინიშნა, ახლა მხატვრები უცილობლად ეძებენ ახალ გზებს, რაც, უნდა ვიფიქროთ, მომავალში ახალ საინტერესო მიღწევებთან მიგვიყვანს“.

დღეს, როდესაც ეს მიღწევები უკვე სახეზეა, უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ 50-60-იანი წლების მიჯნაზე მომხდარი გარდატეხის მხატვრულ-ისტორიულ მნიშვნელობაზე.

ეს იყო გარდატეხის ეტაპი არა მხოლოდ დეკორაციულ ხელოვნებაში. „უფერულ, უსახურ“ (ნ. აკიმოვი) სპექტაკლთან ბრძოლის პერიოდში იცვლება მთლიანად თეატრის შემოქმედებითი სახე. რეპერტუარი მდიდრდება

თანამედროვე საბჭოთა და სასოციალისტური მწერლების ნაწარმოებებით. რეჟისორი ცდილობს ნაცვლად თეატრისა, „რომლის სიამოვნეც ორ მსახიობს ეტვირთებოდა“ (ნ. ურუშაძე), შექმნას ანსამბლის თეატრი, რომელიც ღრმად ხსნის ცხოვრების სიმართლეს. გმირულ-რომანტიკული თეატრის საუკეთესო ტრადიციებზე ისახება თამაშის ყოფილი-რეალისტური მეთოდი. კვლავ დგება რეჟისორის და მხატვრის მკვიდრო ურთიერთთანამშრომლობის ამოცანა.

სცენიდან თანდათანობით გაქრა უსულო ნატურალისტური დეკორაციები, ახალი ძალით აღორძინდა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ თეატრის მხატვარი უნდა ქმნიდეს არა „ცხოვრების მიმსგავსების“ კანონებით, არამედ სცენის კანონებით. ხოლო სცენა ყოველ

სპექტაკლში განსაკუთრებული პირობითი გარემოა, რომელიც სახეს იცვლის დრამატურგიის ამოცანებში, სპექტაკლის „ნეამოციანის“ შესაბამისად.

ამაში დავრწმუნდებით, თუ გავიხსენებთ ამ პერიოდის რამდენიმე სპექტაკლს.

„ჰიბრტრაქა“ (გ. ნახუციშვილის ზღაპარი, რეჟისორი მ. თუმანიშვილი, რუსთაველის სახ. თეატრი, 1963). მხატვრები (სამეურელი) მისდევენ რა რეჟისორულ ჩანაფიქრს, სცენაზე იმპროვიზაციული წარმოდგენის აღმოსაფერის ქმნიან. იმპროვიზაციული ფერადოვანი, ალიკაციური ხასიათის დეკორაცია შესატყვისად მიგნებული მხიარული დეკორატიული გარემოა. ცალკეული დეტალების პირობითი მასშტაბური შეფარდება ხაზს უსვამს მათ გროტესკულობას.

ზღაპრული პერსონაჟების კოსტუმები მოკლებულია ზღაპრულობას ჩვეული ვაგებით. სპექტაკლის ავტორებმა უარი თქვეს ნიღბებზე, მასკარადულ სამოსზე და ადამიანში, მის ჩვეულებრივ ჩაცმულობაში მიაკვლიეს ზღაპრის კონკრეტული პერსონაჟების წარმოდგენისათვის საჭირო ნიშან-თვისებებს. ძირითადი აქცენტი გადატანილ იქნა მსახიობის იმპროვიზაციის უნარზე, მის უნებლად და პლასტიკაზე, რომში უნდა გამოვლინდეს ზღაპრული პერსონაჟის ინდივიდუალური ბუნება. ამით ხაზი ესმებოდა ზღაპრისათვის დამახასიათებელ ალგორითულ ასოციაციებს.

სპექტაკლში „ნიბრძენი სიკრუისა“ (სულხან-საბა ორბელიანის ივანეების მოტივებზე, რეჟისორები თ. მაღალაშვილი, ნ. ხატიაცი, რუსთაველის სახ. თეატრი, 1963) ნ. ივანეობმა სცენის სიღრმეში გავსადა პანო — ფერწერული „მოზაიკა“. კომპოზიციის ცალკეული ფრაგმენტები ივანეების შინაარსს პასუხობენ. აქ ზედავით ცხოველებს — ადამიანებს ივანეურ პროტოტიპებს, თვით ადამიანებს, ყოფით საგნებს. მავრამ იბინი გადაწულნი არიან ეკლესიებთან და ციხე-სიმაგრეებთან, მიუბთიან და ტყეებთან, ცასთან, ღრუბლებთან, მთვარესთან და მზესთან. საქართველოს თემაზე შესრულებული ეს დეკორატიული პანო, რომელიც თავისთავად დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულებების ნაწარმოებია, განზოგადებულ მნიშვნელობას იძენს, რაც შეესაბამება დიდი მოაზროვნის ივანეობის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას.

ბოლო უშუალოდ სცენაზე მსახიობებს თვითონ გამოჰქონდათ ნიღბები და სხვა ატრიბუტები. იგებოდა მკაფიო და მსუბუქი

მიზანსცენები, რაც ხელს უწყობდა ფართო მასშტაბის პანორამის ფონზე წარმოდგენილი ცალკეული ეპიზოდების სწრაფ ცვლას.

ისტორიული დრამისათვის „კახაბერი სხმალი“ (ზ. კაკაბაძე, რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე, მაჭავანძილის სახ. თეატრი, 1965) მ. მაღალაშვილმა შექმნა სპეციალური ფარდა, სადაც მან შესასუფუნების ქართული ხელოვნების ცნობილი ნიმუშების სტილიზაციის მიზნით. ძველი რელიეფებიდან, მინიატურებიდან აღებული სხვადასხვა სცენა აქ პირობითად არის თავმოყრილი, რაც მკვეთრი ფერადოვანი ლაქების სიბრტყობრივგრაფიკულ შეფარდასთან ერთად, ფარდას დეკორატიულ ხასიათს ანიჭებს. ეს თავისებური მხატვრული უვერტიჟურა წინ უძღოდა სცენურ მოქმედებას, რომელიც ურემზე თამაშდებოდა. ურემი ხან მეფის ტახტად გადაიქცეოდა, ხან სიმაგრედ და ა. შ. ასოციაციის გზით, მხატვარი დარბაზში ისტორიული წარსულის განწყობას ქმნიდა.

სპექტაკლში „ტორლოა“ (ე. ანუი, რეჟისორი ლ. მიროსელიძე, მაჭავანძილის სახ. თეატრი, 1965) გ. გუნიამ სცენაზე გრაფიკულად მკვეთრი ხის კონსტრუქციის ააგო. ჯვრისა და სახარბოების მოტივებზე შექმნილი, უკიდურესად ლაონიური დეკორაცია კარგად პასუხობდა ენა დარჯის გმირობისადმი მიძღვნილი პიესის ტრაგიკულ ხასიათს.

შიშველი ხის ფიგურების ფონზე თვალნათლივ იკითხებოდა მოქმედ პირთა ფიგურები მკაცრ, ზედმეტ ატრიბუტებს და დეტალებს მოკლებულ კოსტუმებში.

მხატვარმა თანამედროვე გარდასახივით შექმნა შესასუფუნების ეპოქის შერგონება.

ძუნწი საშუალებებით იხსნება ნაწარმოების დრამატული კონფლიქტი სპექტაკლში „სიცილემის პროცესი“ (ა. მილერი, რეჟისორი რ. სტურუა, მხატვრები — სამეული, რუსთაველის სახ. თეატრი, 1965). უხეში ქსოვილის ფონზე სხვადასხვა რაკურსში შემოტრიალებული ხის მასიური კონსტრუქცია და თეთრი ბათქაშის კედლები ასეკურტ გარემოს ქმნიდა, რომელიც პიესის გმირების დაძაბული სულოვანი მდგომარეობის მექანიკურად გამოვლენას ეხმარებოდა.

მოქმედ პირთა სილუეტები გრაფიკულად მკვეთრ, ლოკალურ ლაქებად აღიქმებოდა, რაც ხაზს უსვამდა უმეტარი მაროლმსაგულეების ხელში მათ სასოფარეკითობას.

ფინალში თეთრი კედლები ქრებოდა და სიცილემის მცხოვრებნი მარტო რჩებოდნენ

ხის ძელების და სპექტაკლის აზრობრივი სიმბოლოს — სახრობელების ფონზე. ხმაურით ეშვებოდა რკინის ფარდა.

რამდენიმე სპექტაკლის ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვირწმუნოთ, რომ ვინებამახვილური თეატრალური აზროვნება, კონსტრუქციული და ფერწერული ხერხების შეთანხმების უნარი, მდიდარი ფანტაზია სხვადასხვა ხელწერის, შემოქმედებითი ინდივიდუალობის მხატვრებს საშუალებას აძლევს ყოველი კონკრეტული სპექტაკლისათვის შექმნან კონკრეტული ესთეტიკური გარემო, პირობითობისა და განზოგადების თავისი ზომით, რომელიც დრამატული მასალისადმი თანამედროვე დამოკიდებულებით არის ნაკარნახევი. ასეთი მიდგომა, შესაძლებელია, ერთადერთი სწორი გზა დეკორაციულ ხელოვნებაში. სწორედ ეს შეხედულება აალრძინა და განამტკიცა სცენაზე 60-იანი წლების თეატრალურმა ესთეტიკამ.


გამოვლინდა პირობითი გადაწყვეტის უმრავლესი შესაძლებლობები, რაც თავისთავად რთული გზაა, „გაცილებით რთული, ვიდრე ნატურალიზმი და ფოტოგრაფიზმი“ (ე. ზერბიქი). განმტკიცდა აზრი, რომ „რეალიზმა არც ილუსტრაციაა, არც მართლგვარობა. ეს არის ცხოვრების გამოვლინება, იმ იდეის, იმ აზრის სახიერი გახსნა, რომლისთვისაც დაიწერა ნაწარმოები“ (გ. ტოვსტონოვოვი). ხოლო სცენური ხელოვნების ბუნებიდან გამომდინარე, მთლიანად სპექტაკლისაგან დამოუკიდებლად, რეალისტური დეკორაციის, როგორც ასეთის, ნიშან-თვისებების დადგენა, შეუძლებელია. სპექტაკლის შემქმნელები გაერთიანებული ძალით უნდა ასახავდნენ ცხოვრების სიმართლეს.

წლითწლით დეკორაციული ხელოვნების ენა სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება, მდიდრდება სინთეზისა და მონტაჟის რთული ხერხებით.

თანამედროვე თეატრი კი არ მოგვიტოვროს ცხოვრებაზე, არამედ მსჯელობს მასზე. კლასიკური თუ თანამედროვე დრამატურგიის საფუძველზე, იგი სინამდვილის საკუთარ „მოდელს“ ქმნის.

დღეს სპექტაკლი არა მხოლოდ კონკრეტული გარემოა, არამედ მთელი განსაკუთრებული სამყარო, რომელიც სპექტაკლის ავტორთათვის ერთიანი ძალით არის შექმნილი, ხოლო მხატვარი მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ როლს ასრულებს.

თავიანთ მივებში მხატვრები აღწევენ დეკორაციის მაქსიმალურ მხატვრულ-ფუნქციონალურ ქმედითობას. იგი ხშირად არა მხოლოდ ფონია ან გარემო, არამედ მოქმედი სახე. აქედან წარმოდგება კრიტიკაში გაგრძე-



5. იგნატოვი

„სიბრძნე სიკრძისა“
მიზანსცენის ესკიზი.


ლებული პირობითი ტერმინი — „მოჭმედი სცენოგრაფია“.

— სპექტაკლში „მ მე ფ ლ ი რ ი“ (ე. შექაპირი, რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე, მხატვარი გ. გუნია, რუსთავეის დრამატული თეატრი,

6. მაღალაონია

„კახაბერის ხმალი“. ფარდის ესკიზი.





გ. გუნია „ტოროლა“. დეკორაციის ესკიზი

1972) მსახიობებთან ერთად „თამაშობს“ ტყავის ფარდა. მსხვილ, ქვევით დამძიმებულ ბაწრებზე დაკიდებული, იგი სხვადასხვა სურათში იცვლის ფორმას. ხან კარავის მოხაზულობას იღებს, ხან მალა იწევა და სცენის

გ. ალექსი-მესხიშვილი „კავკასიური ცარის წრე“. დეკორაციის ესკიზი



დიაგონალზე რიტმულად დაშვებულ ბაწრებში შორს მიმავალი გზის შეგრძნებას ქვევით ფარდის მდგომარეობის, ბაწრების ნახატის ვარიაციებით რეჟისორი და მხატვარი ზოგჯერ დააბნულად ექსპრესიულ, ზოგჯერ კი მედიდურად მშვილ ატმოსფეროს ქმნიან.

მხატვარი თითქმის უარს ამბობს რეჟისორზე, კოსტუმებს თავშეკავებულ ფერადოვან გამაში წყვეტს და აღწევს მაქსიმალურ გამომსახველობას. სიმბოლურ-ლაკონიური გზით, იგი სპექტაკლის პლასტიკურ სახეში აღბეჭდავს შექსპირის ტრაგედიის არსს.

სპექტაკლში „ოილიპოს მეფე“ (სოფოკლე, რეჟისორები გ. ლორთქიფანიძე, თ. მესხი, მხატვრები — სამეული, მარჯანიშვილის სახ. თეატრი, 1977) საერთო მოქმედი ფონია ერთიანი ქსოვილი, რომელიც გუნდს მოსაეს. იგი მსახიობების მოძრაობაში ცოცხლდება. ქსოვილიდან „იბერება“ ცალკეული სცენები, რომლებიც ანტიკური პლასტიკის ნიმუშებთან იწევენ ასოციაციას.

საერთო პრინციპი, რომელიც გუნდის სამოსს უდევს საფუძვლად — ვერტიკალურ ნაოჭებად დაცემული თავისუფალი ქსოვილი, ქოროს წევრებისა და სხვა მოქმედ პირთა კონკრეტულ ნახატში მეორდება.

მხატვრები არ სესხულობენ ძველებრანულ დეტალებს, არც მათ სტილიზაციას მიმართავენ. აქ ხდება იმ „ბერძნულის“ აბსტრაგირება, განზოგადება, რასაც ქვეცნობიერად ბადებს ანტიკური ნიმუშები. ეს არ არის გონებაში რესტავრირებული, პირვანდელი სახით წარმოდგენილი, არამედ სწორედ ფრაგმენტულად, „ნახსენებებში“ შემორჩენილი ბერძნული ხელოვნება.

დამახასიათებელია, რომ მხატვრის მიგნება სპექტაკლებში მნიშვნელოვანი ბიძგი ხდება ხოლმე რეჟისორული გადაწყვეტისათვის.

დეკორატიული გაფორმება ხშირად სპექტაკლის მთავარი აზრის გამოხატვის, შინაარსის გახსნის საფუძველია.

ძირითადი სიმბოლო სპექტაკლისა „კვავანტირაძე“ (მ. ჯავახიშვილის მიხედვით, ინსცენირება კ. მახარაძისა, რეჟისორი დ. ალექსიძე, მხატვრები—სამეული, მარჯანიშვილის სახ. თეატრი, 1974) არის ფული. ასიგნაციებით არის დაფარული უკანა კედელი. მოქმედების პროცესში ყრუ კედლის ფონზე ზემოდან ეშვება რთილის, კუბოს მოცულობითი გამოსახულებები, რომლებიც აგრეთვე ფულით არის დაფარული. ფულით არის მოხატული სუფრა რესტორანში. ერთ-ერთ ფინალურ სცენაში ზემოდან იყრება და თანტება ასიგნაციები. ამ მოტივის აქცენტრირებით, მხატვრები ხაზს უსვამენ კვატის და „მის მივეართა“ სამყაროში ფულის გაფიტვებასა და ადამიანის მორალურ გადატყვევას.

ბალეტისთვის „მედეა“ (კომპოზიტორი რ. ვაზიშვილი, ლიბრეტო და დღევა გ. ალექსიძის, ევრიზიდეს ტრაგედიის მოტივებზე, ზ. ფალიაშვილის სახ. თეატრი, 1978) ი. გეგეშიძე ქმნის აქრომატულ გრაფიკულ-დეკორატიულ პანოს, რომელიც ანტიკური ხელოვნების ნიმუშებით არის შთაგონებული ტრაგედიის განვითარების პროცესში სცენაზე ახალი მხატვრულ-აზრობრივი აქცენტები ჩნდება — ფარები წითელი, შავი, რუხი ლაქებით. პირობით-დეკორატიული ელემენტები ხაზს უსვამენ შურისძიების ტრაგიკულ თემას ბალეტში. დრამატულ პირველწყაროზე დაყრდნობით, მუსიკალური კრემიენდის, ცეკვის ექსპრესიის კულმინაციასთან ერთად, სცენაზე „სისხლი შთანთქავს“ ყველაფერს.

როდესაც მსვავსი გაღაწყვეტა თხრობითი ილუსტრაციულ ხასიათს არ იღებს, მხატვარი მიერ ხაზგასმული მოტივი შეიძლება სიმბოლოს დონეზე ამაღლდეს, ზოგჯერ კი მეტაფორის მნიშვნელობას იძენს.


ბოლო დროს დეკორაციის ფრაგმენტებზე ხშირად გარკვეულ აზრობრივ დატვირთვას აღარებენ, რაც მაყურებლისაგან წარმოსახვის მაქსიმალურ უნარს მოითხოვს.

სპექტაკლში „კავკასიური ცარცის წრე“ (ბ. ბრეხტი, რეჟისორი რ. სტურუა, მხატვარი გ. ალექსი-მესხიშვილი, რუსთაველის სახ. თეატრი, 1975) სცენის სიღრმეში ძველი ხის ღობე დგას, რომლის კარიბჭიდანაც გამოდიან მსახიობები. ზემოდან დაკონკილი, დაეწმლილი უხეშო ტილოს ნაჭრები ეშვება, ხან ბოლომდე და შედარებით ინტიმური მასშტაბის სივრცე ქმნის, ხანაც ზემოთ იწვევა და მაშინ სასცენო მოვლანი ფართოდ ახსნება.

მარცხენა კუთხეში, პორტალიან სხვადასხვა საგნებია შეგროვილი, რომელთა სიმბოლური აზრიც მოქმედების პროცესში იხსნება.

რუკა ცარცის წრით იმ აზრის სახიფათო ილუსტრაციაა, რომ პიესის მოქმედების ადგილად მხოლოდ პირობითად არის შერჩეული კავკასია, სინამდვილეში იგივე ამბავი ნებისმიერ ადგილზე შეიძლება იქონიებოდეს. თამაშის ტვიფრები აღმართის ანატომიის გამოსახულებით თითქოს იმის მინიშნებაა, რომ სპექტაკლის მიზანია აშხლოს, გააშოშვოს აღამიანის უარყოფითი ენებები, ხოლო ლეონარდოსტული „მადონა ლიტას“ რეპროდუქცია კემპარიტი დედობრივი სიყვარულის სიმბოლოა.

ამ სპექტაკლში პირობითის და რეალურის, თითქმის ნატურალიზტურის გადახლართვა როგორც დეკორაციის დეტალში, ისე მსახიობების თამაშში მეტაფორულ ქვეტექსტს ქმნის. მხატვრის მიდგომა რეჟისორის მიერ



ი. გეგეშიძე

„მედეა“. დეკორაციის ესკიზი

შემოთავაზებული პირობითობის დონით არის ნაკარნახევი.

რეჟისორის და მხატვრის აქტიური თანამშრომლობის შედეგია სპექტაკლი „ცხოვრება და სიკვდილი მეფე რიჩარდ მესამისა“ (უ. შექსპირი, რეჟისორი რ. სტურუა, მხატვარი მ. შევლიძე, რუსთაველის სახ. თეატრი, 1978). სცენის კედლებს ვადავს თეთრი ქსოვილი, დასისხლიანებული ბოლოებით; სისხლით არის შეფუთული ზოგიერთი პერსონაჟის კაბის ბოლოც; სისხლით იღებება ხოლმე ცისფერი ცაც — ერთადერთი ნათელი ლაქა სცენაზე. სისხლიანი გზით მოიპოვებს რიჩარდი თავის ერთადერთ მიზანს — გვირგვინს.

გაფორმებაში უხედა არის სიმბოლოები (გვირგვინი, სისხლი, სახრჩობელა), ორჯნოვანი დეტალები (ცელი, ორკაბი, საწამებელი იარაღები). სცენოგრაფიულად მოქმედია სპექტაკლის აბოთეოზური სცენა — დუველი რიჩარდსა და რიჩმონდს შორის. ისინი სამეფოს რუკაში „იძირებიან“.

სპექტაკლში ტახტი, კუბო, ყველაფერი ბორბლებზეა შემდგარი. თითქოს საუკუნეების სიღრმეში მოდიან გმირები და მათთან ერთად თეატრის მიერ წამოჭრილი პრობლემები და მოგვიწოდებენ რა აღამიანური მანკიერებების წინააღმდეგ საბრძოლველად, ზომავალში მიემართებიან. ამიტომაც ვაგრძობ დამკველბულთა, გაცევათილი, როგორც კავკასიური ცარცის წრეში“. საგნები პირობითად არის მინიშნებული და არა პირდაპირ,



ნაჩვენები. კოსტუმები არ განეკუთვნება ერთ განსაზღვრულ ეპოქას. განზოგადების გზით, რეჟისორი და მხატვარი წარმოდგენილი პრობლემის წარუვალ მარადისობაზე ლაპარაკობენ.

მაგრამ სპექტაკლი ნაწილობრივ დაკავიქრებს — ზემდებლად ბევრი სიმბოლო, ინტელექტუალური ქვეტექსტი ხომ არ არის? ხომ არ რჩება ცალკეული დეტალები (მაგალითად, ტრაგედიის უტყვი მოწმეების — ხარის, ყვავის ბუტაფორიები და სხვა) მოქმედების დაქვდან გამომდინარე, მყუდრების ხედვის, ყურადღების გარეშე? მსგავსი საფრთხე ხშირად შეიმჩნევა ბოლო პერიოდის სპექტაკლებში.

ჩვენ უნებურად შევიჭერთ რეჟისორის ფუნქციებში, ვინაიდან დეტალების დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, რეჟისორის ფანტაზიის ნაყოფია, მისი კონცეფციის ბეჭედი. მხატვარი კი მისი აქტიური თანავეტორია. სწორედ ასეთ თანამოაზრე რეჟისორთან შეხვედრას ესწრაფვიან ნოვატორულად მოაზროვნე მხატვრები.

განხილული სპექტაკლები მთლიანობაში ერთფასოვანი არ არის. მაგრამ სინტერესოსა: სცენოგრაფიული თვალსაზრისით. ხოლო

მხატვრის ჩანაფიქრი, როგორც სპექტაკლის სხვა კომპონენტები, ყოველთვის რომ ვერ პოულობს სათანადო სცენურ ხორცშესხმას, ცნობილი ქვეშაობებაა.

თანამედროვე თეატრში, როგორც არასდროს, იგრძნობა, რომ დეკორაცია, ვაფორმების დეტალები მხოლოდ მსახიობებთან, მოქმედებასთან უშუალო კავშირი, რეჟისორულ გააზრებაში იღებს დასრულებულ სახეს. იქნებ, ამიტომაც არის, რომ თეატრალური ესკიზი დღეს ხშირად ვაფორმების სქემას კი არ იძლევა, არამედ სპექტაკლის თემაზე შექმნილი მისი საერთო განწყობის ან აზრობრივი არსის გამომხატველი ნაწარმოებია. ეს რიგ შემთხვევაში თვითმიზნურ, გადაამეტებულად მეტაფორულ ხასიათს რომ არ იღებდეს, უშუალოდ თეატრალური ესკიზის მუშა ფუნქციის სახშით თუ არ მივედგებით, მხატვრულად სინტერესოა, ვინაიდან გამოხატავს მხატვრის პირად დამოკიდებულებას ნაწარმოებებისადმი.

სპექტაკლების მხატვრულ-კრიტიკული ანალიზი საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ქართული თეატრალური მხატვრობისათვის დამახასიათებელია შემოქმედებითი ხერხების უჩვეულო მრავალფეროვნება და თანამედროვე მხატვრული აზროვნება.


ჩვენ ვერ შევეხეთ თ. მურვანიძის, თ. სუმბათაშვილის, შ. შავჭავჭავის, ა. ჭელიძის, თ. ნინუას, თ. ჰეინეს და სხვა მხატვრების ნამუშევრებს, რომელთაც ბევრი სიახლე მოაქვთ თეატრში. დამახასიათებელ მაგალითებზე შევეცადეთ მხოლოდ ნაწილობრივ გვეჩვენებინა 60—70-იანი წლების ქართული საბჭოთა სცენოგრაფიის განვითარების საერთო ნიშნები, რომელიც, მისდევს რა საერთოდ საბჭოთა თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების განვითარების ძირითად მიმართულებას, მუდამ ინარჩუნებს მხატვრულ თვითმყოფლობას.

შენიშვნები:

- 1 თუმანიშვილი მ., სანამ რეპეტიცია დაიწყება, თბ., 1977, გვ. 151.
- 2 Алибегашвили Г., Оформление постановок театров им. Руставели и Марджанишвили (1922-1966 гг.), «ქართული ხელოვნება», სერია 13, წიგნი 7, თბ., 1974, გვ. 84.
- 3 Акимов Н., О театре. Л.-М., 1962, с. 175.
- 4 თუმანიშვილი მ., იქვე, გვ. 6.
- 5 საქართველოს სსრ ენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 21, ანაწერი 1, № 320.
- 6 ტოვსტონოვოვი გ., რეჟისორის პროფესია, თბ., 1975, გვ. 434.

სამუშაო

„კეპი კვაპიტრიამე“ დეკორაციის ესკიზი





ხელოვნების ნაწარმოების გაგებას ხელშეწყობის საკითხისათვის

ზურაბ კაკაბაძე

ხელოვნების ნაწარმოები, როგორც ჩვეულებრივ ამბობენ, ადამიანის ცხოვრების გამოსახავს, იგი ცხოვრების გამოსახულება... ადამიანის ცხოვრება გამოსახულების გზით გვეტყვის და მიწვევობს. ამიტომაც ხელოვნების ნაწარმოების გაგების საკითხი ნაწილობრივ თანხვედრა საერთოდ ადამიანის ცხოვრების გაგების საკითხს.

ყოველი ცოცხალი არსება, ერთი მხრივ, იმით ხასიათდება, რომ გარკვეული აგებულების სხეულს ფლობს. როგორც ასეთი, იგი განსაზღვრულ ადგილს იკავებს სივრცეში, მოძრაობს და ადგილს იცვლის მასში, სცილდება და უახლოვდება სხვა სხეულებს, ეჭაბება და ა. შ. — მოკლედ გარკვეული ფიზიკური მდგომარეობებითა და საქციელით ხასიათდება. ამასთან, ცოცხალი არსება გამსჭვალული და ამორჩევილია სრულიად თავისებური „ენერჯითი“ — მიმართებით საყოფარ და, აქედან, გარემომცველი საწყაროს ყოფიერებისადმი, ყოფიერების სხვადასხვა შესაძლებლობებს შორის გარჩევით ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოფიერების „განცდით“. ეს საერთოდ ცოცხალ არსებაზე და, კერძოდ, ადამიანზე ითქვამს — ადამიანი დანარჩენ ცოცხალ არსებათაგან ყოფიერებისადმი ამ მიმართების თავისებურებებით განსხვავდება, იმით, თუ სახელდობრ ყოფიერების რა შესაძლებლობებს არჩევს ერთმანეთისაგან და სახელდობრ როგორ არჩევს, ანუ თუ რასა და როგორ „განიცდის“. ამბობენ, რომ ცხოველი განსაზღვრული და შეზღუდულია ყოფიერების ერთი და იგივე შესაძლებლობებით, მაშინ, როდესაც ადამიანი, ამ მხრივ, „ღია“ და პრინციპულად შეუზღუდავია; ცხოველი მხოლოდ ირგანული, ბიოლოგიური არსებობის შესაძლებლობებს იცნობს, მაშინ, როდესაც ადამიანს ამ არსებობის ფარგლებს იქით სხვა არსებობის, საბოლოო ანგარიშით, მარაღაული არსებობის შესაძლებლობები აქვს შეცდვლიანობაში.

ამგვარად ჩვენ არ გვანტირებებს იმისი გარკვევა, თუ სახელდობრ რაში გამოიხატება ცხოველებისაგან ადამიანის არსებითი განსხვავება — მოვარი ისაა, რომ ადამიანის ცხოვრება განცდვითა თავისებურ მდინარებასა და ურთიერთობებს წარმოადგენს და, რომ მაშასადამე, მისი გაგება ამ მდინარებისა და ურთიერთობის გარკვევას მოაწივებს.

გარკვეულად ერთი და იგივე განცდა სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა მოტივით იყოს გაპირობებული; ხოლო ეს მოტივი საბოლოო ანგარიშით უშუალოდ გამოსახული არაა ხოლმე და სიღრმეში იმალება; ამასთან, ნამდვილი მოტივი, როგორც ცნო-

ბილა, ხშირად საგანგებოდ მფარავს თავის თავს და ინიღბება. ყოველივე ამის გამო ადამიანის ცხოვრების გაგება დაფარულის გამჟღავნების ანუ ინტერპრეტაციის სახეს იღებს.

უშუალოდ გამოსახული და შედაპირზე მდებარე განცდები გარკვეულად ხშირად გამოიყურებიან, როგორც ერთმანეთთან დაუკავშირებელი, ზოგჯერ კი როგორც ერთმანეთის საპირისპირონი. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვაგვიხსენებთ, რომ ისინი მოტივირებულნი არიან სიღრმეში მდებარე ერთი საერთო მოტივით და, ამგვარად, საერთო წარმოშობით არიან გაერთიანებული... უშუალოდ გამოსახულ განცდათა გარკვეულ სიმრავლესთან რომ გვაქვს საქმე, ჩვენ ვცდილობთ ისეთი მოტივი გამოვცენოთ და დავახსლოთ, რამელიც უშუალოდ მათგან მიესადაგება და შეეფერება — გაგება მიღწეულად მიგვანინა, როცა ასეთი ერთიანი მოტივის ნოვანებს ვხედავთ. ამაში გამოიხატება სრულიად მოკლედ და სქემატურად ინტერპრეტაციის ოპერაცია.

ეს ეტება საერთოდ ადამიანის ცხოვრების გამოსახულებათა გაგებას... ხოლო გამოსახულებანი სხვადასხვა ხასიათისა — ადამიანის ცხოვრება არა მხოლოდ მის საქციელსა და მოქმედებაში გამოიხატება, არამედ, აგრეთვე, ამ მოქმედების პროდუქტებში, ერთერთად „კულტურის საგნებში“. როგორც ასეთი, ეს უკანასკნელნიც ინტერპრეტაციის მოთხოვნენ... როცა, მაგალითად, არქეოლოგი გათხრებისას რაღაც ნივთს პოულობს, რომლის შესახებაც მან მხოლოდ ის იცის, რომ ადამიანის ნაბეჭავია და, მაშასადამე, რაღაც გარკვეულ მიზნს ემსახურება, ხოლო, ამასთან, არ იცის სახელდობრ რა მიზანია ეს, თავდაპირველად გარკვეულ დაშვებას აკეთებს ამ მიზნის თაობაზე; შედეგ ამოწმებს, თუ რამდენად შესაბამისია ეს დაშვება ნივთის ყველა დეტალსა და კომპონენტს, და ამ მხრივ სრულ შესატყვისობას რომ აღმოაჩენს, ნივთის გაგებას მიღწეულად მიიჩნევს.

ადამიანის ცხოვრების გამოსახულების განსაკუთრებულ შემთხვევას ის შემთხვევა შეადგენს, როცა ადამიანი უნებურად და უცაბედად ეს არ გამოსახავს თავის თავს საქციელითა და ნაბეჭავში, არამედ სავანებოდ ცდილობს და მიესწრაფვის თავისი აგრების, იდეების, გრძნობების, განწყობილებების გამოსახვას და საამისოდ შესატყვის საშუალებებს ეყენება... ასეთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ენასთან...

ხელოვნების ნაწარმოები არის სწორედ სრულიად თავისებური, განსაკუთრებული სახის ენა; იგი სრულიად თავისებური, განსაკუთრებული საშუალებებით გამოსახავს და ამბობს რაიმეს, ამიტომაც

ნაწარმოების გაგება იმის გარკვევაა, თუ სახელდობრ რას ამბობს იგი...

რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ გავიგოთ სახელდობრ რას ამბობს და რას გამოსახავს ხელოვნების ნაწარმოები, საჭიროა გამოასახოს მის მიერ გამოყენებულ საშუალებებსა და ხერხებს ვაჭერკვეთ. ხელოვნების ნაწარმოების გამოკვლევისას შესაძლებელია, ზოგჯერ ეს აუცილებელია იმისაგან განკვეთა, თუ რას ამბობს ნაწარმოები, ანუ „შინაარსიდან“ განკვეთა და მხოლოდ და გამოასახოს ხერხებისა და საშუალებების, ანუ „ფორმის“ განხილვა. შესაძლებელია, მაგალითად, რომანში სიუჟეტის აგების, გმირებისა და მათი პოზიციების თანაფარდობის, ხდომილებათა თანამიმდევრობის და სხვ. აღწერა ისე, რომ ამასთან არ განმარტოთ, თუ სახელდობრ რა გამოისახება და რა თქმის მათი მემუეობით, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ამდგურება აღწერებმა ნაწარმოების მიერ ნამდვილი სამყაროს თაბაზუნ ნათქვამის ანუ „შინაარსის“ გამომდგენებამდე უნდა მივვიყვანოთ. ხოლო ნაწარმოების „შინაარსის“ გამომდგენება არსებითად იმზე გუთ ხდება, როგორც სახიროდ აღვანინა საქცილისა და ნახალები საზრისის გაგება. იფიქროსსება, რომ ფორმის შინაარსით განისაზღვრება, გამოისახვის საშუალება გამოისახვით საზრისითაა მოტივირებული, იმითი, რაც გამოისახული და ნათქვამია ნაწარმოებში ნამდვილი სამყაროს თაბაზუნ. ამიტომაც ნაწარმოების გაგება მისი ფორმალური კომპონენტებისათვის თანაზარდ შესავფერისია და შესაძლებელია ერთიანი საზრისის როგორც ერთიანი შენაგანი მოტივის მიგნებას მოასწავებს...

გაგებას, როგორც ინტერპრეტაციას, არა მხოლოდ ცალკეული ნაწარმოები, არამედ, აგრეთვე, მოცემული ეპოქის მთელი ხელოვნებაც ექვემდებარება. ერთი ეპოქის ხელოვნება რაღაც სახით ფორმალური თავისებურებებით ხასიათდება და მათს მამოტივირებელ ერთაზ საზრისს რომ მივაცნებთ, ამით ეპოქის ხელოვნების გაგება ვაღწევთ... უცვლელ, გაგების მეთოდური იატერისი იფიქროსსების მიზნით, გავანალიზოთ თანამედროვე დასავლეთის ხელოვნება.

დღესდღეობის რომანების ძირითადი ფორმალური თავისებურება, როგორც ეს მ. ბახტინმა უჩვენა თავის შესანიშნავ გამოკვლევებში, „პოლიფონიისა“ და „დილოფურების“ გამოკვლევებში, ტრადიციული ევროპული და, აგრეთვე, რუსული რომანის „იმპროფორმის“, „მონოლოფურების“ საპირისპიროდ. ამასთანავე, ბახტინმა ისიც სასებუთი სამართლიანად აღნიშნა, რომ „დღესდღეობის რომანი ყველაზე მეტად გავლენიანი ნიშნული თანამედროვე დასავლეთში“. არა რომ „პოლიფონიისა“ და „დილოფურების“ შეძლებსა განვიხილოთ როგორც თანამედროვე დასავლეთის ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე მეტად დანახასიათებელი ფორმალური თავისებურება.

სახელდობრ რას ნიშნავს რომანის „პოლიფონიისა“ და „დილოფურების“ მისი „იმპროფორმისა“ და „მონოლოფურებისაგან“ განსხვავებობა?

დღესდღეობის გმირები განსხვავებული და საპირისპირო მსოფლმხედველობით-იდეოლოგიურ-ეთიკური პოზიციებითა და იდეებით ხასიათდებიან. თითოეული ამტიციებს თავის პოზიციასა და იღებს სხვათა პოზიციებისა და იდეების წინააღმდეგ. ყველანი ისინი გასხვავებით იღებებიან და ეყაბობებიან ერთმანეთს; მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ აწუხებს ამ დანახსა და კამათში გადამწყვეტ, საბოლოო უპირატესობასა და გამარჯვებას, ვერცერთი მათგანი ვერ ახერხებს უპირობოდ და უშედეგოდ გამართლებული პოზიციის მქონედ აჩვენოს თავი, ყველანი ამ მხრივ თანაბრად გამართლებულნი და გაუმართლებელი ჩანან. ავტორი, ამგვარად, არცერთ მათგანს არ უტერს განაჯიბი მზარს, არცერთ მათგანს არ უტერებს განაჯიბი ერთი თავის მხარს და როცა თავის მხრივ ამბობს სიტყვას, მისი ხმაც მათი ხმების თანაბრად დურს; იგი თავის პოზიციას არ ანიჭებს მეტ დამაყრებლობასა და, მასთანავე, გადამწყვეტ უპირატესობას... გმირების (და, აგრეთვე, ავტორის) პოზიციები არც ერთიანი განფართობის საფუძვრებისა და სტადიების სახით არ წარმოგვიდგებიან ისე, რომ ერთიანი ხაზი მიიღებოდეს და, მასთანავე, ყველა განსხვავება და დამარსპირება რიგდებოდეს ერთ საბოლოო პოზიცი-

აში. თხრობა ისე მოაგრდება, რომ მდგომარეობა არსებითად უცვლელი რჩება — ავტორი საბოლოო გადამწყვეტილებას არ იღებს და, ამიტომაც გმირები და მათი პოზიციები, იდეები თავიანთი დამოკიდებლობასა და ტოლფასობისა ინარჩუნებენ...

დღესდღეობის რომანები „პოლიფონიის“ და „დილოფურის“ ხასიათიან, სწორედ ამ შირობა, რომ არცერთი მათგანის „ხმა“ არ იმორჩილებს, არ იქვემდებარება და არ „ააზნობს“ სხვათა „ხმებს“, არამედ თვითიფიქრს „ხმა“ ინარჩუნებს დამოუკიდებლობას, თანაბარ უფლებებს და ღირებულებებს... ამისაგან განსხვავებით ტრადიციული ევროპული და, აგრეთვე, რუსული რომანი „იმპროფორმის“ და „მონოლოფურისა“, რამდენადაც მასში ყველსთვის „იფიქრს“ ხოლმე ერთი უპირატესი „ხმა“, რომელიც იმორჩილებს და „ააზნობს“ დანარჩენებს; ანუ რამდენადაც მასში ავტორი სრულიად გარკვევით უპირატესობას ანიჭებს რომელიმე ერთი გმირის ან გმირების რომელიმე ერთი გუფის პოზიციასა და იღებს და ასევე გარკვევით ამატუბებს და კიცხავს დანარჩენთა პოზიციასა და იღებს. მართალია, ტრადიციული რომანში ზოგჯერ არ ფიგურირებენ ავტორის მიერ გაზარბებული, უპირატესი პოზიციისა და იდეის მქონე გმირები, მაგრამ ასეთ შემთხვევაში თითონ ავტორი თავის მხრივ გამოისახავს რაღაცეაგად მისი თვით უპირატეს პოზიციას და ასე „ჩახაზობს“ თავისი გმირების „ხმებს“.

„პოლიფონიისა“ და „დილოფურისა“ დღესდღეობის რომანებში სამყაროს აგების თავისებურების დახასიათება და, როგორც ასეთი, მათს ფორმას ეტება — იმას ეტება, თუ როგორ, რა წესით გვეტება რაიმე დღესდღეობის რომანი, და არა იმას, თუ სახელდობრ რას გვეტუბნება. ფორმის ე შესანიშნავი განისაზღვრება, იგი, როგორც განისაზღვრავს თავისებურებას, ავტორის მიერ ნამდვილი სამყაროს, ნამდვილი „სოფლის“ ხედვის, ანუ ავტორის „მსოფლმხედველობის“ თავისებურებითაა მოტივირებული. რომანში „პოლიფონიისა“ და „დილოფურისა“ სამყაროს აგების წესით დღესდღეობის მის მიერ ნამდვილი სამყაროს, „სოფლის“ თავისებურ ხედვას გამოისახავს და ამით თავისავე; ან წესით იგი ნამდვილი სამყაროს თაბაზუნ მის მიერ მიღწეულ კუმშარტიტებას გვეტუბნება...

სამწუხაროდ, ბახტინი ზოგჯერ ისე მტყულობს, რომ სახაბს იფიქრება მდგომარე შეზღუდულობისათვის, ვითომდა „პოლიფონიისა“ და „დილოფურისა“, დღესდღეობის „მხატვრულ ამოცანას“ რომ შეადგენდა, ამასთან არავითარ კავშირში არ იყო მის მიერ ნამდვილი სამყაროს ხედვასთან ანუ მის „მსოფლმხედველობასთან“. ამგვარად, — წერს ბახტინი, — დღესდღეობისეული რომანის სტრუქტურის ეყვლა დამებნებელ ღრმად თავისებურია; ყველა იმისი არ ასაღო მხატვრული ამოცანით განისაზღვრებიან, რომლის დაუყენებაც მთელი თავისი სიზარბოფითა და სიბრძნის აგებლად დღესდღეობის შეეს. ხედა; ესა პოლიფონიისა სამყაროს მხედვისა და ევროპული, ძირითადად, მონოლოფური (იმპროფორმის) რომანის ჩამყვლებული ფორმების წყრების ამოცანა“; სხვაგან ბახტინი წერს: „...დღესდღეობის, როგორც მოაზრების, იდეების, მის პოლიფონიურ რომანში მხედვადობას, თვითონი არსებობის ფორმას იცვლის და იდეების მხატვრული სატყუბად გარდაიქმნება; ისინი გარდაიქმნებიან მთლიანობაში უფროთანდებიან აღვიანების (სონის, მშეიის, ზსონის) სატყუბს, თავისუფლებიან თვითონი მონოლოფური ჩატიეობლიობა და დანარჩენულობისაგან, სატყუბთ დალიფონიის ხედვიან და სხვა იდეების (ჩასტუბიკიკიკი, იფანე წარამაზოვის და სხვ. იდეების) სატყუბს ერთად სრულიად თანაზარი უფლებითი ჩატიეობლიობა ხოლმე დიდ დალიფონი“. გამოიღის, რომ ცხოვრებაში დღესდღეობის, ყოველგვარი ეტყუბა და მერყეობის გარეშე ანუ „მონოლოფურად“ იყო დარწმუნებული გარკვეული იდეების უპირატესი კუმშარტიტებაში, მაგრამ რომანში, პოლიფონიური სამყაროს აგების თავისი „მხატვრული ამოცანის“ შესახასად, გაჩნებ მალადა და არ ამღავინებდა ამ თავის დარწმუნებას, გაჩნებ მალადა და არ ამღავინდა მისთვის საწმუნე იდეების უპირატესობის მაჩვენებელ მოსარბებებს და, ამგვარად უზრუნველყოფდა დაპირისპირი იდეების ტოლფასოვან „ფიქრადობას“...

რა თქმა უნდა, დღესდღეობის უბუბლიტებულ წყრებლბში უფრო დღესდღეობის, გარკვეული იდეების უცურსტრუქტურ სიბარბული



მეტად დარწმუნებული გამოიყურებოდა, ვინც რომანებში; მაგრამ აქედან არ შეიძლება დავასკვნათ საერთოდ დღესდღეობის რომანებზე უარსა და დღესდღეობის თიოქის და დღესდღეობის სანქციონის, რომ სპონსორების წყალობით, მხარდაც ბოლომდე გულწრფელი არ არიან და ბოლომდე არ გამოისიქვინ ხოლმე თავიანთი ეგვიპტე — ისევ, როგორც ვთქვით, მაქსიმალური მონაწილენი, ანუ იკაბის მამა თავის ბავშვებთან ერთდგება ხოლმე სახითავე ეგვიპტის გამოქვინა... უფრო მეტიც, ცხოვრების შინაარს თავს თავიანთ ან არიან ხოლმე საქმარისად გულწრფელი — საშინელი ხილვებით შემოფარებულნი, თავს იკავებენ, ვითრინდა ადარებს ხილვებზე, ხოლო მხატვრული შემოქმედებლა შეუძლებელია თავის მოტყუება ან არაფურთხვებლობა, რადგანაც დამატებული მხატვრული სახე მხოლოდ ნაწილი ხილის ნიდაგზე იქნება: თუი მხატვარი საქმარისად ნაილად არ ხდება, ვთქვით, დღერთის მოწაირობას ამ ქვეყნად, მასინ მას არ შეუძლია ამ მონაწილეთის დამატებული იტრისმანიან სახის შექმნა, არამედ მის მიერ შექმნილ სახეში უფროდ შესვებით უარყოფის ხმაც გაისინს... სწორედ ასე დამართა დღესდღეობის ნაწილი საშინაოს, „ხმებს“ რომ უფლებად უფრს, ვერ ახერხებდა მათს „მოთხოვნურ მოხმებს“, არამედ „მოლოდინორად“ იხმებდა. მას... ზედათი ითქვინს, რაც მან ახსენებდა... კრიტიკის ათქვინება სტავროპოლზე: „სტავროპოლს, თუი სწამს, არა სწამს, რომ სწამს, ხოლო თუი არა სწამს, არა სწამს, რომ არა სწამს...“ ამ მხრივ მეტად სიმბოლოტრის დღესდღეობის მიერ მავიოტრის მიწერილი წერილი, სადაც იგი მის მიერ იხმებდა განსაკუთრდ ჩანათვის ეტყობოდა: „ვერღა ნაწილში ის სათელი დგას, რომელიც მე ცნობილიად თუ არა ცნობილიად მისი ცხოვრების მანძილზე ვინაწებებდა...“ — დღერთის არსებობის სათიხი. გმირი ცხოვრების განვალბაში ხან ათიხება, ხან მორწმუნე, ხან ფანტაზიოხა და სქიდატრ, ხანც კვლავ ათიხება... სვავთა შორის, ამ დაურწრელი რომანისათვის მოუფრებლმა გმირმა მრავალხმრივ განსაზღვრა სტავროპოლის სახე, არა თქმა უნდა, შეეძლოა იქნება, დღესდღეობის სტავროპოლის ამ მის რომელიც სხვა გმირთან სახუბით ვავიოტრებო: მაგრამ ერთი რამ კი ცხადი ხან ზემოთყვანილი ციტატის მიხედვით: დღესდღეობის თავის რომანებში სტავროპოლად ამ რომანისათვის მოუფრებლსა და გამოიონილ პრობლემას კი არ აუხედდა, არამედ სწორედ იმას, რომელიც აგრეთვე ცხოვრებაში იდგა მის წინაშე და რომელიც, მასთანად, მხოლოდ წარმოსახულ და ვავიოტრის საშუალოს კი არ ეტყობოდა, არამედ აგრეთვე ნაწილი საშუალოს. შეიკრებ — ეს ის პრობლემაა, რომლითაც „მოთელი ცხოვრების მანძილზე იტყვებოდა“ და რომელიც, მასთანად, მას, სწორედ ცხოვრებაში, საბოლოოდ ვერსახებ ვერ გადაწყვეტდა — ანუ, სხვაგვარად, რომელიც მის ერთი უპირატესი სახუბი ვერ მოეხატა... ამქადა, რომ დღესდღეობის „მოლოდინორად“ ხედავდა ნაწილი საშუალოს, ნაწილი „სოფლის“ და ამითი იყო მოტივირებული მის მიერ რომანებში „მოლოდინორა“ საშუალოს, „სოფლის“ აგება.

როგორც მართებულიად შენიშნავს ბახტინი (შლოკისთვის კვლავაც), დღესდღეობის „მოლოდინორა“ რომანი პრინციპულიად დაუმთავრებული და დაუმოლოცებულია, მას მხოლოდდა „პირიბით-დღესდღეობის“ ბოლო განიხილა. კავშირის შორის „მოლოდინორა-რომანს“ და „პრინციპული დაუმთავრებლობის“ რომის სახეხის ამქადა — „მოლოდინორა“ სახეხილის იქნება მომავალს, რომ მისამათ მხარეები თანაბარულდებინან რის მიხედვითი მათგანი ვერ იმარჯვებს და, რომ მასთანად, კანათი არა მთავრდება...

ამათან დაკავშირებით საინტერესოა ვავიოსნით ფრანც კაუკას შემოქმედების ერთი თავისებურება — კაუკას შემოქმედებისა, რომელიც დღესდღეობის დღესდღეობის ხაზის ერთ-ერთი ყველაზე მეტად მკვეთრი გაგრძელებაა. კაუკას თავისი რომანები „უფოტურად“ დაუმთავრებელი და დაუმოლოცებული დარჩა—მან ვერ შესძლი ბოლომდე მიეყვანა თბრბა და წერტრული დავის; მისი რომანები, ამიტომაც ფრანგმენტების სახითა წარმოადგენილი. რითი იყო კაუკას ასეთი საქციელი მოტივირებული? რა თქმა უნდა, იმითი არა, რომ ასეთი იყო კაუკას „სმხატვრული ამოცანა“, არამედ იმით, რომ მან მის მიერ ცხოვრებასა და, აქედან, რომანებში დაუცხებელი პრობლემის გადაწყვეტა ვერ მოახერხა... სიკვდილის წინ კაუკას თავის მეგობარს ადრბადა მისი ხელწერილების დაწვა დაწვა — რა იყო ამ ანდრისის მოტივი? — ცხადია, არა ის, რომ კაუკას უქმა...

ყოფილი იყო მის წინააღმდეგ სიუეტის აგებულებით ანდა რაიმე სხვა ფორმალური დეტალით, არამედ სახელობის ის, რომ მან ვერ შეინახის ცხოვრებისა და ბედნიერების პერსპექტივის ფუნქციონირებას საყოველთაო სასუფო მასების თქმა ვერ მოახერხა... ამდენთან არ შეუძლია მასში რაღაც დარღვეულებლობა მყარი ნიღბის გაგრძელება, აღნიშნავდა კაუკას „არავად დაურღვეველი“ (etwas Unterstörbare) აქ ადამიანის დროებით ცხოვრებაში მარადისობის მოლოდინის გულსხმის. მარადისობის მოლოდინი და, ამგვარად, მარადისობისთან ზარება, უფროზად კაუკას, ადამიანის ცხოვრების იდეალსა და არა შეადგენს, რის გაგრძელებად შეუძლებელია ადამიანთა შორის ადამიანური ურთიერთობის, მათი ადამიანური ბედნიერება, ახალ დროში მარადისობის მოლოდინის ასე მარადისობის შენადობა, დაღარდავება... იდეალის სახით შეინერგულებულია კარგობის იქნა დასახულო... კაუკას ამ შობავებულების ქვეშ იდგა, რომ „პროგრესის“ იდეალმა თავისი დრო მოსჭამა, „ანტიდედალად“ იქნა და ამირივად ვერსახად კაცობრივსა გადავარებისა და ეფექტუალური მოქმედების; ამასთან არა ახალი, მხსნელი იდეალი არა ხან, ვერსახად კაცობრივის ცხოვრება, მასთანად, სა... შინადა ვავიოტრებულია, მოცულებული არისა და ქვემოტირ ბედნიერების ყოველგვარ პერსპექტივას... კაუკას შემნიშნული და გამსწავლია შვრითი იუბრებოდა ვერსახად კაცობრივის ცხოვრების სიმართლე, არამედუბრებოდა სწურბოდა მასში ახალი, მხსნელი იდეალის დამოცულების შესაძლებლობა დანება; სწურბოდა, მაგრამ ვერ მოუხერხებინა და საწინაღობი ეტყვებოდა ტანჯებოდა. შესაძლებელია საერთოდ მარადისობის მოცულებად დროში, ადამიანის დროის ცხოვრებაში? შესაძლებელია საერთოდ ადამიანისთვის, როგორც დროში შეუძლებელი არსებისათვის, მარადისობისდმი ზარება? შესაძლებელია ვერსახად კაცობრივსა ახალი დამატებული იდეალით შესცვალოს „პროგრესის“ დამღაუპებელი იდეალი და ამგვარად უფრებულებს იგი? შესაძლებელია ადამიანი უარსობის სიტუაციის გადალახვას? კაუკას ვაშუადილი ეტყობოდა, მაგრამ ვერ მოკვებდა ამ კითხვებზე დადებითი სახეხის... ამიტომაც ვერ ამოლოცებდა იგი თავის რომანებს და ამიტომაც იყო იგი თავისი ნაწერების უკიდურესად უშეაყოფილი.

მოკლედ, კაუკას რომანების დაუმოლოცებლობის შინაგან მოტივს მის მიერ ნაწილი საშუალოს, „სოფლის“ ხედვის თავისებურება შეადგენს — იგი ხედავდა ვერსახად კაცობრივის მომარბას აღსასრულისაკენ ისე, რომ ამასთან, ვავიოსვალი ვერ დანება... ხოლო რომანების ბოლოსადა მას სწორედ ამ ვავიოსვლის დასახვა მქონდა განსაზღვრული.

კაუკას რომანების „უფოტურა“ დაუმოლოცებლობის შინაგან მოტივის გაგება ვასახებ იძლევა აგრეთვე დღესდღეობის რომანების „პრინციპული დაუმოლოცებლობის“ და „მოლოდინორა-რომანის“ გაგებისათვის: დღესდღეობის რომანები „პრინციპულიად და მთავრებულდ“ და, ამგვარად „მოლოდინორა“ სახეს მიიღებენ იმ შემთხვევაში, თუი დამთავრებულა კანათი გმირებს შორის; ხოლო გმირებს შორის კანათი დამთავრებულა მათში, თუი დღესდღეობის საქმიონის ცხადებით დანებავად ახალ „ვასახედლის მარადისობაში“ ანუ ახალ მხსნელი იდეალს და თუი, მასთანად, მოახერხებდა მოკავითთა „ხმებს“ შორის ერთ-ერთათვის გადაწყვეტე უპირატესობა მიეჩინებინა... რამდენადაც დღესდღეობისკენ ვერ მოახერხა, აშენდა, მისი გმირების კანათი და, მასთანად, მისი რომანები „პრინციპულიად დაუმთავრებელი“ და „მოლოდინორა“ დარჩა.

ილი საწინადავებელია, რომ დღესდღეობის რომანების დანარჩენი ფორმალური თავისებურებანი, ბახტინი რომ აღნიშნავს, ორგანოდ დაკავშირებული „მოლოდინორა-რომანთან“ და იმვე მოტივითა მან შინაგანად მოტივირებულია. ავიოტი, მავალიად, „დღესდღეობის“ მხატვრული ხედვის“ შემდგომ თავისებურება; დღესდღეობის ხედვად და იაზრებდა საშუალოს მომეტებული სიტუაციად და არა დროში... იგი ცდილობდა მისთვის ხედვისაწვდომი მთელი სარჩისიხული მასალა და სინამდვილის მასალა ერთ დროში დრამატულ შემოხისიბრების ფორმით წარმოადგინა და ექსტენსიურად ვაშუა... ამისაგან განსხვავებით, „ისეთი მხატვარი, როგორც მავალიად, გოტიუა, ორგანოდ ვაშუადა მიქსურათის ქმნად რისც. იგი ცდილობდა ვევა შესახამის წინადადებოდა ერთითი განვითარების სხვადასხვა ეტაპის სახით აღიქვას“ (ბახტინი).

მოკლედ, დღესდღეობის, გოტიუასგან განსხვავებით, თავის რომან-



ნების სამყაროს „ერთიანი განვითარების“ გარეშე აგებდა... სახელ-
დობრ რთი იყო ასეთი სამყაროს აგება მოტივირებული?
განვითარება „წინ“ ან „უკეთ“ „მადლა“ განუხრებელი მოძრაობა;
ხოლო ყველა იდენია და იდენტოს თანაბარსაფუძვლიანობა და
ტოლდასოვნების პირობებში გამოირცხვლია სწორედ „მოწინავე“
და „უმაღლესი“ იდენტო და, მაშასადამე, „წინ“ და „მადლა“ მოძ-
რაობა — ყველა იდენია და იდენტო ერთ დიდწინე ლაგებებთან,
„ერთ დროში რეგანინდობთან“ და „ექსტრემურად“ იშლებთან...
„მგვარად, დისტრუქციის ომანების დასახლებული ფორმალური
თავისებურების შენაგანი მოტევა იმავე ვითარებაში გამოიხატება,
რომლებში აგრეთვე მათი „პოლიფუნქციონერის“ განსაზღვრა — სახე-
დობრის იმისი, რომ დისტრუქციონერ ვერ შესძლებს საქაზიანის სიხდელი
გაერყვია და მხედველობაში მიეღოს უპირატესი მნიშვნელობის მქო-
ნი, უმაღლესი იდენტო... ხოლო ცოთე, როგორც „წრწმენის ეპიქოს“
წარმოადგენელი და, მაშასადამე, თავიანი პარადიგმის პირობებზე
სიზიანი შედარებით უფლადაერებულ მხატვართა, ჰეგელის მსგავსად,
„ქმნად რისს მისწრაფოლად“ და ყველა წინააღმდეგობის ერთიანი
განვითარების ეტაპების სახით აღიქვამდა...

ჰეგელი ჩვენ აქ შემთხვევით არ გავგვისხნებია: მხატვართა „მხა-
ტვრული ხილვისა“ ჩვეულებრივ თავიანი პარადიგმის პირობებზე
ხილველ ფილოსოფიაში — ისევე როგორც ვითების მიერ სამყაროს
ხედვის მოპოვებენი ჩვენ (და არ თქმა უნდა, არა მხოლოდ ჩვენ
მოკვებენი) პარადელი ჰეგელის ფილოსოფიაში, ასევე დისტრი-
ქციის მიხედვითი შეგვიძლია მოკვებენი (და, არ თქმა უნდა, ზნე-
რად სიბედობით) სრულიად აზოარკოვანი პარადიგმები კირე-
გორისა და ნიუტონის ფილოსოფიურ „სოფლ-ხედვებში“. დისტრუქციის
სამყაროს მსგავსად, აქ უთანახმელთა მიერ წარმოადგენილი სამყა-
რობები მოქლებული არიან „ერთიან განვითარებას“ და ეს გარე-
მოტევა მათთანვე დაკავშირებული დეგრადიის არსებობის და აქე-
დან, ახლოუტრები და მარჯვნიული მნიშვნელობის მქონე იდენტოს
აღმოჩენის შესაძლებლობაში დეექვებასთან... უახლესი დროის და-
სავლეთის მთელ აზროვნებას, როგორც ფილოსოფიურ, ასევე მხა-
ტვრული, აღმოჩენის სიკვდილის“ ნიშნითა აღებუდილი და, აქ
აზროთ, „ნიოლიზმის ჩრდილქვე“ მიმდინარეობს.

რამდენადღე ფილოსოფიების ნამდვილ სამყაროს, ნამდვილ „სო-
ფელს“ ეტებთან და რამდენადღე მხატვართა მიერ სამყაროს, „სოფ-
ლის“ ხედვა ფილოსოფიაში „სოფლ-ხედვებში“ პირობების თავის პა-
რადელს, ამდენად ნაყოფია, რომ სამყაროს „მხატვრულ ხედვას“
საფუძვლად მხატვრის მიერ ნამდვილი სამყაროს ხედვა,
მისი „სოფლ-ხედვა“ უდევს. დასანაია, რომ მხატვნი აქ მხრეი ზოგ-
სინქრონული ინტერვიუები ფილმ „პრემიერაში“ (სცენარის ავტორები ი. ვასალია, გ. ლევან-შოკო-თუმანიშვილი, რეჟ. გ. ლევან-შოკო-თუმანიშვილი) არის, უფრო სწორედ ისინი შეადგენენ ამ სურათის დიდ ნაწილს, მაგრამ აქ ეს ინტერვიუები ავტორების საინტერესო მიგნებებზე მეტყველებენ. მასმასადაც, თავად ხერხი კი არ არის მომეცხელებული, არამედ ლაბარატი და ხერხის მოწოდების მეთოდზე და კთხვა-პასუხის შინაარსსა და



ტემპორიტზე. ინტერვიუების წყალობით ვიგებთ რა-ზე ფიქრობენ, რითი ცხოვრობენ და არსებობენ ქალაქ ზესტაფონის პროვინციული თეატრის სცენის მოყვარულთა დასის მსახიობები, რა მიზნები და მიწრაფებები ამოძრავებთ მათ, რატომ დადუმეს მთელი თავისუფალი დრო თეატრს, რა არის მათთვის ხელგონება და როგორ იაზრებენ ისინი ამა თუ იმ ცნობილ პიესას.

ეს არ არის ფილმი-დაკვირვება. ავტორების წინაშე აშკარად დგას ადამიანთა სულიერი სამყაროს წყდობის ამოცანა. ამისთვის ავტორები მიმართავენ ტელეკინოს ყველა სპეციფიკურ საშუალებას — პირდაპირ რეპორტაჟს, ისარულ კამერას, სინამდვილის ინსცენირებას. მეტიც, ისინი დაუფარავად იყენებენ მხატვრული კინოს ისეთ სპეციფიკურ ხეხის, როგორც სიმბოლური, მეტაფორული აზროვნება. იმით, რომ ავტორები პროვინციული თეატრის მსახიობებს სთავაზობენ „ჰამლეტს“ დადგმა და მასურებელ ეძლევა საშუალება გაეცნოს ამ ადამიანთა უმუცლო და გულწრფელ შეხედულებებს შექსპირის ამ პიესის შესახებ, ეძლევა საშუალება გაეცნოს მთლიან მთავანის თავისუფალ მსჯელობას საკუთარ პერსონაჟზე — ჩვენს თვალწინ ტელეკინზე ხორცის ხსხამს ფილმის ძირითადი ამოცანა — ადამიანის სულის წყდობა. ამასთანავე რეჟისორი ისწრაფვის მხატვრული აზროვნებისაკენ. მაგალითისათვის გმარა თუნდაც ისეთი კადრების დასახელება, რომელზედაც დოკუმენტურადაა აღბეჭდილი უთვისტომო მონეტრალე ცხენი. ფილმის კონტექსტში ჩასმული ეს კადრები მეტაფორული მხატვრული აზროვნების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს. ამიტომ ვამბობთ, რომ ამ სურათში გათვალსაწინიებულია ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა — დოკუმენტურ ტილოში მხატვრული კინოს პრინციპების გამოყენება, რაც ახალ პერსპექტივებს სახავს ქართული ტელეკინოს შემდგომი განვითარებისათვის.

ამ რამდენიმე წლის წინათ ტელევიზიების სტუდიის წინაშე აშკარად იდგა სრულმეტრაჟიანი ფილმების გადაღების პრობლემა. თუმცა საკითხის ასეთი დასმა — უნდა იქმნებოდეს თუ არა ამ სტუდიაში სრულმეტრაჟიანი ფილმები — არ იყო მართებული. რომელიმე სრულმეტრაჟიანი ფილმის წარმატებლობა, ან პირიქით, მოკლემეტრაჟიანი ფილმის წარმატება არ უნდა ვაქციოს სრულმეტრაჟიანი ფილმების გადაღების გაუმართლებლობის საბუთად, მხოლოდ მოკლემეტრაჟიანი სურათების გადაღების დაკანონებად. საქმე ის არის, თუ ვინ იღებს და როგორ იღებს სრულმეტრაჟიან თუ მოკლემეტრაჟიან ფილმს. ვადაწყვეტია ხარისხი და არა კინოფირის მეტრაჟი. თუ რეჟისორმა დიდხანს ვერ მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რატომ ვერ უნდა მოახერხოს მან კარგი სრულმეტრაჟიანი სურათის გადაღება, თუკი იგი თვლის, რომ მის მიერ არჩეული თემა თხოვლობს სრულ მეტრაჟს? ყველასათვის კარგად ცნობილია, რომ კარგი ნოელები დაწერა სრულიადაც არ არის უფრო იოლი საქმე, ვიდრე დიდი რომანისა. მიუხედავად ამისა, მოკლემეტრაჟიანი ტელევიზიების წარმატება და სრულმეტრაჟიანების წარმატებლობა იმდენად აშკარა ფაქ-

ტი იყო, რომ ეს პრობლემა თავისთავად დაიბადებოდა, რად იმ დროის ბუბა ხოტივაჩია გადაიღო თავისი „ქალაქი რე“, ხოლო რეზო ესაძემ — „წიკურტები“. ამ ორი ფილმის დაბეჭდვამ თითქმის თავისთავად მოხსნა ეს პრობლემა, რომელიც დღეს „თუში მეცხვარის“ შემქმნის შემდეგ რაღა თქმა უნდა, აღარ არსებობს.

„ლაზარე“ ძლიერია ცხოვრებისეული სიბრძნით, სევდიანი უფორით. ზნეობრივი ასპექტის წინა პლანზე წინაშევაშა ყურადღების ცენტრში ადამიანის ხასიათის დაყენებაში, ერთგულმა თვითმყოფივამ, ხასიათისა და ატმოსფეროს განუმეორებლობამ, სურათის საერთო კომპოზიციურმა შეჯერებლობამ, დინამიკურობამ განსაზღვრა ის, რომ ეს სურათი თავისებური ეტაპი გახდა ტელევიზიების სტუდიის განვითარებაში.

იუმორის არაჩვეულებრივი გრძნობით, გონებასახილობით, იშვიათი ტიპის მიგნების საოცარი უნარი რეზო ესაძემ „წიკურტებში“ ჭკვიანულად გაიკეთა ადამიანების მანკიერებანი — მოტიველობა, ფარისევლობა, გულგრილობა, სხვისი ბედით დაუინტერესებლობა.

ეს ორი სრულმეტრაჟიანი ფილმი კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, რომ ქართული ტელევიზიების სტუდია თავის საუკეთესო ნამუშევრებში აკმაყოფილებს იმ უმაღლეს მოთხოვნას, რომელიც განსაზღვრა თავად ამ სტუდიის პროდუქციის ნაწილად.

ამ მხრივ ფილმი „პრემიერა“ ნაყოფიერად აგრძელებს სტუდიის ტრადიციებს და შემოქმედებითად ავითარებს მათ, რადგან დროის მოთხოვნის, ტელესპეციფიკის ახალ შესაძლებლობათა სრული გამოყენებით ერთ მთლიანობაში აქცევს ტელეკინზე მხატვრული და დოკუმენტური კინოს პრინციპებს. თუკი სასურიათი მხატვრული ტელევიზიში „თუში მეცხვარე“ დოკუმენტურობის მეთოდითაა შემქმნილი, დოკუმენტურ სურათში „პრემიერა“ მხატვრული კინოს პრინციპება გამოყენებული. ამ ორი აშკარად გამოხატული ტენდენციის არსებობა იმაზე მეტყველებს, რომ ტელევიზიაში არსებობს გარკვეული მხატვრული დონე, საიდანაც გამომდინარეობს ჩვენი მსჯელობა და პრეტენზიები ამ სტუდიის ნაწარმოებების მიმართ.

რეჟისორმა შერვილ შონიამ, რომელსაც ბევრი საინტერესო ფილმი აქვს შემქმნილი დოკუმენტური და სა-მეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიებში, ამგვარი მხატვრული ფილმი გადაიღო. „პირველი კონცერტი“ მოგვითხრობს პატარა ბიჭის — მეგილინისა (თ. ნიკოლაძე) და მისი უფროსი მეზობლის — მონადირის (გ. ლაღინიძე) მეგობრობის ამბავს. ბიჭი მუსიკითაა გატაცებული, მეზობელი კი — ნადირობით, მაგრამ ბიჭმა ეს არ იცის. ერთხელ ბიჭი უფროს მეგობარს ტყეში წაყვავა. ბუნების სიმშვენიერით მოხიბვნილი, თავისი ვიოლინი ააყურა. ცხოველები და ფრინველები გარს შემოხვივნენ ბიჭს და ისიც გახარებული, ბედნიერი სულ უფრო და უფრო გატაცებით უყრავდა. ეს მისი პირველი კონცერტი იყო. უცებ ეს პარამონა სროლის ხმამ დაარღვია. შუბმა ბიჭი, უმაღლესი გაიფანტნენ ცხოველები. ბიჭის მეზობელი კი გატაცებით განავარძობდა ნადირო-



ბას. ამის შემხედვარე ბიჭმა ვიოლინო ნამსრუკებდალ აქცია. ჩვენ კი უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბიჭის სულიც ამ ვიოლინოსავედ გაიბზარა. მაგრამ სულ მალე მისი მზრუნველი პედაგოგი (გ. ჩხაიძე), რომელიც უწინ ბიჭს მემორიალის ნაკლებობას სავეფელრობდა, მოუტანს ახალ ვიოლინოს და ბიჭის პირველი კონცერტი გრამელდება — აივანზე გადმოძვარი იგი კონკვ ვატაცებით უკრავს და ხეზე ჩამოქვადრი ჩიტები ასეთივე ვატაცებით ავომანინებტად აუკვირდებიან.

ეს ამბავი რეჟისორმა პირობითი-სტილიზებული ხერხით გადაწყვიტა. უფრო სწორად, პირობითია ის სამყარო, რომელშიც ცხოვრობს მონადირე, მაგრამ ბიჭისა და პედაგოგის ხაზი საკმაოდ თანამედროვე ატმოსფეროში ვითარდება. ასე რომ, ფილმს არ ვაჩანია ერთიანი სტილური გადაწყვეტა — თუ ეს თანამედროვე ზღაპარია, მის ზღაპრულობა აკლია, ხოლო თანამედროვე ამბავისათვის კი — ნამდვილობა. რეჟისორს შესატყვისი ხერხები რომ მოეგებნა და საჭირო პირობითობა დაეცვა, საინტერესო „თანამედროვე ზღაპარს“ მივიღებდით, რადგან თავად ამბავი მომხიბვლელობას არაა მოკლებული.

უკვე რამდენიმე წელია, რაც მხატვრულობა ე. წ. ატმოსფეროში „დივიუკა ყოფილი წარმადება და ვერაფერი ღირსშესანიშნავი ვერ შექმნა. ჩვენ მხოლოდ რამდენიმევე ვხვდებით, რაც იმას არ ნიშნავს, თითქოს სხვა სურათები, რომელსაც აქ არ ვხვებით, რამდენადმე საინტერესო იყოს.

ალოკო ნინუას „ზღარბს“ შეიძლება სევდიანი კომედია დავარქვათ. ფილმის თემა — ნორჩ მოსწავლეებში პირველი გონივრის გაღვივება — მეტად საფიქსილოა, რადგან კინემატოგრაფი და კერძოდ, ქართული კინო ხშირად ეხებოდა მას და ამ თემის ეკრანულ ხორცშესხამში დიდი მიღწევებიც გააჩნია. ამიტომ დღეს, როცა ნაცად თემის ვეხებით, საჭიროა განსაკუთრებული სიტუაციების მოფიქრება და ურთიერთობათა ახლებური კუთხით ჩვენება. აქედან გამომდინარე, რეჟისორმა თავად ჩაიყენა თავი მეტად რთულ დღგომარეობაში, ეკრანზე გაშლილი ამბავი პროფესიულად არის მოწოდებული, ბავშვები (ე. წ. ვახაშვილი, უ. აბუნიანი) ბუნებრივნი და გულწრფელნი არიან და ეს რეჟისორის უდავო დამსახურებაა, მაგრამ ეკრანზე მოთხრობილი ამბავი სიახლის შეგრძნებას მოკლებულია და ამდენად მეორად ხასითის ატარებს. ზოგი კინემატოგრაფიული ხერხი კი, რომელიც აღრე (თუნდაც გვირ რეჟისორის აღრინდელ ფილმებში) საინტერესოდ გამოიყურებოდა, ამჯერად სტერეოტიპის შთაბეჭდილებას აღძრავს. ასეთია მაგალითად ეპოზოდები ქალაქის ქუჩებში. ჩვენ ხშირად და ბევრჯერ გვინახავს თბილისის ხედები ქართულ ტელეფილმებში. მოცემულ შემთხვევაში, ცხოვრების ნაკადის“ შევრა ეკრანულ ამბავში ზედმეტად გვეჩვენება, რადგან ეს გამართა ურთიერთობისათვის აუცილებელი არ არის.

იმავე ქალაქის ხედებს ვხვდებით ჩვენ დოკუმენტურ სურათში „აეთო ვარაზი“, მაგრამ აქ ისინი შინაგანად ვა-

მართლებულია. მას შემდეგ, რაც გვეცნით მხატვრული და მის ნამუშევრებს, მას შემდეგ, რაც დაახლოვდით მხატვრულ გეგმას წარმოდგენა მისი პიროვნების ინდივიდუალობაზე, ჩვენ თბილისის ქუჩებში ვხვდებით მხატვარს, ირევა ხალხი, მანქანები და ამ არეულობასა და სიჭრელეში ათობ ვარაზი მდის მართო, თავის ფიქრებში ვართული, მოცემული განსაკუთრებული შინაგანი სამყაროთი, ქუჩის ამ ფუსფუსისაგან განდგომილი.

დღეს რ. ლონდაის ეს ფილმი უნიკალურ მნიშვნელობას იმის, რადგან შემოიხილა თვითმყოფი მხატვრის სახე. ამიტომ ლაპარაკი ცალკეულ ნაკლოვანებებსა და უხუსტობებზე ზედმეტად მიმართია.

1978 წლის პროდუქციამ ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ორმო“. ეს ცნობილი ოპერატორის გენო ჩირაძის მეორე რეჟისორული ნამუშევარია. მის პირველ სურათში — ორნაწილი დოკუმენტურ ფილმი „მადნელო“ ნათელი ვახდა გ. ჩირაძის უნარი მკაფიო და ზუსტი ფორმა მოუწახოს სათქმელს.

თავის მხატვრულ ფილმში გ. ჩირაძემ შექმნა თავი-სტეილი, პირობითი სამყარო, რომელსაც ბოლომდე იკავს. მკაცრი, ზუსტი, მშობლული, ყველგვარი ზედმეტობისაგან განტვირთული სტილისტიკა მთავარი როლის შემსრულებლის ივანე საყვარელიძის განსახიერებაშიცაა დატყლი. თუ საყვარელიძის ამ ეკრანულ სახეს მის სცენარე სახეებს შევადარებთ (თუნდაც თეატრალური სახელოსნოს სპექტაკლებში „ესმერალდა“, „კარებს აჯახუნებენ“, სადაც იგი ქმნის გროტესკულ სახეებს), დავრწმუნდებით, რომ რეჟისორი მიზანდასახულად ცდილობს ყველაფერში მკაცრად დაიცვას ერთიანი სტილი.

„ორმო“ ის ნაწარმოები არ არის, რომელსაც უყოყმანოდ მიიღებს ყველა გემოვნების ადამიანი. პირობითი, არსებობს საკმაოდ დასახულებული სხვა თვალსაზრისი, მაგრამ პირადად მე მომწონს ფილმის იდეა და აზრი (სცენარის ავტორი დ. ივანოვ-ჩიქოვანი), მომწონს რეჟისორის მიერ არჩეული მკაცრი სტილი, მომწონს ეკრანზე შემოთავაზებული პირობითი სამყარო.

ერთხელ ხანშიშესული კაცი სამსახურის შემდეგ თავის ეზოში სეირნობდა. შემთხვევით იგი სათამაშო ნიჩხას წააწყდა. აილო, ხელში დაატარა, ჩაეცინა — თანვისი დაუშვობა თუ გაახსენდა და ჭუმობით ერთი-ორჯერ ბავშვს მიწას. უცებ მეზობლის მკაცრი შეძახილი ვაიონა: „რას თხრობ? გმირი ვაკვირებდელია: „არაფერს, ისე უბრალოდ“, „უბრალოდ არ შეიძლება“ — ასევე მკაცრად და კატეგორიულად მიუფო მეზობელმა. ვაკვირება სიბრაზემ შეცვალა, „ენახოთ, თუ არ შეიძლება“, — და დაიწყო ორბო თხრა.

თხრობის გმირი ორბოს, ვარწმობს კი ხალხი შფოთავს, დღევანდ, უცებ ყველა მის ბედით დაინტერესდა, ლაპარაკობენ, ჭორაობენ, დირექტორთან იძახებენ, ზემო ინსტანციებშიც წერენ... ბოლოს თავისას მიაღწიეს და ორბო კვლავ ამოვსებულია.

დამარცხებული და სევდიანი სვირნოს გმირი ქა-
ლაქის ქუჩებში. უცებ ერთ ეზოში დაინახავს, რომ ბი-
ჭი ორმოს თხრის. „რას აკეთებ?“ — ეკითხება. „არა-
ფერს, ვთხრი“, და დამატებს: „არ შეიძლება, თუ?“ ვა-
ელიძემა გმირს, სიხარული ჩაუღვება თვალბეში, ნე-
ლა გაეცლება იქაურობას.

რევისორმა კინორამატურად დევი ივანოვი-ჩიქოვანის
მეტად საინტერესო ჩანაფიქრი და სცენარი თავისებუ-
რად გაიხარა და შემოგვთავაზა კომპოზიციურად და
ერთიანი სტილიური ვადწყვეტილი შეკრული მხატვრუ-
ლი მოკლემეტრაჟიანი ტელეფილმი.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სადღეისოდ ტელეფილმე-
ბის სტუდიას ზუსტად განსაზღვრული და გააზრებული
აქვს ის ძირითადი გეზი, ტენდენციები, რომლითაც უნ-
და წარიმართოს სტუდიის მუშაობის გეგმა.

ამ მხრივ დიდ იმედებს იძლევა სამ სერიად ჩაფიქრე-
ბული სცენარი მხატვრული ტელეფილმისათვის „შეიღ-
ვაცა ანუ ძიება მასალებისა მცირე ფორმის ფილმებისს-
თვის გურულ სიმღერებზე“. სცენარის ავტორი ამირან
ჭიჭინაძე და რეჟისორი სოსო ჩხაიძე მოგვითხრობენ თუ
რა ადგილი ეკავა ხალხურ სიმღერებს ქართული კაცის
ცხოვრებაში. სიმღერა ხომ ყოფის ყველა სფეროში იყო
შესული — შრომაში, ღვინოში, სიკვდილსა თუ ავადმყოფო-
ფობაში. სიმღერას არა მარტო დიდი და მნიშვნელო-
ვანი ადგილი ეკავა, ის ქართული ადამიანის სულიერი
საზრდოც იყო. ყოფის შეცვლასთან ერთად სიმღერაც
სხვა ფუნქციას იძენს და კარგავს პირვანდლს. სცენარ-
ზე მუშაობის პროცესში ბევრი რამ შეიცვალა და სცე-
ნარის ახალ ვარიანტში ბეჯიანი გმირი — ახალგაზრდა
რეჟისორი ავროვებს მასალას ორნაწილიანი ფილმის გა-
დასაღებად. მისი მომავალი ფილმი გურულ სიმღერებს
მიექნება. სცენარში მოცემულია მთელი ის გზა რო-
მელიც განვლია ახალგაზრდა რეჟისორმა ხალხურ სიმ-
ღერებზე ფილმის შექმნისას. გმირის მიერ მასალის ძი-
ების პროცესი დოკუმენტურად ზუსტი და დაწერილები-
თია. თუ რა ფილმს შექმნის იგი, ეს მომავალი სურა-
თის ავტორებს არც კი აინტერესებთ. ქუშმარიტმა ლი-
რებულეებზე უნდა შეინარჩუნონ თავისი ძალა, არ
გაუფასურდნენ, არ დაიკარგონ. სწორედ ამაზე იქნება
სოსო ჩხაიძის ახალი მხატვრული მრავალსერიანი ტე-
ლეფილმი.

საინტერესოდ მიმანია, როგორც თემატურად სტუ-
დიის ტენდენციების განვითარება, ისე შემოქმედებით
ევოლუციის პერსპექტივა, კონკრეტულად კი ის სინთე-
ზი, რომელიც მოხდა „თუშ მეტეხვარეში“, ის ძიებე-
ბი, რომლებიც არსებობს „პრემიერასა“ და ზოგიერთ
სხვა სურათში.

ყოველივე ზემოთ თქმული კი იმის საწინდარია, რომ
ქართული ტელეფილმების სტუდიის პროდუქციის ხა-
რისიხი საგრძნობლად აიწევს.


70 წელი შეუსრულდა ოლივიე მესიანს —
„მუსიკის განსაცვიფრებელ გამოგონებელს
(კან რუა). დიდი კომპოზიტორი და ორგანის-
ტი, ბრწყინვალე იმპროვიზატორი და საორგანო
მუსიკის რეფორმატორი, შესანიშნავი ინ-
ტერპრეტატორი საკუთარი საფორტეპიანო
და საორგანო ქმნილებებისა, გამოჩენილი პე-
დაგოგი ოლივიე მესიანი ამჟამად პარიზის
კონსერვატორიის პროფესორია.

როცა მესიანის მუსიკას ისმენ, გვეჩვენება
შთაბეჭდილება, რომ „ესა სასწაულებრივი,
გახმოვანებული ფერია და მასში მესიანის
დღესასწაულობს ფერადონებთა და გალო-
ბით აღსავსე ბუნების მშვენიერებას, რასაც
იგი ვაღმოგვეცემს ისეთი სისპეტაკით, ისეთი
ზემოფერებთა და ისეთი რწმენით, რომ ყო-
ველივე ეს კომპოზიტორსა და მის ქმნილე-
ბებს ხდის სრულიად განსაკუთრებულ XX
საუკუნის მუსიკაში“ (ანტუან გოლე).

მესიანი დიდად აღნიშნული პარიზის კონ-
სერვატორიაში კომპოზიციის სწავლობდა პოლ
დუკასთან, ორგანზე დაკრას—მარსელ დიუ-
პრესთან, ფორტეპიანოზე დაკრას მორის ემა-
ნულისთან. 1930 წელს, კონსერვატორიის
დამთავრებისთანავე, მესიანი იწყებს ინდივიდუ-
ალ და ანტიკური საბერძნეთის მუსიკალური
კულტურების თეორიული საფუძვლები
შესწავლას. კიდევ აღსანიშნავია, რომ
იგი ორნიტოლოგიცაა. მთელი სიცოცხლის
მანძილზე იწერს და სწავლობს გალო-
ბას ყველანაირი ჩიტისა, რომლებსაც „თა-
ვის დიდ მასწავლებლებს“ უწოდებს. ამ უმ-
დიდრესი მასალის საფუძველზე მესიანმა
შექმნა „ფრინველთა ოპუსები“ — „ჩიტების
კატალოგი“ — ფორტეპიანოსათვის, „მეზო-
ტიკური ჩიტები“ და „ჩიტების გამოღვიძე-
ბა“ ფორტეპიანოსათვის ორკესტრის თანხ-
ლებით, ცალკეული საორგანო პიესებიც. 1931
წლიდან მესიანი პარიზის წმინდა სამების
ეკლესიის მთავარი ორგანისტიცაა. 1936 წლიდან
იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. იმავე
წელს ყალიბდება ოთხი ახალგაზრდა კომპო-
ზიტორის შემოქმედებითი კავშირი —
„ახალგაზრდა საფრანგეთი“, რომელშიც ერთ-
თანდგენიან ოლივიე მესიანი, დანიელ ლე-
სიორი, ანდრე ჟოლივე და ივ ბოლდიე.
მათი მიზანია „გააღვიძონ ადამიანში მუსიკა“
და „გამოხატონ ადამიანი მუსიკაში“.

1939 წელს ოლივიე მესიანი ჯარში გაიწ-
ვიეს. 1940 წელს საკონცერტო ბანაკში
დატყვევებული კომპოზიტორი ქმნის თავის
ერთ-ერთ შესანიშნავ ნაწარმოებს — „კვარ-

ოლივი მესიანი



ეთერ მაგლობლიშვილი

ტეტს ჟამის დასასრულზე“. 1968 წელს ო. მესიანს ირჩევენ პარიზის ნატიფ ხელოვნებათა აკადემიის წევრად.

ოლივიე მესიანის აზროვნებისა და შემოქმედების ტრიადა — მუსიკალური ენა, ფორმა — არქიტექტონიკა და ბგერისა და ფერის შეხამება ძალზე თავისებური მოვლენაა. მესიანი ამბობს: „ჩემთვის ჩიტების გალობა და ტალღების ხმაური ბგერები და რიტმებია. ბუნებისაგან ნაბობებ ამ მუსიკას არ უნდა მიემატოს არაფერი პირადი, საკუთარი მოგონებები, ემოციები. მაშინაც კი, როცა მათ წარმოქმნიან თეთი ბუნებისაგან მიღებული შთაბეჭდილებები. ამიტომაც ჩემს მუსიკაში არ ხდება რეალობის ემოციური გამოხატვა... მე მაინტერესებს მხოლოდ სამყაროს „სუფთა“ ბგერები, „სამყაროს სუფთა“ რიტმები...“

მესიანის მიზანია ბგერითი კომპლექსების გარდასახვა მუსიკალურ ფერწერად. ამ ამოცანის განხორციელებისათვის მესიანი ქმნის ახალ ბგერით სისტემას, რომელსაც „განსაზღვრული ტრანსპოზიციის წყობებს“ უწოდებს. შრომაში „ჩემი მუსიკალური ენის ტექნიკა“ (1942) მესიანი ასე აყალიბებს ამ სისტემის არსს: „ეს წყობები, რომლებიც

განლაგებულნი არიან ქრომატული ტემპერირებული კილოს საფეხურებზე, წარმოქმნიან რამდენიმე სიმეტრიულ ბგერით ჯგუფს, რომელშიც წინამდებარე ჯგუფის ბოლო ბგერა საწყისია მიმდევნოს...“ (სიმეტრია, მესიანის გაგებით, ამ შემთხვევაში ნიშნავს ერთნაირი და თანაბარი ბგერითი ჯგუფების განმეორებას თანასწორი ინტერვალების დაცვით).

„განსაზღვრული რაოდენობის ტრანსპოზიციის გატარების შემდეგ — განაგრძობს მესიანი — დგება ისეთი მომენტი, როცა ტრანსპოზიციის შემდგომი ვაგრძელება შეუძლებელი ხდება. მაშინ ჩვენ ისევ ვუბრუნდებით პირვანდელ საფეხურებს და ვიჭეურობთ ტრანსპოზიციებს... ყოველი ტრანსპოზიცია შეიცავს როგორც მელოდიურ, ისე ჰარმონიულ ფუნქციებს. ისინი (წყობები) არ არიან პოლიტონალური, მაგრამ ექვევიან ერთდროულად რამდენიმე ტონალობის ატმოსფეროში და კომპოზიტორს შეუძლია აირჩიოს რომელიმე მათგანი, ან შექმნას გაურკვეველი ტონალობის შთაბეჭდილება. წყობათა რაოდენობა შეზღუდულია, რადგან მათემატიკური თვალსაზრისით შეუძლებელია მისი გაზრდა 12-ტონიან კილოში.

ერთი სიტყვით. მესიანის მუსიკა არ ეყრდნობა არც მათერულ-მინორულ სისტემას და არც კონსონანს-დისონანსურ დუალიზმს. მის შემოქმედებაში არც კლასიკურ ფორმებს ვხვდებით. მას დამუშავების, განვითარების ძირითად ელემენტად მიაჩნია რიტმი და მისი სახესხვაობანი. აქედან გამომდინარე, მის შემოქმედებაში მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ვარიაციების პრინციპს.

მესიანს შექმნილი აქვს საკუთარი რიტმული თეორიაც, რომლის არსი ასეთია: ბუნებრივია მხოლოდ რიტმი მეტრის გარეშე, რომ მცნება „მეტრი“ უნდა შეიცვალოს „რომელიმე მცირე გრძლიობით (მაგალითად, მეთექვსმეტედით) და მისი თავისუფალი მულტიპლიკაციით“.

მესიანის რიტმული თეორია სამი დებულების სახით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. ნებისმიერ რიტმულ მონახაზს შეიძლება დამატოს ან გამოაყლდეს უმცირესი გრძლიობა, რომელიც გადაასხვავებებს (გარდაქმნის) მის მეტრულ წონასწორობას. ეს დამატებითი გრძლიობა (ნოტის, პაუზის ან წერტილის სახით) არღვევს მეტრული ნაწილაკის მონაცვლეობის რეგულარობას. ასეთი რიტმი მესიანის გამოთქმით „ოდნავ მომზიბგელად მოიკოვლებს“. ამგვარად, გრძლიობის დამატება ან გამოკლება წარმოქმნის რიტმული ვარიაციის მრავალნიარ საშუალებას.

2. ნებისმიერ რიტმს — გადიდებულს ან შეცირებულს — შეიძლება ჰქონდეს უფრო რთული ფორმები, ვიდრე კლასიკურ მუსიკაში შემოღებული მარტივი გაორმაგებაა. გრძლიობის გადიდება ან შეცირება მისი სიდიდის 4/5, 3/4, 2/3, 2-ჯერ, 3-ჯერ, 4-ჯერ, 5-ჯერ, აგრეთვე არაზუსტი გადიდება და შეცირება — აი, ყველა ის ახალი რთული ფორმა, რომელსაც მესიანი იყენებს.

3. არსებობენ არაშექცევადი რიტმები. „ყველა რიტმული ფიგურა, რომელიც იყოფა ორ ნაწილად, ერთი მეორის შებრუნებას წარმოადგენს და აქვს საერთო ცენტრალური გრძლიობა, არაშექცევადია“. ამ ფორმების შენაცვლებით კი წარმოიქმნება პოლირიტმიისა და პოლიმეტრიის მესიანისეული სახესხვაობანი.

მესიანი პოლიქრომიის ოსტატიცაა. „მის წარაფება იდუმალი, მომჭადობეული ჰარმონიებისაყენ, — ამბობს იგი, — ჩემში წარმოქმნის სრულიად მოულოდნელ ბგერით კომპლექსებს, რომელთა საშუალებით გამოვხატავ ხოლმე გავარვარებულ მთლურკონა-

რინჯისფერი ლავის ნიაღვრებს, შორეულ ვარსკვლავთა ციარს, სრბოლას ფორუბისფერი პლანეტებისას, თამაშს იისფერი ჩრდილებისას და ა. შ.“

სრულიად ახალი ელერადობის აყორდების შექმნაში მესიანი მთავარ როლს ანიჭებს არააკორდულ ბგერებს ანუ აპოჯიატურას. დამატებითი ბგერები, მესიანის გამოთქმით, „სცვლიან აკორდათა კოლორიტს, ახალ სურნელებასა და ელფერს უმატებენ მის ელერადობას“. მესიანის ჰარმონიულ აზროვნებას საფუძვლად უდევს ბგერის საშუალებით ფერის გამოხატვის პრინციპი, განსაკუთრებულ თვისებებურებას რომ ანიჭებს მესიანის საორკესტრო ბგერწერას. ამასთან დაკავშირებით მესიანი ამბობს: „მე, რა თქმა უნდა, არ მივეყუთვებდი ისეთ იდეალისტთა რიცხვს, რომლებიც ბოდღერისა თუ რემბოს მსგავსად ამტკიცებენ, რომ რე — ცისფერია, ფადიფეი კი — მწვანე და ა. შ. მე უმთავრესად შევიგობინებ იისფერის, წითლის, მწვამულისა და ნარინჯისფერის რთულ შეხამებას.“

მესიანის ინსტრუმენტულ ნაწარმოებებს ყველთვის ახლავს სიტყვიერი ტექსტი. ეს აიხსნება ლიტერატურისადმი უდიდესი სიყვარულით, რომელიც მას პატარაობიდანვე დაჰყვა. ეს მისწრაფება საყვებით ვასაგებია: მესიანის ფედა — სესილ სოველი პოეტი იყო, მამა კი — ცნობილი შექსპიროლოგი. მასზე გავლენა იქონია კათოლიკურმა აღზრდა-განათლებამაც, და ეკზისტენციალიზმისა და სიურეალიზმის განსაკუთრებულმა როლმა ფრანგულ ლიტერატურაში. მესიანი ამბობს: „მე ვარ მუსიოსი — სიურეალისტი, ჩემთვის სამაგალითოა პოლ ელუარის, ანდრე ბრეტონისა და ჰიერ რევერდის პოეტური ქმნილებანიო“. მუსიკისმიოდნეთა ერთი ნაწილი თვლის, რომ მისი ლიტერატურული ტექსტები ბუნდობანია და ვაჯებარე, რაშიც მესიანი მათ არ ეთანხმება და ამბობს, რომ „ჩემი მუსიკაცა და ტექსტებიც დაწერლია ერთიანი სიურეალისტური მანერით... „სიურეალისტი — დასკვნის მესიანი — ესაა ხელოვანი, რომელიც თავის შემოქმედებაში მისწრაფვის განასახიეროს მხოლოდ ზმანებანი“.

საპარტიზმოს სსრ თეატრალურ საზოგადოებასთან არსებულმა „მეგობრობის თეატრმა“ თბილისში საგასტროლოდ მოიწვია ბაქოს მ. აზიზბეკოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. სტუმრებმა ჩვენს დედაქალაქში ჩამოიტანეს ორი სპექტაკლი: ვალდო მამედყულიზადეს ორნაწილიანი პიესა „მკვდრები“ და ანარის „ზაფხული ქალაქში“.

„მკვდრები“ დადგა აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტმა, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, თეატრის მთავარმა რეჟისორმა ტოფიკ ქიაზიმოვმა. მხატვარია ელჩინი, კომპოზიტორია ყარა ყარაევი.

მ. აზიზბეკოვის პიესა მიმართულია პროვინციალიზმის, გაუნათლებლობის, ბრმა რწმენისა და უხამსობის წინააღმდეგ. ადამიანები იმდენად არიან შეგუებული თვითნათნობით, რომ უხამსობის, უბადრუკ ცხოვრებას, რომ ირგვლივ არაფრის შეცვლა არ სურთ, ურჩენიათ მკვდარი ცხოვრებით იცხოვრონ, ვიდრე შეიხნასრულას ფანდებს დაუპირისპირდნენ. ერთადერთი საღად მოაზროვნე, უხამსი ცხოვრების წინააღმდეგ ამხედრებული პიროვნება ისკანდერია, მაგრამ მას ყურს არავინ უღებებს და ამიტომ პატარა, პროვინციული ქალაქის მოქალაქეები შეიხნასრულას ფანდების მსხვერპლი ხდებიან.

ანარის პიესა „ზაფხული ქალაქში“ თანამედროვე პიესაა და იბრძვის წარსულის გადმონაშთებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. აქაც, როგორც მრავალი თანამედროვე დრამატურგის შემოქმედებაში, მთავარი პრობლემა გამეშინებულ თანამდებობის პირთა და მეცნიერ მუშაკთა საკუთარი სინდისის წინაშე კომპრომისზე წასვლაა.

სპექტაკლი დადგა აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტმა, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ტ. ქიაზიმოვმა, მხატვრულად გააფორმა ს. ახვერდიევი, კომპოზიტორია აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკის ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი ე. საბით-ოღლი.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს თბილისელ მაყურებლებზე მსახიობებმა აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტმა მ. დღადაევი და მ. შეიხზამანოვი, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა მ. ტურაბოვი, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა შ. შამედოვი, მსახიობებმა ს. ამსაოვი, მ. ავშაროვი, პ. ისმაილოვი, ი. ნურიევი, ა. ალიევი...



სცენა სპექტაკლიდან „ზაფხული ქალაქში“.

ბაქოს თეატრი თბილისში

სცენა სპექტაკლიდან „მკვდრები“.



თანამედროვე იაპონური არქიტექტურის ზოგიათი ტანლანცია

ვახტანგ დავითაია

იპპონური არქიტექტურის სენსაციური აღზევება ჩვენი საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება, როდესაც ქვეყანა ინტენსიური ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში შევიდა. იაპონიამ, უმოკლეს პერიოდში, არა თუ ჩამოიშორა ევროპული არქიტექტურის საუკუნოვანი „კოლონიალური უდელი“, არამედ მსოფლიო არქიტექტურის მიღწევათა კეთილსინდისიერი ინტერპრეტატორიდან თვითონ იქცა არქიტექტურულ მეტრად. იაპონელ არქიტექტორთა შემოქმედებითი ძიებების მნიშვნელობა დიდად სცილდება ნაციონალური მოვლენის საზღვრებს და ისინი იქცნენ მისაბამ მაგალითებად დიდი „არქიტექტურული სამფლობელოებისათვისაც“. გარდა მატერიალიზებული ღირებულებისა, თანამედროვე იაპონური არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ზოგად შემეცნებით შედეგად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მათმა შემოქმედებებმა ძიებებმა და მიგნებებმა დიდად შეუწყო ხელი ახალი პლასტიკური კონცეფციების გახსნას და თანამედროვე არქიტექტურის პუნანურ შესაძლებლობებზე რწმენის განმტკიცებას.

ამ წერილს არა აქვს პრეტენზია იაპონური არქიტექტურის, მისი არაერთი პირველსარისხოსანი ოსტატის შემოქმედებისა და თორიული საფუძვლების კვლევისა, ეს მრავალპლანიაანი, რთული თემაა. ჩემი მიზანი გაცილებით კონკრეტული და მოკრძალებულია. მინდა მოვიხსნათ შემოქმედებთა და ასაკით ერთმანეთისაგან განსხვავებული ორი უთავალაჩინოესი იაპონური

ხუროთმოძღვრის, კიშო კუროკავას და კიშიო ცუკიამას შემოქმედების ზოგიერთ მხარეზე.

კიშო კუროკავა — „მატაბოლიზმის“
თიორი და „ჰუჩის არქიტექტორა“

...ასოციაცია „კიშო კუროკავას“ ცნობარი გვაცხობინებს, რომ კუროკავას ჯგუფს აქვს ქალაქებისა და რეგიონების დაგეგმარების, საზოგადოებრივი, სამოქალაქო მშენებლობის ობიექტების კვლევისა და პროექტირების დიდი შესაძლებლობები, ფირმა რეგისტრირებულია მსოფლიოს ყველა ბანკის მიერ და შეუძლია გაუწიოს მომსახურება კლიენტებს მსოფლიოს ყველა კუთხეში.

შოკლე ცნობები კიშო კუროკავას შესახებ: იგი დაიბადა 1934 წელს, დაამთავრა კიოტოს უნივერსიტეტის არქიტექტურული განყოფილება (1957 წ.), ხოლო შემდგომ ტოკიოს უნივერსიტეტი (1959 წ.). მიიღო პირველი კლასის ხუროთმოძღვრის კვალიფიკაცია. იგი წევრია: იაპონიის არქიტექტურული ინსტიტუტის, იაპონიის ქალაქგეგმარების ინსტიტუტის, იაპონელ არქიტექტორთა ასოციაციის, იაპონიის მომავლის საზოგადოების, იაპონიის ეთნოგრაფთა საზოგადოების, ინგლისის ხელოვნების სამეფო საზოგადოების, ასევე, იაპონიისა და უცხოეთის 30-მდე სხვადასხვა კომიტეტისა, ინსტიტუტისა და გაერთიანებისა; გაიმარჯვა მრავალ საერთაშორისო კონკურსში. მისი გამოფენები მოეწყო რომში, ფლორენციაში, ურბინოში, ნიუ-იორკში, არაგოტოზის — ტოკიოში. არის ავტორი 15-მდე წიგნისა. შესრულებული აქვს 150-მდე პროექტი, რომელთა უმრავლესობა განხორციელებულია.

„იაპონელმა არქიტექტორებმა შექმნეს პირ-
მიდა და თითოეული ცდილობს ავიდეს მწვერვა-
ლამდე ისევ, როგორც ამას აკეთებენ საერთოდ
ადამიანები იაპონიის საზოგადოებრივი პირამი-
დაში. ყოველი მათგანი ცდილობს მიაღწიოს ამ
მიზანს და თვალყურს ადევნებს იმას, თუ ვინ
აღის სწრაფად და მაღალ. ეს იწვევს საერთო
ანტიტრებს, თითქოს კენთი ტანვეს მიაღწია პიკს,
მაგრამ 10 წელზე მეტი ხნის წინათ, როდესაც
არატა ისოზაკემ და კიშო კუროკავამ დასტოვეს
ტანვებს ჯგუფი და მოღვაწეობის საკუთარი კურ-
სი დასასხეს, არქიტექტურულმა პირამიდამ იწყო
დრეკა“. „...ეს ორი არქიტექტორი — არატა
ისოზაკე და კიშო კუროკავა, თავიანთი შემოქმე-
დებით ენერგიით, დურს დეას სხეულისაგან გან-
ცალკევებით, ისინი შეგვიძლია შევადაროთ ქუ-
ხილისა და ელვის დევალებს, როგორც ეს გამო-
სახულია დიდი მხატვრის ტორაგანის სოტატა-
სის ცნობილ ნახატზე“. — ვითარებით შერ-
ნალ „იაპონური არქიტექტურის“ ფურცლებზე.

წარსოსხვის ყოველგვარ მიჯნებს სცილდება
კ. კუროკავას ტრიუმფალური არქიტექტურული
კარიერა. ეს მით უფრო გასაოცარია, თუკი წარ-
მოვიდგინოთ, რომ იგი მხოლოდ 45 წლისაა.

არქიტექტურულმა საყარბო კურიავა პირვე-
ლად გააცნო როგორც წვერი „მეტაბოლისტა“
ჯგუფისა, რომელშიც შედიოდნენ ნაზორი კავა-
სუო, ფუმინიკო მაკი, კიინორი კიკუტაკე და მა-
სატო ოტაკა. 1960 წელს ტოკიოში გამართულ
დისანინერთა საერთაშორისო კონფერენციაზე
ჯგუფმა გააკეთა თავისი პირველი დეკლარაცია —
„ჩვენ განვიხილავთ ადამიანთა საზოგადოებას,
როგორც სიცოცხლის პროცესს — უწყვეტ განვი-
თარებას ატომიდან ნებულამდე. ვიყენებთ ბიო-
ლოგიურ ტერმინს „მეტაბოლიზმი“, რადგან
გეწამს, რომ პროექტირება და ტექნოლოგია უნ-
და იყოს ამსახველი ადამიანის სიცოცხლისა.
ჩვენ არ ვიღებთ მეტაბოლიზმს, როგორც ბუნე-
რივ ისტორიულ პროცესს, მაგრამ ვცდილობთ
წავახალისოთ საზოგადოების მეტაბოლური გან-
ვითარება ჩვენი წინადადების საშუალებით“.

დეკლარაციები ჩანს, რომ „მეტაბოლიზმის“
თეორია განვითარების სტადიების ციკლურ თან-
მიმდევრობას გულისხმობს. ისინი ადამიანთა სა-
ზოგადოებას განვიხილავთ განვითარებად ორგა-
ნულ პროცესად, სიცოცხლის უწყვეტ პროცესად.

საკითხის ამდაგვარი დაყენება „მეტაბოლის-
ტებს“ აახლოებს ქალაქგეგმარების სხვა დინამი-
სტურ მიმართულებებთან, რომლებიც ასევე ეძე-
ბენ გზებს ისეთი მობილური ქალაქგეგმარებით
ორგანიზმის შესაქმნელად, რომელიც შესძლებს
აპყვეს საზოგადოების მოთხოვნების დინამიკას
დროში. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ

„მეტაბოლიზმის“ კონცეპცია არის მოდიფიკაცია
რამიე არსებული თეორიისა ან მისი მორგება ია-
პონიის პირობებისათვის. მართალია, „მეტაბო-
ლიზმის“ პრაქტიკულობა და სიცოცხლისუნარი-
ანობა სწორედ მისი იაპონური აუცილებლობები-
ნის მომდინარეობს, მაგრამ, ამავე დროს, იგა-
ხასიათდება უნივერსალით.

— „მეტაბოლიზმის“ კონცეპცია ლოგიკური და
ბუნებრივია იაპონიისათვის. ჩვენ, იაპონელები,
მუდამ მოძრაობაში ვართ; ჩვენი ცხოვრების ხა-
სიათიც განსხვავებულია დასავლეთის „მკაღმარე-
რე“ ცხოვრებისაგან. გადაადგილება ჩვენი ერთე-
ული თავისებურებაა. უძველესი დროიდან, პო-
ლიტიკური თუ რელიგიური მიზნებით, იაპო-
ნიის დედაქალაქი არაერთხელ შეიცვალა — ნამე-
ბა, ნარა, კიოტო, კამაგურა, ტოკიო (მშინდელი
ედო). გარდა ამისა, ტრადიციულად, იმპერატო-
რთა ოჯახებს და, შესაბამისად, იმპერატორს
მიუღ კარს და დიდგვაროვნთა ოჯახებს ყოვე-
ლი მეორე წელიწადი დედაქალაქში უნდა გაე-
ტარებინათ. ყოველივე ეს დიდ გადაადგილებას
იწვევდა და ითხოვდა გარემოს სათანადო ორგა-
ნიზაციას, ამას თან ერთვოდა ვლენების, მიწის
მუშების სეზონური მიგრაცია ქალაქებისაგან სა-
მუშაოს საძებნელად. ეს დღესაც ანაე. ასევე, წი-
ნათ და დღესაც, იაპონელთა თავისუფალი დრო-
ის დიდი ნაწილს უკავია მოგზაურობას რელიგი-
ური მოსაზრებებით, რიტუალებს საყდრებსა და
სამლოცველობებში, რომლებიც ჩვენი ქვეყნის
სხვადასხვა კუთხეებშია გაფანტული. დიდი მა-
ცურო ბაში აკი ამბობდა: „მოგზაურობა, აი,
რა არის ჩემი სახელო“. — ამბობს კუროკავა.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თუ-
კი დინამიზმისა და მობილურობის ძიებები და-
სავლეთ ევროპასა და ამერიკაში დღემდე მინც-
ვერ გასცდა თეორიის ფარგლებს, უკეთეს შემ-
თხვევაში, ექსპერიმენტული საპროექტო წინადა-
დებების ფარგლებს, „მეტაბოლისტები“ კონ-
ცეპციები, უკვე რეალიზებულია რიგ კომპლექ-
სებსა და ცალკეულ ნაგებობებში. „მეტაბო-
ლისტური“ კონცეპციები ასევე გატარებულია
იაპონელ არქიტექტორთა კონგრესტულ ქალაქგე-
მარებით პროექტებში, რომელთა განხორციელე-
ბა, ქვეყნის სპეციფიკიდან და აუცილებლობიდან
გამომდინარე, შესაძლებლად, არცთუ შორეული მო-
მავლის საქმე იქოს“.

მეტაბოლისტები არ იზღუდებიან თანამედრო-
ვე საზოგადოების დინამიზურობის კონსტრუქცი-
ით, არამედ იკვლევენ დინამიური პროცესების გა-
მოვლილებებს. ამ მიმართულებაში ისინი არჩვენ
თანდათანობით შინაგან ცვლილებებს, უწყვეტ
გარეგან მოძრაობას ანუ ზრდას და, ბოლოს, უკა-
ბედ „მეტამორფოზულ ტრანსფორმაციას“. დი-



კოსო
კუროკავა

ნამიკის პრობლემისადმი ამგვარი დიფერენცირებული მიდგომა მიუთითებს მეტაბოლისტთა მისწრაფებებს დაადგინოს თვითგანვითარების პროცესის შექაზების სინერგობრივი გამოხატვა.

„მეტაბოლისტთა“ კონცეპციით თანამედროვე ქალაქის უწყვეტი ფუნქციური და ტექნოლოგიური ცვლილებები იწვევენ მასტერულ განასლებებს. ამ ცვლილებებს მეტაბოლისტი განიხილავენ ციკლებად. ყოველი ციკლისათვის დამახასიათებელი პირობების შექმნა კი ითხოვს დიფერენცირებული ქალაქგეგმარებით სტრუქტურის აუცილებლობას, ამიტომაც, „მეტაბოლისტებს“ თავიანთ პროექტებში შემოაქვთ ახალი ქალაქგეგმარებითი ერთეული — „კლასტერი“. იგი უნდა შედგეს „ადამიანთა ასოციაციის“, ადამიანთა გაერთიანების სპეციფიკურ ფორმას, რომელიც, მათი აზრით, უფრო შეესაბამება ცხოვრების თანამედროვე ხასიათს. „მეტაბოლისტები“ თრწმუნებიან, რომ საყოველთაოდ ცნობილი მცნებები — სახლი, ქუჩა, რაიონი უკვე ვერ პასუხობენ თანამედროვე შინაარსს და ისინი უნდა შეიცვალონ (სხით, უფრო უნივერსალური. მან. კ. კუროკავა განასხვავებს აგრარულ, ინდუსტრიულ სამომხმარებლო ერთეულებს და კლასტერებს. რამდენიმე ასეთი კლასტერი ქმნის უფრო მსხვილ გაერთიანებას.

კ. კუროკავას აზრით, კლასტერების სისტემა საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ მომავლის ცვლილებები, იმდენად, რამდენადაც ის გულისხმობს ტრადიციული ქალაქგეგმარებითი პრინციპების ისეთი ახალი სისტემით შეცვლას, რადგანაც თვით კლასტერი განიხილება განვითარებად ერთეულად, ე. ი. მეტაბოლურ სისტემად ამასთან, ეს კლასტერი წარმოადგენს არა გეგმარებით ელემენტებს, არამედ სიფრცულ სისტემებს, რომელთაც გააჩნიათ თვითგანვითარების დიდი შესაძლებლობები“.

„მეტაბოლისტის“ თეორია გულისხმობს სისტემაში ცალკეული ნაწილების შეცვლის შესაძლებლობას. ეს პრინციპი სრულიად განსხვავებულია მეთოდისაგან „გამოიყენე და გადაადგე“. მეტაბოლური ციკლის შესაბამისად, დროთა განმავლობაში საჭირო ხდება გამოუსადეგარი ნაწილების შეცვლა. ამით ნაკლებობა (სისტემა) გაცილებით დიდხანს ემსახურება ადამიანებს და საბოლოო ანგარიშში მიიღწევა არსებითი ეკონომია. მეტაბოლური პრინციპი გარკვეულ საშუალებებს უტოვებს: დამიანების მოხერხებულის და დამატის მისეული სამყაროს შესაქმნელად. კ. კუროკავას აქვს ასეთი ფრასა: „ილიამზე შეიყნება მოქალაქეების, მომხმარებლების და მსყიდველების მიერ“.

ცხოვრების დინამიკის შესაბამისად შენობაში ცალკეული ნაწილების შეცვლის შესაძლებლობების იდეის რეალიზაცია შენობა — კაფსულა „ნაკავანი“ ტკიოში. იგი, პირობითად, ორი ნაწილისაგან შედგება: ნაწილი, რომელიც მულ-

მივია, უცვლელი და ნაწილები (კაფსულები), რომლებიც შესაძლებელია პერიოდულად შეიცვალოს. შენობის ქვედა ორი სართული კაფეტერიისა და არამორბადი ქიშნების საქმეთა საზოგადოების ბიუროს უკავია, ზედა 10 სართული საცხოვრებელი კაბინებია. შენობა გამოხეული იყო ადამიანთა გარკვეული კატეგორიისათვის — ძირითადად მარტაბოლისტებისთვის, სტუდენტებისა და დედაქალაქში მოკლე ვადით ჩამოსული ბიზნესმენებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის დამთავრებიდან ერთი თვის შემდეგ ითითქმის ყველა კაბინა შეიყიდეს ძირითადად ბიზნესმენებმა, ექიმებმა, მოსამსახურებმა, ნაწილი კი შეიყიდეს როგორც მეორადი საცხოვრებელი. შენობის 14 კაფსულა (თოხი) დამზადდა კარხანაში (ქ. ოსაკაში) სანიტარული კვანძით, კონდენციონერით, ტელევიზორით და ადგილზე აეწყოს 5-8 ღღის განმავლობაში. მთელი სამუშაო დამთავრდა 30 დღეში.

მეტაბოლისტთა რკუვი არ უნდა გავიგოთ როგორც ადამიანთა გარკვეული კასტა, რომელიც ფლობენ მონოპოლისტის მისი თეორიისა და პრაქტიკის საკითხებში. მეტაბოლისტები, თავისი ერთობლივი დეკლარაციის შემდეგ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ახალი გამოცდილებისა და ძიებების საფუძველზე თანმიმდევრულად აწვითარებენ მის ძირითად პრინციპებს, როგორც ცალკეულ პროექტებში, ასევე თეორიულ შრომებში. ეს მრავალმხრივია საინტერესო, იგი მეტ მოქმედებად დამოუკიდებლობას ანაგასკანს აძლევს ყოველ მათგანს. მეტაბოლისტის თეორიისა და პრაქტიკის ასევე აწვითარებენ სხვა იაპონელი არქიტექტორები, რომლებიც იზიარებენ ამ კონცეპციას.

„მეტაბოლისტთა“ (საერთოდ იაპონელ არქიტექტორთა) აზროვნების დიაპაზონი, ქალაქგეგმარებითი პრობლემების დასმისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციის მასშტაბები იმდენად ურვეულო და გრანდიოზულია, რომ მათ რეალობა დღესაც ბევრს ირდი ხვრთა. ერთი კი უკიდოლოდ შეიძლება ითქვას, რომ პროციკა სწორია; მეტაბოლისტთა იდეები და პროექტები არა თუ კვალში მისდევენ თანამედროვე ტექნიკურ შესაძლებლობებს, არამედ გულისხმობენ მომავლის მიჯნებს. ისინი მე-20 საუკუნის ტექნიკურ პროგრესს იყენებენ როგორც რეალურ სიკეთეს. გიგანტური „კლასტერი-კოსკეში“, „კლასტერი-კედლები“, ქალაქი-პონტონები, დაკიდული ქალაქები და სხვა — გამოხატულება მე-20 საუკუნის აზროვნებისა და მისი ტექნიკური პროგრესის ძლევამოსილებისა.

ამ მიმართებაში სრულიად ბუნებრივია კითხვა: როგორ იგუებს იაპონელთა ფსიქოლოგია ამ მასშტაბებს? იაპონელთა ტრადიციული შეხედულებები ხომ ადამიანისა და ბუნების პარმიანის, მათ თანამშრომლობას და თანასარებობას ეყა-







რება? მისთვის ხომ საერთოდ უცხოა ზედადამიანური მასშტაბები?

ამ შემთხვევაში, მეტაბოლისტთა მოკავშირედ გამოდის იაპონელთა სხვა ტრადიცია, ტრადიცია ცხოვრების მდინარებისადმი შეგნებული მიყოლისა, რომელსაც ისინი „პოზიცია ფირიუს“ — უწოდებენ. კ. ტანგეს მიაჩნია, რომ ფირიუს — იაპონელთა მრავალსაკუთრებული სიღარიბისა და სასოწარკვეთილების პროდუქტია. მიწისძვრების, წყალდიდობების, ტაიფუნების და განუწყვეტელი სტიქიური უბედურებების შიშით შეპყრობილ იაპონელთა ასეთი პოზიცია გასაგებია. ასევე გასაგებია ისიც, რომ „პოზიცია ფირიუს“ გარკვეულ წილად ახალსებდა ძინის ფილოსოფია.

...ფირმა „კ. კუროკავა და ასოციაცის“ ერთ-ერთი სართული უჭირავს ტოკიოს ცენტრალურ ნაწილში. დერეფნებში გამოფენილია შენობათა მაკეტები და პლანშეტები, რომელთაგან ბევრი უკვე განხორციელებულია და ცნობილია ფართო საზოგადოებისათვის. აქვეა უკანასკნელ წლებში დამუშავებული საპროექტო წინადადებები, საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებული რამდენიმე პროექტი.

ყურადღებას იპყრობს სასულერგარეთის ქვეყნებისათვის შესრულებული პროექტების სიჭარბე. ზოგიერთი მათგანი სრულდება ამ ქვეყნების მთავრობების შეკვეთით, ბევრსაც საერთაშორისო კონკურსებშია გამარჯვებული. ტანზანიის ნაციონალური პარლამენტის შენობა (I პრემია), საკონფერენციო ქალაქი აბუ-დაბიში (I პრემია), საორთული ცენტრი იტალიის ქ. ვასტო-სანსალეოში, სასტუმრო „ნიუ-ოტანი“ ქ. სოფიაში, ხელოვნების ცენტრი ბოზურის პლატოზე პარიზში და სხვ.

ცენტრალური პავილიონი მხოლოდ ნაწილია მემორიალისა, რომელიც გაშენებულია ბავშვთა ეროვნულ პარკში. იგი ეძღვნება ყველა ბავშვის საყვარელ ადამიანს, გამოჩენილ დანიელ მეზლარეს — ანდერსენს. ეს მცირე ზომის შენობა ერთდროულად მოგვაცონებს იაპონურ საცხოვრებელ სახლსაც და იმ კარგებსაც, რომელშიც ბავშვები ცხოვრობენ. შენობის ინტერიერი წარმოადგენს ერთ მთლიან სივრცეს, რომელსაც წარმოქმნის სახურავი. დარბაზში გამოფენილია მა-




ტანზანიის ნაციონალური პარლამენტის პროექტმა გამარჯვა საერთაშორისო კონკურსში, სადა წარმოდგენილი იყო 500 პროექტი.

იაპონიის წითელ ჯვრის საზოგადოების შენობის ფოიეს ინტერიერი. გამკვირვალე თალი-სახურაის მშვეობით ინტერიერი „გაღის ფასადის ცენტრალური კრილიდან და ხდება ბუნების ორგანული ნაწილი“.

ანდერსენის მემორიალური მუზეუმი — მიწიდან იგი ყოფილიყო ბუნების ნაწილი. აქ კუროკავა აწვია იდეებს „ქუჩის არქიტექტურის“ კონცეციას.

ტომობა ბაუტლიონი — ექსპო 70-ის ერთ-ერთი პავილიონი. ტიტრადელი შესრულებულია კუბით დაყენებული ცალკეული სიბრტყეებისაგან. „ტაბა“ ბაუტლიონის მსგავსად აქაც მიწიდან მიმდინარეობს სივრცობრივი დამოკიდებულებების, სადაც ნაწილი და მთლიანი იქცოდნენ გეგმავლენტურად“.



ტაქარა ბუტელიონი — ექსპო 70-ის ერთ-ერთი პავილიონი. „ნაწილი და მთლიანი ექვივალენტურია — ეს პრინციპი მინდობდა მეჩვენებინა არქიტექტურული ფორმით ახალ კონტექსტში. გარდა ამისა, ქვეყნობიერად მივისწავლოთ გადმოშეცა ადამიანური ემოციები, შეშვექნა მშვენიერი სამყარო სუფთა ტექნიკური ფორმით“.

ნაკავინ-კოსკი გაშენებულია ტოკიოს ცენტრში საქმიანი და სავაჭარო რაიონების საზღვარზე იგი წარმოადგენს „მეტაბოლიზმის“ ერთ-ერთ მართალი დემონსტრაციას — მეტაბოლური ციკლის შესაბამისად სისტემაში ცალკეული ნაწილების შეცვლის შესაძლებლობის პრაქტიკულ გამოხატულებას.



კეტები, რეპროდუქციები ანდერსენის „მეფის ძეგლი“ დან და სხვა. გარდა ამისა, აქ რჩება ექსპონიციისაგან თავისუფალი საკმაოდ დიდი ფართი, „რათა ბავშვებმა თავისუფლად იგროსონ თავი“.

„ანდერსენის მუზეუმი, ეს ქუჩის არქიტექტურაა, რომელზეც წუთით შეგიძლიათ შეჩერდეთ, რათა წაიფიქროთ ანდერსენის წიგნი, დათვალიეროთ მისი ილუსტრაციები ილუსტრაციები ან მოუსწინით რომელიმე მათგანის კითხვას. მე ვცდილობდი შეშვექნა უწყვეტი ცემიერი არქიტექტურასა და ბუნებას შორის და ამავე დროს მიმღწია მათ შორის კონტრასტისათვის. ცდილობ დავამყარო კავშირი აღსაქმელ სივრცესა და იმას შორის, რაც მასშია ჩაწერილი და, ამავე დროს, მსურს მათი დაპირისპირება“ — წერდა კ. კუროკავა.

კ. კუროკავა თავის შენობებში თანმიმდევრულად ავითარებს „ქუჩის არქიტექტურის“ კონცეპციას — ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქუჩა არ უნდა იყოს განხილული, როგორც მხოლოდ სამომართო სივრცე. თუ დავაკვირდებით იაპონურ ტაძრების ვრცელ გალერეებს, კოტოს ქარებს, მიგვხვდებით „ქუჩის არქიტექტურის“ წარმომავლობას. ტრადიციულად, იაპონურ ქალაქებში საერთოდ არ არსებობდა მოედნის მცენება. ქუჩები იღებენ თავის თავზე ერთდროულად ყველა ამ ფუნქციას, რასაც შუასაუკუნეობრივ ქალაქებში ქუჩა და სხვადასხვა დანიშნულების მოედნები ასრულებდნენ.


„მე წინააღმდეგი ვარ ისეთი გვეგარები თი სისტემისა, სადაც ქუჩა გათიშულია არქიტექტურისაგან. მიმაჩნია, რომ ქუჩა უნდა იყოს შენობათა ცალკეული ჯგუფების გამართიანიებელი არქიტექტურული ელემენტი“ — ამბობს კუროკავა.

ანდერსენის მემორიალში „ქუჩა“ იწყება ტბის ნაპირიდან, მიემართება მწვანე თეატრსა და ცენტრალური პავილიონისაკენ, გაივლის მას და ემძლეება ბორცვისაკენ.

ადამიანთა კონტაქტების განვითარების გზების ძიება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია კუროკავას შემოქმედებისა. იგი თავისებური პროტესტია გაუცხოებისა და მარტოობის ფილოსოფიისა, რომელიც ასე ფუნქციონირებდა დასავლეთის ხელოვნებასა და ლიტერატურაში და რომელიც არცთუ ისე უცხოა დღევანდელ იაპონიისათვისაც.

„ქუჩის არქიტექტურის“ კონცეპციამ შემდგომი განვითარება მიიღო ისეთ ნაწარმოებში, როგორცაა სასტუმრო „ნიუ ოტანი“ სოფიაში, ნაციონალური პარლამენტის შენობა ტანზანიაში, საკონფერენციო ქალაქი აბუ დაბიში და სხვა.

სასტუმრო „ნიუ ოტანის“ ქვედა სართულის წრიული დერეფანი იაპონური ბაღითა და სავაჭრო სალონებით, რესტორნითა და ბარით, სპორტული დარბაზებითა და რეკრეაციებით ქმნიან ადამიანთა კონტაქტების ფართო შესაძლებლობებს.



საკონფერენციო ქალაქი აბუ დაბიში წარმოადგენს პრეზიდენტის ოფიციალურ რეზიდენციას, „ქალაქის“ სამი მთავარი ჯგუფი — რეზიდენცია, ნაციონალური ასამბლეით, მთავარადარბანი და მეფის ოჯახის, წარმომადგენლობებისა და დელეგაციების, „საქობებრივი კვარტალები“, ერთმანეთთან დაკავშირებულია საპატიო დერეფნებით. მთელი ქალაქი დგას ხელოვნურად შექმნილ წყლის სარკვეზე, რომელსაც დაეყრდნობული ფუნქციები. „ქალაქის“ პირველი დონე განკუთვნილია მანქანების სადგომებად და მომსახურების სათავსოებისათვის. მეორე დონე ეთმობა ფეხით მოსახლეობას, რომელიც ნაწილობრივ მოძრავი ტროტუარები ემსახურება. კომპლექსს არცთუ უსაფუძვლოდ უწოდებენ „ქალაქს“. მისი მასშტაბი და გეგმარებითი პრინციპები მნიშვნელოვანად სცილდება „შენობის“ მცნებას და წარმოადგენს „შენობისა“ და „ქალაქგეგმარებითი“ პრინციპების სინთეზს.

საერთაშორისო კონკრეტი ტანზანიის ნაციონალური პარლამენტის შენობის საუკეთესო პროექტის შესაქმნელად, რომელიც ტანზანიის მთავრობამ გამოაცხადა 1971 წელს, იაპონელ არქიტექტორთა ტრიუმფით დამთავრდა.⁵ ამ მნიშვნელოვანი არქიტექტურული კომპლექსის მშენებლობა პოლიტიკურ მიზნებსაც ვულისმობდა. ეს იყო პირველი თვალსაჩინო სამთავრობო ღონისძიება ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და იგი მიზნად ისახავდა ამ ფაქტით სახლის რწმენისა და ეროვნული ღირსების შეგრძობების განმტკიცებას. შენობა შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: ეროვნული პარლამენტისაგან, აფრიკის ნაციონალური ცენტრის შტაბ-ბინისაგან და კულტურული ცენტრისაგან (თეატრი და მუზეუმი). შენობის სამივე ჯგუფი ერთმანეთს „უქრებიან“ უკავშირდება.

...კ. კუროკავა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არქიტექტურასა და ბუნებას, შენობასა და გარემოს შორის სასურველი კავშირისა და წონასწორობის საკითხებს და ბევრ შემთხვევაში ასერხებს კიდევაც ამ კავშირების განხორციელებას.

„ფილოსოფიას, რომელიც მიხედვლობაში მაქვს (იგულისხმება „მეტაბოლიზმის ესთეტიკა“), აქვს ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნებულ იქნება ურთიერთობა არქიტექტურას, ადამიანსა და ბუნებას შორის“.⁶ ამ ურთიერთობების დასაყარებლად კუროკავა მიმართავს ე. წ. „მეჯინის სივრცებს“ ანუ „ენ-სივრცეს“ („ენ“ იაპონურად ნიშნავს კავშირს, ურთიერთობას).

ბოლო წლებში აგებული შენობებიდან განსაკუთრებით მინდა გამოვიყოს სონი-კოშკი ქ. ოსაკაში (1975 წ.) და ფუკუოკა ბანკის მთავარი შენობა ქ. ფუკუოკაში (1975 წ.).

სონი-კოშკი მდებარეობს ქ. ოსაკის საქმიან

და სავაჭრო ცენტრში — შენობაში შენობაში გაანთავსებულია როგორც შენობაში რაიონის „ტიშკარი“, რაც განაპირობებს მის მაქსიმალურ სიმაღლეს (რაც ყოველთვის დაშვებულია ქ. ოსაკისათვის). იმის გამო, რომ შენობა ფირმა „სონის“ პროდუქციის საგამოყენებელი დარბაზის ფუნქციასაც ასრულებს, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ევანგელიზმ პრობლემას წარმოადგენდა დამთავალი ერებულთა ნაკადების ორგანიზაცია.

ფსადის პერიმეტრზე გამოტანილი შეშინული ესკალატორებისა და მინის ოლივების საშუალებით მიღწეულია ქუჩისა და შენობის უწყვეტი კონტაქტი. შენობაში მყოფი და ქარაშხმით მისიარულე ადამიანები არსებითად არ განეგრძებენ ვიზუალურ კონტაქტს ერთმანეთთან. ეს არი „ენ“ სივრცის, გარდამავალი სივრცის პრინციპის სპეციფიური გახარება ამ უაღრესად რთული ქალაქგეგმარებითი კვანძისათვის.

სონი-კოშკი ჩაფიქრებულია როგორც კომუნიკაციური „ინფორმაციის ხე“. მისი საერთო განწყობილება, დეტალების დიზაინერი დახვეწილობა, მასალები, ვერტიკალური კომპონენტების პრინციპი და ტექნიკური გადაწყვეტა არაორაზროვნად მიგვანიშნებს ამ შენობის ფუნქციურ არსზე, „კოშკის“ არქიტექტურული სახე უაღრესად თანამედროვეა, მე ვიტყვი, დროში კონკრეტულიც — ჩვენი საუკუნის სამოცდაათიანი წლების, რადგან თუნდაც 10-15 წლით ადრე ამ ფორმის „წარმოშობა“ ძნელი წარმოსადგენია.

ერთ სტატიამში არა თუ საფუძვლიანი, არამედ მოკლე აღწერაც კი შეუძლებელია ისეთი ფუნდამენტური ნაწარმოებებისა, როგორცაა ეროვნული ეთნოგრაფიული მუზეუმი, იაპონიის რიოევი ჯერის საზოგადოების მეთაური შენობა, იშიკავას კულტურული ცენტრი, საქალაქო მუზეუმი კუმატოტოში, მშენებლის ემმორიალი გამა-გორში, ქალაქის დარბაზი კუ-გონში, „უფლისწულ კარიუზავას“ სასტუმრო კიტაუაკუ — გან-ნი, ტოშიბა პაცილილი და ტაკაბა პავილიონი ექსპო-70-ზე, საიფოლო-სამუნიონო ქალაქი ამა-განში, მწერალ ტაკაკო ტაკაბაშის საცხოვრებელი სახლი, ეროვნული თეატრი და სასტუმრო აბუ-დაბიში, კუნძულ ტოხანაირის ცენტრი (ერაყი) და სხვა. ესენი ჩვენი საუკუნის უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ნაგებობებია.

და თუ გაცნობილია ოდესმე მიაღწევს სრულყოფის ისეთ საფეხურს, რომელსაც ადამიანის სიღრმე განსაზღვრავს მის მიერ სხვისათვის მინიჭებული სიხარული, ზულიერი, ესთეტიკური სიამოვნება, მაშინ კუროკავას გარანტირებული აქვს თვალსაჩინო ადგილი ადამიანთა შორის.

კიმიო ეკიოიუმა და საკაშტრო არაბიტაქტურა

„ახალმა არქიტექტურამ“ უბოლომოდ დასცა საკუნეებით განმტკიცებული სტრუქტურა არქიტექტურის დოგმები; მისი უფლება — გაეცნათ რელ-



გეის „ახალი შინაარსი“, გაეხადათ იგი უფრო მიწიერი, ამქვეყნიური, ბუნებრივი, უნდა მოჰყოლოდა ტრადიციულ ფორმათა რღვევაც დაწვა რარქიტექტურულ მემკვიდრეობათან მისასველური ხიბები და განდევნა „ტრადიციის ცენზორი“, „ახალმა არქიტექტურამ“ უკიდევანო გასაჭანი მისცა საკულტო არქიტექტურის ფორმადარმომქმნელ იმპულსებს.

ამის ნათელი დადასტურებაა საკულტო არქიტექტურის ისეთი უდიდესი ნაწარმოებები, როგორცაა ანტონი გაუდის „Sagrada Familia“, ლეკორბუსიეს რონჰონი, კენზო ტანგეს წმინდა მარისა ეკლესია.

ამ მხრივ კიდევ უფრო შორს წავიდა და წარმოსახვის ყოველგვარ საზღვრებს გასცდა კიმიო ეკოიამა ში-ჰონდის მეთაური ტაძრითა.


ფუჯიონოშია, ერთ-ერთი გავლენიანი ბუდისტური სექტის ნიორენ შიშუს მეთაური ქალაქი, იოკოჰამადან 150 კმ. მდებარეობს შიზუოკას პრეფექტურაში. ქალაქს თითქმის გვირგვინად ადგას ლეგენდებითა და თქმულებებით დახუნძლული უმშვენიერესი ფუძია. დიდებული ში-ჰონდის ტაძრის გარდა, რომელიც თავისი მოცულობის, უჩვეულო ფორმისა და სითეთრის გამო მთელ ქალაქზე დომინირებს, კომპლექსში შედის სხვადასხვა საკულტო, სოფელადობრივი და სამომსახურებო შენობები. მთელი ქალაქი, რომელსაც საზოგადოებრივი განვითარების ტენდენცია აქვს, პირობითად 3 ძირითად ზონად შეიძლება დაიყოს: საკულტო ზონა (ში-ჰონდის ტაძარი, მიედოს ტაძარი, სამლოცველო პოადენი, საგანძურთა ტაძარი, მუცუბო); სამღვდლოებისა და ჩამოსულ მოლოცვლთა საცხოვრებელი ზონა (აქვეა სესენ-ბო-პილიგრიმთა კვარტალი) და ქალაქის საცხოვრებელი კვარტალი (ხო-ბო). ქალაქს გვერდზე უფლის არხი, რომელზედაც 3 სატრანსპორტო და მრავალი საცაღაფხეო ხიდა. ფუჯიონოშიაში არა ერთი, მაღალი არქიტექტურული ღირებების შენობაა, დაიკავებენ (დიდი მისალები დარბაზი), და-კოდო (სალოქციო დარბაზი), პრეს-ცენტრი, ხელოვნების მუზეუმი, სამედიცინო ცენტრი და სხვა. ქალაქის მშენებებს წარმოადგენენ სამონის, სომონის და კურუმონის ჭიშკრები. ქალაქი თავისებური ცხოვრებით ცნობილია. მის მოედნებსა და ქუჩებში უამრავი ხალხი ირევა, ცნობისმოყვარე ტურისტები და თავგამოდებული მორწმუნენი. იოლად გამოარჩეულ თეთრ მოსასხამებში გახვეულ, თმაგაქრეულ ბუდისტ ღვთისმსახურთა და სემინარიის მოსწავლეებს, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად მიემართებიან ერთი სამლოცველოდან მეორეში.

საოცრად შთაბეჭდილია ში-ჰონდის პირველი კადრები, რომლებიც ქალაქში შემავალი სამანქანო გზის მოსახვევებიდან სხვადასხვა ფრაგმენტებად გამოირჩებიან და შემდგომ კვლავ კრებიან რათა ეკალი დიდებულებით „დაგატყდეთ თავს“. იგი შორიდან გიგანტურ თეთრ ფრინველს ჰგავს, რომელიც

მელმაც თითქოს წუთით შეისვენა ფუძიამას ფერდობზე და ეს-ესა კვლავ უნდა აფრინდეს.

ში-ჰონდის ტაძარი შესდგება თოხი ძირითადი ნაწილისაგან: კანონის ბაღი, იდაღლური პარმონიის პავილიონი, განწმენდის ტაძარი და მისტიკური საკურთხეველი. ში-ჰონდის კომპლექსს 30 აკტივობის უჭირავს. ნაკვებობის დაშენების ფართობი: 40 ათასი მ², იატაკების საერთო ფართობი 35 ათასი მ². ტაძრის ყველაზე მაღალი ნაწილის სიმაღლე 80 მეტრამდეა. შენობის სიგრძე 324,5 მ. ხოლო სიგანე 148,5 მ. დაპროექტება 5 წელს მიმდინარეობდა, ხოლო მშენებლობა 3 წელს. იგი დაიწყო 1969 წლის ოქტომბერში და დამთავრდა 1972 წლის ოქტომბერში. დაპროექტებაში, რომელსაც საერთო ხელმძღვანელობას უწევდა მისი ავტორი არქ. კ. ეკოიამა, მონაწილეობას ღებულობდა იაპონიის მრავალი ფირმა და უმაღლესი სასწავლებლები. სამშენებლო და მონაპირკეთებელი მასალები შემოტანილია მათფლიოს 120 ქვეყნიდან. ში-ჰონდს, არა მხოლოდ შემოქმედებითა გამოარჩევა, არამედ ორგანიზაციულიც, აღამაზის გონებისა და მიზანდასახული შრომის ზემო.


მიუსდევდა იმისა, რომ ტაძარში რიტუალი 1 საათზე იწყებოდა. უკვე 11 საათისათვის მია წინ, იდაღლური პარმონიის პავილიონის სვეტებს ქვეშ უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ღურჯ პიჯაკებსა და თეთრ შარვლებში გამოწყობილი ახალგაზრდები ემსახურებიან მრევლს. კანონის ბაღის ქვედა დონიდან პარადული კიბეებით ზედა დონეზე აგვდიო და იდაღლური პარმონიის პავილიონის გავლით ტაძრის მთავარ შესასვლელს მივადექით. ცოიამას გამოჩენისას ტაძრის მოსამსახურებმა კარები გახსნეს და ტრადიციული იაპონური წესით მრავალჯერს თავყვიან სცეს ხუროთმოძღვრის. დათვალთვრება განწმენდის ტაძრიდან დაიწყეთ, რადგან ცერემონიალის დაწყების შემდეგ შენობის ინტერიერის დეტალური გაყვანა გაძნელებოდა. ორი საათი დავყავით ტაძარში. დავთვალთვრეთ მისი ყოველი კუთხე, სივითაოს, შვის და ფერთა დღესასწაული ბუდებს ამ ტაძარში. ჩემი მოლოდინის მიტიკური რელივიურ სამყაროში მოხვედრისა, სრულიად არ გამართლდა (როგორც ჩანს, მე პირველი არ ვიყავი ამ დღეში) — თუ თვალს გადავაკლებთ მათფლიოს საკულტო არქიტექტურას, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ თითქმის ნათელი ინტერიერი ცუდად გუბოს რელივიურ განწყობას. სანამ მიზანი და კულტის ხასიათი არ შევცვილა, ასეთი დამოკიდებულება კვლავაც იარსებებს. თუკი მიზანი სხვა გახდება, არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ნათელი, შვითა და ფერებით სავსე ტაძრები იქნება ყველაზე გულწრფელი გამონატულები რელივიური ემოციისა. ჩემის აზრით, უფრო სწორია, გავეცვეთ თვით რელიგიის ბუნებაში, ვინც ვეძიოთ იმის მიზნები თუ რატომაც მიწიერი სუსტად განათებული ინტერიერები უფრო რელივიურად. სუსტად განათებული, ზოგჯერ სრულიად ბნელ ინტერიერებს, კარგად ეწყობიან ის



რელიგიები, რომლებიც ქადაგებენ თვითუარყოფას და იმჟვეყნიურ ბედნიერებას. ის ცივილიზაცია, თუნდაც დღევანდელი, რომელიც ქადაგებს სასო-წარკვეთილებას და მორჩილებას, სხვა არა არის რა, თუ არა დაბრუნება სიცარიელისაკენ, რომელსაც ქადაგება ადრეული ბუდიზმი, მისი პირველი ორი ფაზა — ხინაიანა და მახაიანა. ვებრუნდები რა საკულტო არქიტექტურის ნათელი და ბნელი ინტერიერების პრობლემას, მინდა აღვნიშნო, უცნაური იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენი ცივილიზაციის პირობებში ადამიანები მოელოდნენ ნათელს, რომელიც დამყარებული იქნებოდა სიბნელეზე.

ლოტოს სუტრას-ბუდისტური მიძღვრების ბოლო ფაზა წარმოადგენს უმაღლეს მიღწევას ყველა ადამიანისათვის; მის ერთ-ერთ ყველაზე გონივრულ სწავლებას წარმოადგენს ის, რომ ბუდა არსებობს არა შორეულ სამოთხეში, არამედ ამ წაწყმედილ სამყაროში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. იგი გვასწავლის, რომ არ არსებობს ინდივიდუუმის ცხოვრება, არამედ იგი შემადგენელი ნაწილია დიდი უნივერსალური სიცოცხლის ძალის და რამდენადაც ამ სიცოცხლის ძალას არ გააჩნია არც დასაწყისი და არც დასასრული, ყოველი ადამიანის სიცოცხლეც მარადიულია. ჩემი ტაძარი, ში-ჰონდო განკუთვნილია იმთ სალოცავად, რომლებიც იზიარებენ ბუდიზმის ამ მესამე ფაზას, შესაბამისად მათი განწყობილების გამომხატველად გვევლინება სინათლე და არა წყვედიადი — ამბობს ეკიოიამა.

ში-ჰონდოს ტაძრის დაპროექტებას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. იგი მიმდინარეობდა ეტაპობრივად მოყოლებული 1965 წლიდან. ეცნობი ასობით უსკიზს და მასთან ერთად იმ ტიტანურ შრომას, რომელიც გაიარა არქიტექტორმა იდენი ჩასახვიანდ მის დაბადებამდე. ამოცანა უადრესად რთული იყო, როგორც შემოქმედებითი, ასევე ტექნიკური თვალსაზრისითაც. ხუროთმოძღვრება თავისივე ნებით მიაშურა გაუგებვლად და საიდუმლოებებით მოცულ სიღრმეებს, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო თვითონ გარკვეულიყო მოვლენის არსში, დაე-სახა ზუსტი ფსიქო-ემოციური პოზიცია თანამედროვე ცივილიზებულ ადამიანთან მიმართებაში. რისთვის მოდის აქ ადამიანი? როგორ უნდა წავიდეს ის აქედან? ტაძარი — ერთი შეხედვით, სრულიად გარკვეული, საუკუნებგამოვლილი, ცნობილი თემა და მისი გადაწყვეტის ათასობით მაგალითი, ცნობილი ფსიქოლოგიური სიტუაციები. მაგრამ ისეთი მხატვრისათვის, როგორც ეკიოიამა



დაი-კიკუდენი — დიდი მისაღები დარბაზი. აქ ტარდება უშიტორა გონგუს ცერემონიალი, რომლის მიზანია ნიჩერენ-შოშუს მიძღვრების პროპაგანდა.

იდეალური ჰარმონიის პავილიონი. პავილიონის ძირითად სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს 5 ძირითადი და 30 დამხმარე სვეტი. მუცეპო. აქვე დიდად ეყავი დანტერესებული მუცეპოს მშენებლობით. რადგანაც მასში დასმული პრობლემების წარმატებით გადაწყვეტას შეეძლო ნათელი მოეფინა საერთოდ თანამედროვე ხის საკულტო არქიტექტურისათვის“.

გახლავთ, ისტორიული გამოცდილება თითქმის არაფერს ნიშნავდა, რადგან მისი ბუნება, ბუნება შემოქმედისა, ყველაფერს იწყებდა თავიდან. გარდა ამისა, ერთ-ა არქიტექტურული გარემო და ფსიქოლოგიური სიტუაცია 100—200 მრევლისთვის და სულ სხვა 6000-ისათვის, სხვა იგი ჩვენი საუკუნის განვითარებული ადამიანებისათვის. მასშტაბი, რაოდენობა თავისთავად ქმნიდა არა რელიგიურ, არა მისტიკურ სიტუაციას და ამიტომაც წარსულის არქიტექტურული პრაქტიკა ამ შემთხვევაში ეკოიამასათვის ვერაფერი მოკავშირე იყო. ამ რთულ სიტუაციაში ავტორმა მოძებნა ზუსტი ფსიქოლოგიური საზი. თანდათანობრივი სვლა კანონის ბაღიდან მისტიკური საკურთხევისაკენ...


არათუ ქრისტიანები, არამედ არაქრისტიანებიც ალტაცებაში მოდიან გუთური ტაძრების ფერადოვანი ვიტრაჟებითა და ორლანის დიდებული ხმებით. ეს ეთეტკური გრძობებია, მათგან გამოწვეული ემოციები ყოველთვის როდია რელიგიური. რელიგიური ემოციები რწმენით უნდა იყოს შთაგონებული. არამორწმუნე შეიძლება გაბრუვდეს გუთური ტაძრის არქიტექტურული სივრცის და ორლანის პანგების დიდი დრამით. იმისათვის, რომ მხოლოდ არქიტექტურული სივრცე იწვევდეს

მსგავს ემოციას, იგი უნდა იყოს ზუსტი ანარეკლი იმ რელიგიის სულისა, რომელსაც აუგეს ეს ტაძარი. არქიტექტურა, რომელმაც უნდა გამოიწვიოს რელიგიური გრძობები, არ შეიძლება განვიხილოთ იმ რელიგიისგან მოწყვეტით, რომელსაც ის წარმოადგენს, — ამბობს ეკოიამა.

„კანონის ბაღი“ — ეს ში-პონდოს ტაძრისწინა ვრცელი მოედანია. მისი ფართი 13 ათას კვადრატულ მეტრს უდრის და მოლიანად მოშანდაკებულია ინადის (იპონია) თეთრი გრანიტით. ამ მოედანზე იკრიბებიან მორწმუნენი ტაძარში შესვლის წინ. „კანონის ბაღი“ ორ დონედაა გაყოფილი. ზედა დონე წარმოადგენს ქვედა დონის სასურავს, რითაც იქმნება კომფორტული პირობები უამინდობის დროს. ორივე დონეზე ნი ათასი ადამიანი ეტევა. „კანონის ბაღის“ ზედა და ქვედა მოედნები არეგულირებენ ადამიანთა დიდი ნაკადების გადაადგილებას იდეალური პარმონის პავილიონისაკენ, ხოლო იქადანი კი ტაძრისაკენ. ქვედა დონის ცენტრში მდებარეობს ლოტოსის ყვავილის ფორმის ნი მეტრის დიამეტრის აუზი. წყლის მხეფები კვეთენ ზედა დონის დიობს, რომელსაც ასევე ლოტოსის ფორმა აქვს და იჭრებიან სივრცეში 30 მეტრზე. აუზის იატაკი შესრულებულია მიცისფრო და



ში-პონდოს მეთაური ტაძარი





ლურჯი ტონების მოზაიკით. ზედა დონის ღიბის რადიალურად და წრიულად დაკვეება კორიკის (ვარდისფერი) და ფინური (წითელი) გრანიტის ჰოლები, რაც კიდევ უფრო საზეიმოს ხდის მოედნის ცენტრს.

იდეალური პარმონიის პავილიონი წარმოადგენს გარდამავალ სივრცეს, კანონის ზღსა და განწყენდის ტაძარს შორის. პარმონიის პავილიონიც დაყოფილია ზედა და ქვედა დონეებად, კარ და ცუდ ამინდში ექსპლატაციისათვის. „პავილიონის“ ძირითად სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს ცენტრში განლაგებული 5 ძირითადი სვეტი, დაგვირგვინებული გადაბრუნებული ქოლგის მსგავსი ფორმის სახურავით; სახურავის კონსტრუქციული მდგრადობა უზრუნველყოფილია რადიალური და წრიული წიბოებით. სვეტები მოპირკეთებულია ბერძნული თეთრი მარმარილოთი (სვეტის დიამეტრი 4,6 მ, სიმაღლე 41 მ). სახურავი მოშანდაკებულია თეთრი კერამიკული თაღებით, რომელსაც წრიულად დაკვეება ფერადოვანი ზოლები. ცენტრალურ სვეტებს გრძივი ღერძის ორივე მხარეს უელის კოლონათა ორი რიგი, რომელთა განლაგება გეგმაში ჰქმნიან სამკუთხედს. სვეტებსშორისი ღიბების ზედა ნაწილი შევსებულია ალუმინის ქა-


ლუზებით. ქალუზები გვერდებიდან იცავენ პარმონიის სახურავეკვეშა სივრცეს როგორც ქარწვიმისაგან ასევე მზის მცხუნვარებისაგან.

მარმარილოს ქათქათა სვეტები, კანილურების ნატიფი პროფილი, სახურავის კონსტრუქციული წიბოების დახვეწილი გრაფიკა, ალუმინის ქალუზები, შუქრდილის მოხავედლობა, შესრულების საოცარი სიზუსტე, ანიჭებენ იდეალური პარმონიის პავილიონს განსაკუთრებულ საზეიმო იერს.

ში-პონდოსათვის იდეალური პარმონიის პავილიონი იგივეა, რაც პართენონისთვის პროპილეი, საზეიმო ჭიშკარი, რომელიც პირველი ეგებება მომსვლელს, რაც ასევე დამახასიათებელია იაპონური საკულტო არქიტექტურისათვის. როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში ჭიშკარი ცალკე მდგომია და არ წარმოადგენენ ტაძრების უშუალო ელემენტებს. ში-პონდოში იგი განუყოფელი ნაწილია შენობის საერთო კომპოზიციისა.

იდეალური პარმონიის პავილიონიდან მლოცველები ხედიან განწყენდის ტაძარში — შიცუდოში. იგი თავისებური ფოიეა, რომელიც იტევს 5400 ადამიანს. გადახურვის სტრუქტურულ ელემენტებს წარმოადგენენ სამკუთხა კვეთის წინასწარ დაბამული ბეტონის დრუტანიანი კოჭები,

მისტკური საკურთხეველის ინტერიერი. ამისათვის, რომ არქიტექტურა იწვედეს რელიგიურ ემოციებს, იკუნდა იყოს ზუსტი ახარეკლი იმ რელიგიის სულსა, რომელსაც აუფეს ეს ტაძარი.









რომლებიც ურთიერთ პარალელურად არიან განლაგებული. კოჭები სხვადასხვა დონეებზეა მოწყობილი, რაც საშუალებას იძლევა განწმენდის ტაძრის ზედა განათების მის მიულ სივრცეზე (115 მ). კოჭები ჰკვეთენ გარე კედლებს და კონსოლების სახით ვლინდებიან ფასადებზე. შიგნით ინტერიერის კედლები, იატაკი და ესკალატორის მოაჯირები მოპირკეთებულია თეთრი იტალიური მარმარილოთი. ზედა დონის იატაკზე დაგებული ცისფერი იატაკის ხალიჩები და ვიტრაჟის ბრინჯაოს ფერი, კედლების და ჭურის საერთო სითეთრესთან და სინათლესთან ერთად ქმნიან საზეიმო განწყობილებას.



ში-პონდოს გულია მისტიკური საკურთხეველი, დიდებული საკურთხეველი დარბაზით 6000 საჯდომზე (5400 მრველისათვის, 600 სამღვდლოებისათვის). დარბაზის ჩრდილოეთ ნაწილში, ცენტრალურ ღერძზე მოწყობილია წრიული ფორმის სპირიტუალის ფურცლებით შემოსილი მაღალი საკურთხეველი, ჩვეულებრივად საკურთხეველი დახურულია. იგი ნულ-ნულა იხსნება ცერემონიის დროს და ჩნდება ხალიჩა, რომელზედაც გამოსახულია ამოავალი მზის ცეცხლოვანი ვარვარება. ამფითეატრის რიგები მიმართულია საკურთხეველისაკენ. უშორესი მანძილი საჯდომისა საკურთხეველამდე არ აღემატება 60 მეტრს, ხოლო ხედვის მაქსიმალური კუთხე 12°.



მისტიკური საკურთხეველის დაკიდული სახურავი მნიშვნელოვანი ფორმარმოქმნელი ფაქტორია, რომელიც განაპირობებს როგორც ში-პონდოს საერთო არქიტექტურულ-სივრცობრივ ხასიათს ასევე ინტერიერის მხატვრულ სახეს. სახურავის ფორმას აქვს სათანადო აზრობრივი დატვირთვა, მისი ამოსავალია ფრთებგაშლილი წერი, რომელიც წარმოადგენს „ნიურენ შოშუს“ სექტის ემბლემას და რომელსაც იმედის სიმბოლოდ მიიჩნევენ.⁷



სახურავი გეგმაში ოვალური ფორმისაა, ხოლო სივრცობრივად შუაზე გადაღულ ველოსიპედის ბორბალს წააგავს. ში-პონდოს უნიკალური სახურავი, რომლის წონა 20.000 ტონაა, ხურავს ფართს რომელიც აღემატება ფეხბურთის მოედანს (110 მ. გრძივი ღერძის მიმართულებით, 82,5 მ. განივ ღერძზე). სახურავის სიმაღლეები იცვლება 30 მეტრიდან 60 მეტრამდე. როგორც ეკონიამა მაინიშნებს, მისი ფორმა თავყანისცემის ობიექტისადმი მლოცველთა ყურადღების კონცენტრაციის მოსაზრებებითაა განაპირობებული. ხუროთმოძღვარმა მიიჩნია, რომ ჩვეულებრივი სივრცული კონსტრუქცია ვერ პასუხობს იმ რელიგიურ განწყობილებას,

ტაძრის ესკიზები ... შემდეგ ჩვენ მოვხაზეთ საკურთხეველის ესკიზები, რომელსაც ფრთავარდობილი წერის ფორმა ჰქონდა. ამ სახეზე შეეჩარდი, რადგანაც იგი მორწმუნეებში მიიწვევდა სამოთხეში მოხვედრის იმედს“.



რომელიც მის მიერ იყო ჩაფიქრებული. მას უნდოდა, რომ ეს განწყობილება თვით სახურავის კონსტრუქციაში დებულყო. ანალიზმა და კვლევამ სპეციალისტები დაკვირვებულ სისტემებში მიიყვანა, თუმცა ეს უკანასკნელი წონის მნიშვნელოვანად აღემატებოდა სივრცული კონსტრუქციის წონას და ითხოვდა მთლიანად სისტემის გაძლიერებას.

სახურავის ცენტრში მოწყობილია ე. წ. დაჭიმული არქივოლები, ხოლო პერიფერიებზე შეკმშული არქივოლები (განაპირა ოვალური კოჭები). არქივოლები ურთიერთ დაკავშირებულია რადიალური კოჭებით, რომლებიც ფაქტურად განსაზღვრევენ სახურავის ძირითად სტრუქტურას. როგორც პროფ. შიგერუ აიკი აღნიშნავს, გამართვებელად ამ სისტემას შეიძლება ვუწოდოთ „პირდაპირ რადიალური მხარებით“.

კონსტრუქტორებს დიდი ჯაფა დაადგათ საყრდენი კონსტრუქციების დადგენისას, რადგანაც საჭირო იყო 20.000 ტონის სახურავის დაჭერა საყრდენების არათანაბარი დატვირთვის პირობებში და ისიც ისეთ სეცსმურად აქტიურ რაიონში, როგორც იაპონია. ძიებებისა და ვარიანტების შედარების შემდეგ გადაწყდა საყრდენებად გამოყენებინათ პირამიდალური ფერმები, რომლებიც განლაგდებოდა სახურავის პერიმეტრზე. სწორედ ეს, ქვემოდან ზემოთ მარასობურად გაშლილი პირამიდალური ფერმები სახურავიან ერთად ასრულებენ გადამწყვეტ როლს ში-პონდოს არქიტექტურაში; ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხუროთმოძღვრისათვის მიზანდასახული ფსიქო-ემოციური კონცეფცია და არა ინჟინერი რაციონალიზმი ედო საფუძვლად კონსტრუქციული სისტემის შერჩევას. კონსტრუქციების ანგარიშისას გამოყენებული იყო უახლესი ტიპის გამოთვლელი მანქანები, ცდები ტარდებოდა აურთიანობის მიღების და შემცირებული მასშტაბის მოდელზე.

ში-პონდოს აღწერისას არა ერთხელ ვახსენეთ სიმბოლოები. აუზი, რომელიც ლოკის ყველაზე სოციაგონებ — დაკავშირებულია ბუდისტურ რელიგიასთან. იდგალური პავილიონის 5 სვეტი — სიმბოლო ჩინური იეროგლიფის ზუთი ნიშნია, რომელიც გამოყენებული იყო ფსალმუნების დამწერლობაში, მისტიკური საკურთხევის სახურავის ფორმა — სიმბოლო კეთილი წერსი, ნიურენ შოშუს სექტის ემბლემა და სიმბოლო იმედისა, პირამიდალური ფერმები — რომელსაც მარას, ამ ტრადიციული იაპონური ნივთის ფორმა აქვს, თვით იდგალური პავილიონის — ტრადიციული იაპონური ჭიჭიერების თემა, შენობის ცალკეული ნაწილების სახელწოდებები და სხვა. დიახ, ში-პონდო სიმბოლოების, ასოციაციების, ნიშნების სამყაროა, რომელსაც ასე პატივს სცემენ იაპონიაში.

მისტიკური საკურთხევის საკონსტრუქციო დარბაზის ქვედა დონეებიდან იწყება საეკვაუციო პანდუსები, რომელთაც უმოკლეს დროში გააკყავს მრეველი მისტიკური საკურთხევიდან, კანონის

ბალის ზედა და ქვედა დონეებზე, იქედან კი ნებისმიერი მიმართულებით, ასეთი მძლავრი კოხტონიკაციები თავისი ხასიათით უჩვეულო ელემენტია რელიგიური არქიტექტურისათვის — ჩემს მიერ ადრედაროვებულმა, საკულტო შენობებმა, განსაკუთრებით კი ბოლო ში-პონდო დამანება, რომ შირი შემთხვევაში, ჩემი კონცეპცია საკულტო არქიტექტურაზე არ ემთხვევა სხვებისას. ადამიანთა დიდი ნაკადების შეუფერხებელი გადაადგილების შესაძლებლობები ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა ყველა შენობისათვის, მათ შორის საკულტო ნაგებობისათვის, თუცა არიან ადამიანები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ეს არ არის აუცილებელი საკულტო არქიტექტურისათვის. მათ ჰგონიათ, რომ დიდი ნაკადების შეჯგუფება კარგი საშუალებაა ადამიანთა კონტაქტებისათვის, თითქოს, ეს უფრო რელიგიურია. ამ შესუბუღლებას მე ვერ დავეთანხმები. ამიტომაც ში-პონდოში ყველა პირობა შექმნილი ადამიანების შეუფერხებელი გადაადგილებისათვის ნებისმიერი მიმართულებით. ეს განიერთ პანდუსებზეც ამ მოსაზრებითაა ნაკარნახევი. ისევე როგორც, ჩემს მიერ დაროვებულნი სხვა შენობები, ში-პონდოც დამყარებულია ერთ შევნიშნულ რელიგიურ იდეაზე, რომელიც თავის მხრივ შეიცავს მრავალწინაფერსა და მტკიცებას. ძირითადი იდეა, რომელიც ჩემის აზრით უნდა ედოს ყველა არქიტექტურულ ნაწარმებს, მათ შორის საკულტოსაც, ესაა მთლიანობის იდეა. არქიტექტურული ნაწარმების შექმნის შემოქმედებითი პროცესი არ მთავრდება პროექტის დამთავრებასთან ერთად, კიდევ მეტი, გარკვეულ წილად ეს პროცესი გრძელდება მშენებლობის დამთავრების შემდეგაც. ფართო საზოგადოებისათვის მივლი ეს რთული პროცესი მხოლოდ „პროექტის შედგენაში“ იყრის თავს. სრულიად შეუძლებელია სიტყვით გამოხატოთ ეს პროცესი. მით უფრო, სიტყვა დამორბედიც იღნავადაც ვერ ასახავს ამ პროცესის ფაქტურ შინაარსს, ცხადია, ჩვენ უნდა ვიხმართ მცნებები „შექმნის პროცესი“ და არა „დაროვებუნი“.

ერთიანობის მცნება გულისხმობს მიზანდასახულ ძიებას, ძიებებს იქამდე, სანამ შენობის ყველა ელემენტის ზემოქმედება არ მიაღწევს განუყოფელი ერთიანობის სტატუსს. ეს არ არის მხოლოდ მხატვრული ერთიანობა, არამედ ფუნქციისა და ფორმის, სასარგებლოსი და ლამაზის ერთიანობა — ამობს გკოიამა.

— ეს პრინციპი ხუროთმოძღვრების მარაიული პრინციპია, თუმცა ყოველი ხუროთმოძღვარი სხვადასხვა მეთოდებით აღწევს ამ ერთიანობას, — მივუბნ მე.

— თუკი არქიტექტორის შემოქმედებით პროცესს გავიგებთ, როგორც ორ დამოუკიდებელ პროცესს — რაციონალურ აზროვნებას და ემოციას, მაშინ ეს პროცესი არ შეიძლება იყოს განუყოფელი მთლიანობა. ამ შემთხვევაში ჩვენ მოგვიწევს გამოვძებნოთ შესაბამისი თეორია, რომელიც ამ ორ ასპექტს მიიყვანს „მთლიანობა“ კონდიციად.



სხვათა შორის, პრინციპი, რომელსაც მივყავართ არქიტექტურის ამ ორი ასპექტის ერთიანობისაკენ, შეიძლება ვნახოთ ბუღიზმის მოძღვრებაში, კერძოდ, ის, რომ ადამიანის ფიზიკური და სულიერი ასპექტები განუყოფელია, რადგანაც მათი ნამდვილი ბუნება ვლინდება მხოლოდ ერთ არსებაში. ასევე, არქიტექტურის ორი ელემენტი — ფორმა და სარგებლიანობა არ შეიძლება არსებობდეს ცალ-ცალკე; დი.ხ. ეს „უუნდამენტური“ იდეა, როგორც მას ეკოიამა უწოდებენ, ნათელ ხაზად გასდევს ში-ჰონდოს. აქ არ არსებობს არაკონსტრუქციული არქიტექტურული ფორმა, ფორმა სილამა-ხისათვის. აქ „ერთიანობა“ იმ სიმაღლემდეა აყვანილი, გვეჩვენებთ, რომ ში-ჰონდოს უჩვეულო, უმთავრესად, არქიტექტურული სამყარო მექანიკური შედგენიანი ინჟინრული ლოგიკისა, იგი დაქვემდებარებულია ზუსტ მექანიკურებსა და ხუროთმოძღვრის ისლად დარწმუნია, კეთილსინდისიერად მოაპირკეთოს ეს კონსტრუქციული სხეული. ეს კი ცალსაკურობამდე აყვანილი ორგანულობაა, ტრადიციისა და მაღალი პროფესიონალიზმის უტყუარი ნიშანია.

კიდევ ერთხელ მოვაგვფ თვალი მიოდნის სივრცეს, სპილენძის მომწვანო ჭერს, მარაოსებურ ბურჯებს, დარბაზის მთელ პერიმეტრზე რომ განლაგებულია და ინტერიერის უაღრესად თავისებურ, განუზომებელ სახეს რომ ქმნიან. დარბაზს უკან კრცვლ ფოიეში გავედით, ფოიე პირობითად ორდასაყუთ და აღმოსავლეთ ნაწილებადაა გაყოფილი. აქედან მთელი დადებულებით მოჩანს ფუჰიამა; ნატიფად ორნამენტირებული მოყვითალო იატაკის ხალიჩა, შავი სავარძლები, ხის მუქი ჭერი, გობლეუნი „მზე“ და „ოდა შენებას“, ქმნიან ზეაწეულ ამაღლებულ განწყობილებას. უკვე მისტიკური საკუროთხველის კარები გახსნეს და მრეგლმა იწყო შემოსვლა, ცერემონიული იწყებოდა. მევენ გასასვლელ პანდუსებს დავეყვებით და კანონის ბაღის ქვედა დონეზე გავედით.

დაი-კიაკუდენი — დიდი მისაღები დარბაზი, არენა უშიტორა გონგოს ცერემონიისათვის, რომელსაც ამ ქალაქში 600 წელია ყოველდღე ასრულებენ ნიურენ-შომუს მოძღვრების გავრცელების მიზნით. უმშვენიერესი, დახვეწილი, კოპონა მუცუბო — ხის არქიტექტურის უბრწყინვალესი ნიმუში, რომელიც დაი-კიაკუდენთან დახურული გადასასვლელითაა დაკავშირებული. აქ ეწევიან ღვთისმსახურებას თვით სამღვდლოებისათვის და სწავლობენ რელიგიურ დისციპლინებს (არქიტექტორი კ. ეკოიამა და კ. ნასეგავა), ახლახან დამთავრებული ხელოვნების მუზეუმი — უაღრესად საინტერესო ინტერიერის სივრცობრივი ორგანიზაციის თვალსაზრისით (არქიტ. კ. ეკოიამა და მ. კავაი) — ყოველი მათგანი მკაფიო არქიტექტურული კონ-

ცეციის მატარებელია და კარგადაა ცნობილი არქიტექტურული სამყაროსათვის.

ფუჯიონომის თანდათან ბინდი ეპარება. ბინდმა ასალი დიდებულებით წარმოაჩინა ში-ჰონდო. მალე მძლავრი პროექტორები ჩაირთვება, გაქრება ფუიამა და გარემოს დაქატრონება გიგანტური თეთრი ფირფეილი ში-ჰონდო.

აქაურბის შორდები ადამიანის სიოდის, მისი უძლველობისა და უკიდვეანო შესაძლებლობების ამაღლებელი რწენი.

შენიშვნები:

1 მეტაბოლიზმი წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან და ნიშნავს განახლებას, შეცვლას. იგი ბიოლოგიური ტერმინია. არქიტექტურაში შემოიტანა იაპონელ არქიტექტორთა ჯგუფმა, რომელთაც შემდგომ მეტაბოლიზტები ეწოდათ.

2 შოგეიანებით, 1964 წელს, როდესაც ტოკიოს გავიდნათ მათ შეუერთდნენ კ. ტანგე და ა. ისოზაკი, გეორიანებმა მიიღო „შოდი მეტაბოლიზტის“ ჯგუფის სახელწოდება.

3 მე. არქიტექტორ კ. ტანგეს ქ. ტოკიოს გეგმა „Tokyo Bay“ და „ტოკიოლი მეგალოპოლისი“, არქ. კ. კურაკავას „კაჟეიკისებური კლსტერები“. არქიტექტორების აჯვის და ნახავს — ტოკიოს გეგმარებობით სტრუქტურის რეკონსტრუქციის პროექტი 15 მილიონ მსტოვრებზე განგარისმებთ. არქ. კ. კიუსტავის „ზღვის ცივილიზაციის“ და არქ. ა. იოზაკის ტოკიოს განაშენიანების პროექტი „მტევიანი ჰავრში“ და სხვა.

4 ასეთ კლსტერს კ. ტანგესთან წარმოადგენს გიგანტური საცხოვრებელი ბლოკები, აჯვი და ნახავს გეოგრაფიულად აკლსტერ მოგებლობებს, ა. ისოზაკი „კლსტერები ჰავრში“, კ. კიუსტავი „მეტრად კლსტერებს“.

5 1976 წელს გამოცხადებულ საერთაშორისო კონკურსში, სადაც მსოფლიოს 38 ქვეყნის პროექტები იყო წარმოდგენილი, კ. კურაკავამ მიიღო I პრემია. მეორე პრემია კიმიძარი მიაზიკამ, ხოლო ნაოხიეი აშუმამ მეოთხე პრემია მიიღო.

6 გამოჩენილი იაპონელი არქიტექტორი კ. ეკოიამა და ახალგაზრდა არქიტექტორები ტომიაკი დაუგოე და ეზი კაკიავა 1975 წელს ეწევიენ საბჭოთა კავშირს. მათ რამდენიმე დღე დაჰყვეს თბილისში, გვეცვენ ქართულ არქიტექტორთა ნამუშევრებს, არქიტექტორულ ძეგლებს, ჰქონდათ შეხვედრები ქართველ კოლეგებთან.

7 ში-ჰონდოს სახურავი დაპროექტა შიეირუ აკოს კვლევითმა ინსტიტუტმა.

მოგზაური მხატვრის ჩანახატები

სიმონ აბტი



მ. თ. ვეილმე

კავკასიის პეიზაჟი

პენრიხ თიოდორ ვეილმეს ნაწარმოებები დიდხანს, ასზე მეტი წლის განმავლობაში დავიწყებული იყო. მხოლოდ ჩვენ დროს ეს მხატვარი ხელახლა იქნა აღმოჩენილი და სათანადოდ შეფასებულიც. ცოტა ხნის წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრივმა ვეილეს დაბადების 200 წლისთავი აღნიშნა. ამ თარიღთან დაკავშირებით გამოიცა მისი ლიტოგრაფიებისა და ნახატების ალბომი, ცნობილმა გერმანელმა კინორეჟისორმა კონრად გერმანმა კი ვეილეს შემოქმედებისადმი მიძღვნილი ფილმი გადაიღო.

საქსონიის ულამაზესი კუთხის — შპრევეალის მკვიდრი ვეილე ბავშვობიდანვე განიშტეველა ბუნებისადმი სიყვარულით. როცა შვილის მხატვრული ნიჭი შენიშნა, მამამისმა იგი მიაბარა გიმნაზიაში, სადაც ცნობილი ფერმწერი ზრისტოფ ნატე ასწავლიდა ხატვას. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ვეილემ დრეზდენის სამხატვრო აკადემიაში სწავლობს.

ახალგაზრდა მხატვრის პეიზაჟები რამდენადმე გაიდელბერტულია, რომანტიკულ ელფერს ატარებს. რომანტიკას ეძებს იგი შემდეგშიც, ამიტომაც უპირატესობას აძლევს ძველ ციხე-სიმაგრეთა ხედებს, უზარმაზარ კლდეებსა და ასწლოვან ხეებს მთის აჭაფებულ მდინარეთა ნაპირებზე.

ვეილე სიამოვნებით იღვას ანტიკური ხელოვნების ცნობილი ფრანგი მკვლევარის გრაფ ოგიუსტ შუაზელ-ფუნდეს მიწვევას რუსეთში ერთობლივი მოგზაურობის შესახებ. 1801 წელს ისინი პეტერბურგში ჩაიღიან. ცნო-

ბილი სახელმწიფო მოღვაწის, სამეფო კარის ბიბლიოთეკის დირექტორის, არქეოლოგის, გრაფ ალექსი მუსინ-პუშკინის რეკომენდაციით ვეილეს ჩინოვნიკის თანამდებობა უბოძეს.

1801 წელს, რუსეთთან საქართველოს შეერთებასთან დაკავშირებით ვეილეს სთავაზობენ კავკასიაში გამგზავრებას და ამ მხარის გეოგრაფიული რუკის შედგენას, ამასთან, სახასიათო პეიზაჟების აღებულებასაც.

ალექსი მუსინ-პუშკინთან ერთად ვეილე კავკასიაში ჩამოდის, სამი წლის განმავლობაში ძირითადად საქართველოში მუშაობს და თავის ნახატებს პეტერბურგში უგზავნის მეფეს.

საქართველოს ბუნებით, მისი მოსახლეობით მოხიზლულმა მხატვარმა შთაგონებით აღებუდა დიდებული მთაგორიანი პეიზაჟები, ჩანჩქერები და მდინარეთა ხეობები, ამწვანებული მდელოები, მწყემსები და მოგზაურები... ამ ნამუშევრებმა გერმანულ მხატვართა მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ხანგრძლივმა და დამქანაცავმა მოგზაურობამ შეარყია მხატვრის წამრთელობა, იგი იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო, მაგრამ ავადმყოფობა მძიმე აღმოჩნდა და ოცდაშვიდი წლის ასაკში 1805 წელს ვეილე გარდაიცვალა.

სასურველია გავიტყუდეს ვეილეს ქართული ჩანახატების მოძიება, რაც გარკვეულად გაამდიდრებს საქართველოსთან სხვადასხვა ქვეყნების კულტურულ ურთიერთობათა ისტორიას.



ძველი სახლები ბარათაშვილის ქუჩაზე



ზეიმი თბილისში

ამიერიდან ყოველწლიურად გამართება „თბილისქალაქობა“ — ძმობისა და მეგობრობის დღესასწაული. შარშან ოქტომბერში პირველად ჩატარდა ეს ზეიმი და ჩატარდა ისე, თითქოს უკვე დიდხნის ტრადიციად დამკვიდრებულიყოს. სახალხო დღესასწაულში ჩაერთო ქალაქის ერთ-ერთი ძველი, კოლორიტული უბანი — ბარათაშვილის ქუჩა, რომელსაც პირვანდელი სახე დაუბრუნეს ჩვენმა არქიტექტორებმა, მხატვრებმა და მშენებლებმა.

რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულებმა თან მოიტანეს ქართული მიწის ხვაგი და ბარაქა, თავიანთი ხელოვნება — სიმღერები და ცეკვები...

მიწისქვეშა გადასასვლელი ფილარმონის საკონცერტო დარბაზთან







ამ დღეს ოთხ ღვანღმოსილ ადამიანს, ოთხ თბილისელს მიენიჭა თბილისის საპატრიო მოქალაქის წოდება: საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს, სოციალისტური შრომის გმირს ლადო გუდიაშვილს, გამოჩენილ მეცნიერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ ფუძემდებელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს აკაკი შანიძეს, სოციალისტური შრომის გმირს, მჭედელ კონსტანტინე ილურიძეს, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს, საბჭოთა კავშირის გმირის ვახტანგ ჩიქოვანის დედას, სუსანა ჩიქოვანს. ღვანღმოსილნი დაფინს გვირგვინებით შეამკეს და თბილისის საპატრიო მოქალაქეთა დიალომები გადასცეს.

ზეიმში მონაწილეობა მიიღეს ამჟამად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე სახელოვანმა თბილისელებმა.

„თბილისქალაქობის“ წინა საზეიმო დღეებში ახალი მიწისქვეშა გადასასვლელები გაიხსნა საქართველოს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზთან და გამარჯვების პარკთან ვაკეში.



მიწისქვეშა გადასასვლელი გამარჯვების პარკთან ვაკეში





მც. 2.

ის, რომ მოცემულ მაგალითში ჩვენ ვგაქვს საფეხური, აშკარად მიგვიჩვენებს I სახის კადანსის გართულების ტენდენციას. ამის შემდგომ საფეხურზე კი უკვე არა მარტო II, არამედ III საფეხურიც III ++ სახითაა მოცემული, რაც ამ ფუნქციის გადაწყვეტისას წმ. კვარტით ქვევით იძლევა მოდულაციას საწყისი კოლოდან პატარა სეკუნდით ქვევით მდებარე კოლოში; — ეს კი უკვე II სახის რთული მოდულაციური კვარტული კადანსია. ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ II საფეხური I სახის კადანის მხოლოდ გამოწვევას, გართულებულ ვარიანტებში გვხვდება, მაშინ, როდესაც იგივე აკორდი II სახის რთული მოდულაციური კვარტული კადანის ისეთში აუცილებლად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ II+ საფეხური I სახის კადანსში აღემატება ჩაითვალოს II სახის კადანსს ჩანასადს.

ამის შემდეგ გვიწად აღვნიშნოთ ერთი პრინციპულად ახალი მომენტი, რომლისაც, როგორც შემდგომი კვლევისას გაირკვა, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო კვარტულ, არამედ სხვა ქართული კადანსების განვითარების ისტორიის შესწავლისათვისაც. ესაა მტკაღ თავისებური მოვლენა, რომლის დროსაც ერთ-ერთი კადანის (ჩვენი შემთხვევაში — რთული მოდულაციური კვარტული კადანის) ბოლო, ტონური ფუნქცია უტყავდ იძენს დომინანტური ფუნქციის (VII საფეხურის) ელემენტებს და მათზევე ხდება მისი გადაწყვეტა. ე. ი. მითიანად ეს რთული, შედგენილი მოდულაციური ფორმლა თვის თავში აერთიანებს ორი მოდულაციის ელემენტებს, და რადგანაც მიეღ რიც სიმღერებში მსგავსმა მოდულაციურმა სინთეზმა ჩამოყალიბებული და დამოუკიდებელი სახე მიიღო, ვფიქრობთ, შეიძლება მასზე, როგორც ახალი რანგის რთული მოდულაციურ ფორმალა ლაპარაკი. მისწავნილილად მიგვანია მიღებულ ახალ რთულ მოდულაციურ სინთეზს ვუწოდოთ „ჭრტიზებული მოდულაციური კვარტული კადანსი“.

რა თქმა უნდა, I სახის რთული მოდულაციური კვარტული კადანის გართულების შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ დაზრუნებას იგავე კოლოში (ფორმლა I, II, III, VII, 7). I, მაგრამ ეს მოვლენა მაინც განსაკუთრდება ჩვენს მიერ აღრც განხილული „რთული კვარტული კადანსიდან“ (ფორმლა I, II, III, VII, I), სხვადასხვა თუ ორი, არამედ ერთი მოდულაციის ნიშნებიც არ აქვს. I სახის ზრთოვანი მოდულაციური კვარტული კადანსში კი ორივე მოდულაციური ელემენტი აშკარად იგრძნობა (იხ. კახური მრავალმიერობა, I, კორგარეთული, ქართული სახალხო სიმღერები, თბ., 1899, გვ. 51, ბოლო ორი ტაქტი; გვ. 52).

II ტაქტში II+ საფეხურის, შემდეგ კი III-ის გამოჩენა თითქმის აშკარად მოდულაციას C-ზე; მართლაც, III ტაქტში ახალი კოლოს ტონია (C) გამოჩნდება, მაგრამ უნდა მახში ოიონური ელემენტების გამოჩენის გამო იგი უნდა დომინანტად იქცევა და მათზევე გადაწყვეტა საწყის კოლოში (D) მიქსოლიდიურში. მითიანად ამ მოდულაციური სინთეზის ფორმლა შემდეგია: I, II (ან II+ - III, VII, 7). I.

განსაკუთრებით რთულ და საინტერესო მოვლენასთან ვგვხვდებით, როდესაც ზემოაღნიშნული მოდულაციური სინთეზი ზორცილებდება II სახის რთული მოდულაციური კვარტული კადანის ბაზაზე:

საწყისი კოლო ამ მაგალითში F მიქსოლიდიურია. მე-2 ტაქტი-

I მოდულაციის სფეროში ჩატარებულ კვლევის შედეგად ჩვენ მივიღებ დამკვიდრებ, რომ მიქსოლიდიურ კოლოში ოიონური ელემენტის (დღი სეკუნდის) გამოჩენა ყოველთვის დავუმორბედილი დომინანტური ფუნქციის (VII საფეხურის) გამორჩენასთან.



მც. 3.

და იწყება II სახის ზრთოვანი მოდულაციური კვარტული კადანის განზოც-ილიაზა ზერ ყოველგვარი გამკლებლი და მდმხმარე ბუნების გარეშე, სუთა სახითაა მოცემული II+ საფეხური (მიეღ მე-2 ტაქტი), შემდეგ მე-3 ტაქტი უჭირავს ასევე „შეშველი“ სახით მოცემული III ++ საფეხურს, რომელიც ახორციელებს დამახასიათებელ გადაწყვეტას წმ. კვარტით ქვევით (A → E). აი აქ, მის საყრდენზე რომ მოცემული ვკვირდეს რაიმე განმარტაციებულ ნაგებობა E მიქსოლიდიური კოლოში, ჩვენ მივიღებთ სახის რთული მოდულაციური კვარტული კადანის ფორმლას — I, II ± III + ++IV, მაგრამ E ბაზში არაა განმტკიცებული, პირიქით, შუა ხმის აღმავალ ფრანზში მათზევე ჩნდება დიდი სებტიმა — ოიონური ელემენტი, რომლის გამოც მადის შეარდნივ დომინანტურ ფუნქციად აღიქმება და მოიძინს, მე-3 ტაქტშივე მისი გადაწყვეტაა მოცემული (E → F#is).

როგორც ჩანს, III ++ საფეხურში ამ შემთხვევაში ისეთივე ფუნქციის ასრულებს, როგორც I სახის ზრთოვანი მოდულაციური კვარტული კადანსში. -III საფეხური: ორივე შემთხვევაში ამ აკორდებს მოსდებს გადაწყვეტა წმინდა კვარტით ქვევით დომინანტურ ფუნქციზე. ამავე დროს, თუკი I სახის ზრთოვანი კვარტული კადანსი ხდებოდა დაზრუნება საწყის კოლორნალიზმში, II სახის ზრთოვანი მოდულაციური კვარტული კადანის საშუალებით ვიღებთ ისეთ რთული სახის მოდულაციას, როგორცაა მოდულაცია ნახევარი ტონით ზევით მდებარე კოლოში.

აღსანიშნავია, რომ მოდულაციის ეს ფორმა ვკავლევს გადასახლებას F მიქსოლიდიურად F#is მიქსოლიდიურში, ე. ი. ვიღებთ მოდულაციას 7 ნიშნით (დოზეტებისავე) განსხვავებულ კოლორნალიზმში; ტონია საწყის ტონთან შედარებით მაღლდება ქრომატულ ნახევარი ტონით და, შესაბამისად, ახალი კოლოს შვიდეუ საფეხური ნახევარი ტონით არის ამაღლებული. ვფიქრობთ, შეუძლებელია უფრო რთული მოდულაციური ფორმის დაძინა ხალხური მუსიკის რთული შემოქმედების პრაქტიკაში. ხალხური მოდულაციური ხელოვნება ამ ფორმაში აღწევს განვითარების მაქსიმალურ სიმაღლეს.

ამომიწოდო ფორმლა აღნიშნული მოდულაციური საკადანსო საქცივას იქნება: I, II +, III + ++ — III, VII, 7). I.

აქვეიღ დასადგინია, რომ მოცემული მოდულაციის ენმარმიონიული კატეგორიასა. მართლაც, ენმარმიონიული გატოლების პადლია III ++ საფეხურის მიერ ფუნქციის შენაცვლება: -III საფეხურთან (აკორდი A-cis-e (ბეკ.) F#is მიქსოლიდიურში იქნება დადასტურებულ მესამე საფეხურზე აკებული მარტოვლი სამხროვანი კვარტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზრთოვანი მოდულაციური კვარტული კადანის ორივე სახე ძირითადად გვხვდება ამონასვლელ საკრთოვლის ურთულეს სხიმღერა ფორმლაში — სუფთად სიმღერებში კერძოდ „მრავალმიერობაში“, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ამ სიმღერების განვითარების არანაკლებობრივ მაღალ დონეზე. გამოიკვლივის სახით შეიძლება მოვიტაროთ ძალზე საინტ-



ერის ვარიანტი სიმღერისა „აალილი“, ჩაწერილი რაჰაში, სოფ. შეუხანში, ართვ. შ. ახალიშვილის მიერ.

სიმღერის ამ მონაკვეთში (რომელიც მთელი სიმღერის განმავლობაში 4-ჭერ მორღებდა ტინაფობის თანდათანობით ამაღლებით) მოცემულია მოდულაცია G მქობილადორიდან GIS მქობილადორში II ხახის ზერითული მოდულაციური კვარტული კადანის საშუალებით: I, II+, III + += -III, VII, I.



მეგ. 4.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, II ხახის ზერითული მოდულაციური კვარტული კადანის ურთიუღის მოვლენა ხალხური მოდულაციური ფორმების სფეროში როგორც ნათესაობის მიხედვით (განსხვავება — 7 ნიშანი), ისე საკადანო, გარდამავალი ფუნქციების მრავალფეროვნებისა და სიროულის მხრივაც ეს მოდულაციური ფორმა ყოველთვის გამოიყენება როდესაც სიმღერების დიდი განმეორებითი მონაკვეთების შემკავებინებლად, რადგან შეიცავს მოდულაციას პატარა სტრუქტურული ზეითი მდებარე კოლოში, რითაც სიმღერის არქიტექტონიკას სულ უფრო და უფრო მეტ დინამიზმს და დაძაბუნებებს ანიჭებს. აღსანიშნავია, რომ ეს მოდულაციური ფორმა აღსაყვავდება პატარა ნაებობების შიგნით, იგი თავისი არარეველუბრითა სიროულს და მწიწნელობის გამო კოვლდების რაიმე დიდი მონაკვეთის დასასრულსა და ახლის დასაწყისს ემთხვევა, რის გამოც შეიძლება ითქვას, რომ ეს მოდულაციური ფორმა თავისებურ სტრატეგიულ მოდულაციურ ფორმულას წარმოადგენს. ამავე დროს საუბრადგებია, რომ II ხახის ზერითული მოდულაციური კვარტული კადანის არსიდან არ განსხვავდება სიმღერის ბოლოში; თვით ის სიმღერები, სადაც ეს მოდულაციური ფორმა გაშვებულია, ბოლოს ვაკვებს არა ზერითული, არამედ უბრალოდ II ხახის როდული მოდულაციური კვარტული კადანის (I, II+, III + += IV, I) რომლის საშუალებითაც გადადევარბ პატარა სტრუქტურული კვეთი მდებარე კოლოში. ამას, როგორც ჩანს, იწვევს ის მომენტი, რომ კადანის ბოლოს ხანის ხაზრდების დომინანტად ქცევა და კვლავ ზეითი ახლა ძალზე ღიდ დინამიურ ეფექტს იძლევა, რაც თავისი ბუნებით ხელს უწყობს ახალი დიდი მონაკვეთის დაწყებას, მაგრამ ეწინააღმდეგება სიმღერის დასასრულს, საბოლოო კადანისთვის თავისებურებებს. როგორც ჩანს, გარდა იმისა, რომ II ხახის ზერითული მოდულაციური კვარტული კადანის არის სტრატეგიული მოდულაციის ფორმა, ამავე დროს იგი არის მეტად სანიტერესო და თავისებური დინამიური მოდულაციური ფორმა.

როდული მოდულაციური კვარტული კადანის ფორმების ანალიზი არ იქნება სრული, თუ ძალზე მოკლე მაინც არ შევეთხრო მას. შიშინაწილად თითოეული ხმის ფუნქციას: ხანი — უდავლად ყველაზე მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, გადაწყვეტილი კომპონენტია ამ კადანის ყველა ფორმისა, დაწყებული როდული კვარტული კადანის და დამთავრებული II ხახის ზერითული მოდულაციური კადანის. მნიშვნელობის მხრივ მეორე ადგილზე შეიძლება დავაყენოთ მაღალი ხმა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კადანის ყველაზე პრინციპულ მომენტში — ხანში წმ. კვარტულ დაღმავალი ნახტომის დროს — ამ მაღალი ხმის ფუნქციას ახალი კოლო-ტინაფობის განმტკიცება მისი საყრდენი საფეხურების ჩვენებით. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ მაღალი ხმის მოძრაობის დაზარალება შეზღუდვლიანია ახალი კოლო-ტინაფობის კონსტრუქციის უტკბურესი ბეჭდებით. ამ მხრივ შედარებით თავისუფალია ტუმა ხმა, რომელსაც არა აქვს განმამტკიცებელი ფუნქცია და ამიტომ კადანის ბოლოს, გადაწყვეტის მომენტში შეუძლია იმოძრაოს ახალი კოლოს ფაქტორად ნებისმიერ საფეხურზე, გარდა II-სა

(თუმცა ყველაზე ხშირად იგი მაინც კინტაში წყდება). ამავე დროს ინტერსიმულაციური არაა ის ფაქტი, რომ სწორედ მეტაფორულ ხედვა II ხახის როდული და ზერითული მოდულაციური კვარტული კადანის საშუალებით განსაკუთრებულად მოდულაციის მომხადება მომავალი კოლოს საფეხურების გამოჩენით.

როგორც ვხედავთ, როდული მოდულაციური კვარტული კადანის კვლევა მთავრდება ამ საკადანო ფორმების შემდეგი განსხვავებული ფორმების დადგენამდე:

1. როდული კვარტული კადანის — ისტორიული საფეხურია ამ კადანის შემდგომი როდული ფორმების ჩამოყალიბების პროცესში. ეს კადანის ზერე არ წარმოადგენს მოდულაციურ ფორმას და მისი საშუალებით კვლავ გადასვლა ან დომინანტირება ტონიფორმის (II, III, IV, I), ან ტონიკურიდან დომინანტირებელი ფუნქციის (I, II, III, VII, I), ფუნქციები აქ ქვე ჩანსახის სახითაა მოცემული.
2. როდული მოდულაციური კვარტული კადანის (ან: I ხახის როდული მოდულაციური კვარტული კადანის) — გვხვდება ყველაზე ხშირად, საკმაოდ განსხვავებული ფორმებით. ახდენს მოდულაციის ამ გადახარს დიდი სტრუქტურული კვეთი მდებარე კოლოში: — I, II, -III-IV, I; G → F.

III ხახის როდული მოდულაციური კვარტული კადანის — განსხვავდება I ხახის როდული მოდულაციური კვარტული კადანისაგან იმით, რომ -III საფეხურის ნაცვლად ვაკვს III საფეხური, რაც ვაკვლევს გადასვლას საწყისი კოლოდან ხაზ, სტრუქტურული კვეთი მდებარე კოლოში. კადანის ეს ფორმა ახდენს მოდულაციის ნიშნით განსხვავებულ კოლო-ტინაფობაში — I, II+, III + += IV, I, G → F⁺.

4. I ხახის ზერითული მოდულაციური კვარტული კადანის — წარმოიქმნება I ხახის როდული მოდულაციური კვარტული კადანის ფორმის უზამდე დომინანტად ქცევის შემთხვევაში, რის გამოც მთელი ამ კადანისთვის შემდეგ ისევე პირვანდელ კოლოში აღმოჩნდება — I, II, -III, VII, I.

5. II ხახის ზერითული მოდულაციური კვარტული კადანის — წარმოიქმნება აგრეთვე მოდულაციური ფორმების სინთეზის შედეგად: II ხახის როდული მოდულაციური კვარტული კადანის ბოლო, ტონიკური ფუნქცია მაშინვე იქნეს დომინანტის მიხედვს და წყდება საწყისი კოლოდან პატარა სტრუქტურული ზეითი მდებარე კოლოში. ეს კადანის ვაკვლევს მოდულაციას 7 ნიშნით განსხვავებულ კოლო-ტინაფობაში და როგორც ჩანს, ურთულესი მოდულაციური ფორმა აღსაყვავდება ჩაითვალს: I, III + += -III, VII, I, G → GIS. ესაა ხალხური (არა მარტო ქართული) მუსიკალური შემოქმედებაში შენიშნული ჭრტკობით ერთადერთი ენამარინიული მოდულაციური.

გარდა კადანის წმინდა თეორიული ანალიზისა, ძალზე სანიტერესია თვით მისი წარმოშობისა და სხვადასხვა ფორმის სიმღერებში, მეტად თავისებური გავრცელების მიზეზების დადგენა. ჩვენი დაკვირვებით, მაგალითად, ეს კადანის ყველაზე ფართოდ გავრცელებული მდებარე და მართლ სიმღერებში, ამავე დროს მისი გავრცელება სუსტად სიმღერებში ამოწმურება მხოლოდ „მრავალმხრივია“, ისიც გარკვეულ, კერძოდ, „გრძელად მარტო მრავალმხრივია“ კატეგორიის სიმღერებში, გვიწოდებ „მარტო უფრო“ კი როდული მოდულაციური კვარტული კადანის არც ერთ ფორმის არავითარ კვლავ არ ვხედავთ. ყოველთქვე ამას, რა თქმა უნდა, თავისი გამოწვევი ობიექტური მიზეზები უნდა ქონდეს. როგორც, ამ სანიტერესო მათემატიკურად კადანის შემდგომი კვლევა კიდევ მრავალი ახალი სანიტერესი პრობლემისა და აღმოჩენის წინაშე დაგვაცხენებს.

მეგ. 1. მრავალმხრივი, ო. ჩიჭავაძე, ქართული ხალხური სიმღერები (კახური), ნაწ. II, თბ. 1969, გვ. 16.
 მეგ. 2. მრავალმხრივი, ო. ჩიჭავაძე, ქართული (კახური) ხალხური სიმღერები, ნაწ. I, თბ. 1962, გვ. 58-59.
 მეგ. 3. მრავალმხრივი, ო. ჩიჭავაძე, ქართული (კახური) ხალხური სიმღერები, ნაწ. I, თბ. 1962, გვ. 85.
 მეგ. 4. ალილი, ო. ჩიჭავაძე, ე. ცაგარეიშვილი, ქართული ხალხური სიმღერები, მოსკ. 1964, გვ. 32.



ბაჩკოვოს მონასტერი

სოფლის გამომცემლობა „სეტემერიმ“ რუსულ ენაზე გამოსცა გიორგი ჩავრიკოვის მდიდრულად ილუსტრირებული (ილუსტრაციების ავტორი კონსტანტინ ტანჩევი) ნაშრომი „ბულგარული მონასტრები“. ნაშრომის საგამომცემლო ანოტაციაში ნათქვამია, რომ ბულგარეთის ტერიტორიაზე დღეს დაცულია ას ოცდაათამდე სამონასტრო კომპლექსი. გ. ჩავრიკოვის ნაშრომით მკითხველი ეცნობა ბულგარეთის ორმოცდათხუთმეტ უმნიშვნელოვანეს სამონასტრო კომპლექსსა და ეკლესიას.

გთავაზობთ ერთ თავს აღნიშნული ნაშრომიდან.

ბაჩკოვოს მონასტერი

გიორგი ჩავრიკოვი

კულტურისა და ხელოვნების ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ძეგლი და ბულგარეთში სიდიდით მეორე მონასტერია ბაჩკოვოს ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი. იგი გაშლილია როდოპის ციცაბო კლდოვანი და ტყიანი მწვერვალებით გარშემორტყმულ მდინარე ჩაის (დღევანდელი ასენიცის) დაბლობზე.

დაახლოებით ცხრა საუკუნის წინათ, როცა ბულგარული სახელმწიფო ბიზანტიის უღლის ქვეშ იყო (1018-1125), ბიზანტიის იმპერატორები დაპყრობილ ბულ-

გარულ მიწებს ძღვენიდნენ თავიანთ სახელმძღვანელო მხედართმთავრებსა და სამეფო კართან დაახლოებულ დიდმოხელეებს. ასენოვგრადის სამხრეთით მდებარე მიწები — ასენოვგრადს მაშინ სტანიმახო-სი ერქვა — ებოძა ქართველ გრიგოლ ბაკურიანს. ის იყო ალექსი კომნენის დროს (1081-1118) იმპერიის სამხრეთ სამფლობელოებში ჯარების „სებასტოლი და დიდი დომესტიკოსი“. ადგილობრივ მოსახლეობაში თავისი ძალაუფლებისა და ავტორიტეტის განსამტკიცებლად გრიგოლ ბაკუ-

რიანმა ისარგებლა საეკლესიო ინსტიტუციით. 1083 წელს მან დააარსა ბაჩკოვის მონასტერი, რომელიც იწონდა პეტრიწონის წმინდა ღვთისმშობლის მონასტრად — პეტრიწონი ერქვა ახლომდებარე ციხესიმაგრეს.

მონასტრის ორგანიზაცია, სტრუქტურა ასახულია ცნობილ „ტიპიკონში“ (წესდებში) რომელშიც ნათქვამია, რომ გრიგოლ ბაკურიანის მიერ დაარსებული მონასტერი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი, თვითმმართველი დაწესებულება, რომელიც არ დაექვემდებარებოდა არც მეფის, არც პატრიარქის, არც მიტროპოლიტის და არც ეპისკოპოსის ხელისუფლებას. კატეგორიულად იკრძალებოდა მონასტრში სხვა ეროვნების ბერების მიღება. გრიგოლ ბაკურიანმა და მისმა ძმამ აბაზმა მონასტრის შესწირეს დიდძალი ადგილ-მამულები როდოპში, თრაკიის დაბლობზე, ვიდრე თვით სალონიკამდე. ბიზანტიელი მწერლის, ანა კომნენის ცნობით, გრ. ბაკურიანი დაიღუპა ჰაჭანიკებთან ბრძოლაში პლოვდივის ჩრდილოეთით მდებარე სოფელ ბელიატოვის ახლოს 1086 წელს. მისი სიკვდილიდან ორსაუკუნეახვედრის მანძილზე ბაჩკოვის მონასტერი დამოუკიდებლად არსებობს.

1206 წელს მეფე კალიიანი იპყრობს როდოსს და ბაჩკოვის მონასტერი ბულგარეთის სახელმწიფოს საზღვრებში ექცევა. იგი კვლავ დამოუკიდებლად არსებობას განაგრძობს და ბერების ძიობა, რომელიც ძირითადად ქართველთაგან შედგებოდა, არ აღემატებოდა 50 კაცს, როგორც ეს ტიპიკონით იყო წესდებული.

1344 წლის შემდეგ, როცა როდოსის რაიონში საბოლოოდ დამკვიდრდა მეფე ივან ალექსანდრეს (1331-1371) ხელისუფლება, ბაჩკოვის მონასტერი ბულგარულ მოსახლეობაში დიდძალი შეწველვანი სასულიერო და განმანათლებლური მოძრაობის ცენტრი ხდება. ბულგარეთის მეფე გულუსხად ასაჩქურებს ხოლმე მონასტრებს და აფართოებს მათ. მისი გამოსახულება მთელი ტანის სიგრძეზე ჩნდება ეკლესია-აქლდამის (საძვალის — „სამარხოს“) ზედა სართლის კარიბჭეზე, ისეთსავე გამოსაჩენ ადგილზე, როგორზეც XIV საუკუნეში ხატველ მონასტრის პირველ ქტიტორებს გრიგოლ ბაკურიანსა და მის ძმას აბაზს. ივან ალექსანდრეს მეფობის დროს პირველად იცვლება ბერთა ძიობის შემადგენლობა და ეს ძიობა უკვე მხოლოდ ბულგარელთაგან შედგება. ამის მიუხედავად, მონასტერი სრულიად დამოუკიდებელი რჩება.

XIV საუკუნის დასასრულს, როცა ოსმალო თურქები ცეცხლით და მახვილით იპყრობენ ბულგარეთის მიწებს, ბაჩკოვის მონასტერში იგზავნება ბულგარეთის სახელმწიფოს პატრიარქი ექვთიმე ტირნოვოლი. იგი აქ განაგრძობს თავის ლიტურატურულ მოღვაწეობას, რომელიც ნა-

ყოფიერად, წარმატებით დაიწყო ბულგარეთის დედაქალაქ ტირნოვოში. ამას გვიმონებებს ცნობილი ბულგარელი ლიტურატორი კონსტანტინ კოსტენეჩკი. ის წერს: როცა მე XV საუკუნის დასაწყისში მონასტრის ვენეცი, ექვთიმე უკვე ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ აქ ყოფილან მისი მონაწილეები, ანდრია და ანდრონიკო, რომელთა სახელებიც იხსენიება მონასტრის აღძაპის წიგნში.

XV საუკუნის მეორე ნახევარში ან XVI საუკუნის დასაწყისში, როცა თურქეთის იმპერიაში ძლიერდება შეუნყარებლობა არამუსულმანური რელიგიისადმი, თურქები ახერხებენ მონასტრებს და იგი დიდენ ხნით უკაცრიელდება. ძველი ბაკურიანისეული მონასტრის კომპლექსიდან მხოლოდ ეკლესია-საძვალე გაუძლია დროის მსახვრალ ხელს და იგი ახლა ეულადაა ამაართული მითავარი სამონასტრო ნაგებობიდან (აღმოსავლეთით) ოთსასამდე მეტრით დაცილებულ ციცაბო ფერდობზე. იმ ეკლესია-საძვალეს მისი არქიტექტურული გვერდები და წყობა იმ დროის არქიტექტურის შესანიშნავ ძეგლად ხდია. ესაა ორსართულიანი ნაგებობა კარიბჭეებითურთ, ზედა სართული სამლოცველო — საფანჯრა საძვალეთურთ, ქვედა — თვით ეკლესია (მისი სიგრძეა 18 მ., სიგანე — 7 მ.). უაღრეს ინტერესს იწვევს ეკლესია — აღძვამის (საძვალის) არქიტექტურული გაფორმება. მისი საშხრეო ფასადის და ზეითეულიანი აფსიდის გაფორმების დინამიკა და მრავალსახეირი ჩუქურთმების მკაცრი რიტმი მიიღწევა ყრუ თაღოვანი ნიშების სიმრავლით. შარმონის შვერძებდა ქმნის შერეული წყობა ტუფისა და აგურისა, რომლებიც ერთმანეთს ჰორიზონტური თანამიმდევრობით ენაცვლებიან, მაგრამ ბაჩკოვის საძვალე ბიზანტიის ბატონობის ეპოქის ბულგარული კულტურის გამოჩრეული, განსაკუთრებული ძეგლი მისი მოხატულობის მეოხებითაა. უწინ მოხატული იყო ეკლესიის მთელი კედლები და კამარები, სამლოცველო-საფანჯრები და ორივე სართლის კარიბჭეები. დრომ და კაცთა დაუდევრობამ სახვითი ხელოვნების ეს შესანიშნავი ქმნილებები დიდად დაზიანა. საძვალის ქვედა სართულის სამლოცველოს კედლის მხატვრობა თითქმის მთლიანად მოიხსო. ნაწილობრივადაა გადარჩენილი კომპოზიცია „გედრება“, რომელიც კარგად იხილება ღვთისმშობლის სახე. ეს გამოსახულება მხოლოდვე მხოლოდ წმინდა ფორმებით როდი ზემოქმედება — იგი შინაგან სულიერ განცდილვად გადმოცემეს. სამლოცველოს დასავლეთ კედელზე, შესასვლელთან, შემორჩენილია კომპოზიცია „წინასწარმეტყველ ივხეილის გამოცხადება“. ამ თემაზე ერთ-ერთი პირველი კომპოზიცია იმ კომპოზიციითაგან, რომლებიც XI საუკუნის დასასრულის რელიგიური ფერწერისათვის იყო უმშინდო-

ბლივი. ქვედა სართულის კარიბჭის ოთხ-სავე კედელზე გამოსახული კომპოზიცია „განკითხვის დღე“. აქ ჩვენს სასულიერო ფერხერაში პირველად გვხვდება ზეცის გრაგნილი ფორმით გაშლის მოტივი. მოგვიანებით ეს მოტივი გულდასმით მუშავდება დრაგლის (1476) და ბობოშევის (1488) მონასტრებში. დასავლეთ კედელზეა ნაწილი კომპოზიციისა „განკითხვის დღე“ — ესაა „მკედრეთით აღდგომა“. მრავალი გამოსახულებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი, რომელსაც აქეთ-იქიდან ორი ანგელოზი უზის — ეს გამოსახულება სამლოცველოში შესასვლელის ზედა ნიშნია. ახალგაზრდა, ლამაზი, სიცოცხლით სავსე ქალის ეს გამოსახულება იმ დროის უმნიშვნელოვანესი ქმნილებაა.

საძვალის ზედა სართული — თვით ეკლესია ასევე მდიდრულადაა მოხატული, მაგრამ მოხატულობა აქ გაცილებით მეტადაა დაზიანებული. ღვთისმშობლის მონუმენტური გამოსახულების აფსიდურ კონქში მხოლოდ მთავარანგელოზების — მიქელისა და გაბრიელის დიდებული ფიგურებია გადარჩენილი და ისიც ნაწილობრივ. ეს გამოსახულებები დახვეწილია, ისინი საგულდაგულოდ შთამბეჭდავადაა შესრულებული. ეკლესია-საძვალის მრავალი გამოსახულებიდან ყურადღებას იპყრობს რთული კომპოზიცია „ეგზარისტია“. იგი შედგება ორი სცენისგან — „ღვინით ზიარება“ (მარცხენა კედელზე), „პური ზიარება“ (წარდმოთ კედელზე). მარცხენა კედელზე წარმოდგენილია სცენები „ქრისტეს მოქაშა“, „ნათლისღება“ და „ლაზარეს აღდგომა“. ცილი გრძელდება ჩრდილოეთ კედელზე: სადაც ნაწილობრივ შემორჩენილია სცენები — „იერუსალიმად შესვლა“, „გარდამოსხნა“ და წმიდანთა ცალკეული ფიგურები. შედარებით უკეთაა შემონახული კომპოზიცია „ღვთისმშობლის მიძინება“, რომელიც მთელ ეკლესია-საძვალეში ყველაზე დიდი და ყველაზე მრავალფიგურიანი კომპოზიციაა. იგი ღირსშესანიშნავია არა მარტო ფიგურების განლაგებით, არამედ თავისი უდრეტიველი ფსიქოლოგიური ატმოსფეროთიც. ზედა სართულის კარიბჭის გამოსახულებები ძალიანაა დაზიანებული კლიმატითა და ადამიანის ხელით. ისტორიული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია მეფე ივანე ალექსანდრეს პორტრეტი რომელიც გამოსახულია კარიბჭის ჩრდილოეთ კედლის ნიშში. ბაქოვოს საძვალის კედლის მხატვრობა წარმოშობით ქართულია, შთაგონებული, მაღალნიჭიანი მხატვრის იოანე ივეროპოლელის (XI) ხელოვნებაა. მას დღემდე არ დაუკარგავს მომხივებელიობა. შესაძებულ ფერთა მდიდარი გაბა ქმნის ფიგურებისა და სახეების მთლიანობას, ზუსტად უტყუარად გადმოგვებს მათ რთულ სულიერ სამყაროს. ეს ფრესკები XI საუკუნის კლასიკური ბიზანტიური რელიგიური ფერხერის საუკეთესო ნიმუშებია, რომლებშიც იშვიათი ძალთა ერწყმის, ესამება ერთმანეთს სახეთა პლასტიკური მოდელი-



ეკლესია-საძვალე

რება და მისტიკური ხილვები. მას შემდეგ, რაც ბაქოვოს მონასტერი თითქმის მთელი საუკუნე უკაცრიელი იყო, XVI საუკუნის დასასრულს იგი აღადგინეს. დაიწყო აღმშენებლობა. 1601 წელს ააგეს დიდი სამონასტრო სატრაპეზო, 1604 წელს კი ღვთისმშობლის მიძინების მთავარი ეკლესია. საკრებულო ტაძარი დიდი ჯვარულმბათიანი, ფართოკარბჭიანი ნაგებობაა (12X 22 მ). თავისი არქიტექტურული გავორმებით, სამშენებლო გეგმითა და მონუმენტურობით ესაა ერთდართი საკულტო ნაგებობა, რომელიც ჩვენი აიგო მტრის უღელქვეშ ყოფნის მთელი ხნის მანძილზე, ეიდრე ბულგარეთის ეროვნული აღორძინება არ დაიწყო. მისი გარე კედლები გლუვადაა მოპირკეთებული მარმარილოს ფილებით. სახურავის საინტერესო კონსტრუქციაში ყურადღებას იპყრობს გადაჯვარედინებული კამარები. უზარმაზარი რვაწახნაგოვანი ყელი, რომელსაც აწევს გუმბათი, თავისი მდიდარი პლასტიკური ელემენტებით მონასტრის საძვალის ფასადს მოგვგავონებს. ეკლესია მოიხატა 1643 წელს. იმდროინდელი კედლის მოხატულობა მხოლოდ კარიბჭეზეა შემორჩენილი. აქ ყველა გამოსახულებაზე დომინირებს ქრისტე პანტოკრატორის მონუმენტური გამოსახულება (თაღზე). ეს სამი ძალზე შთამბეჭდავია. მას ხაზგამკმობს, მკვეთრად გამოპკვეთს წმიდანთა, სერაფიმთა სახეების სამი წრე და მდიდრული ჩუქურთმები. კამარის დანარჩენ ნაწილსა და თაღებზე მოხატულია წმიდანთა ციორების მრავალი სცენა, წმიდანები მთელი ტანით. წმიდანთა, წინასწარმეტყველთა და მონაშენთა მედალონური გამოსახულებები. დასავლეთ კედელზეა კომპოზიცია „ღვთისმშობლის მიძინება“. ფეხზე მდგომი წმიდანის იარსული კარიბჭის ოთხივე კედელს გასდევს. საინტერესოა ორი ცარ-

გრაფილი დიდბულის—გიორგისა და მი-
სი ვაჟის — კონსტანტინეს კტიტორული
პორტრეტები. გიორგისა და კონსტანტი-
ნეს მდიდრული ბიზარული სამოსელი აც-
ვიათ. ისინი მთელი ტანით გამოუსახავთ
ტაძრის შესასვლელთან ფეხზე მდგარი
ხმინების იარსუში. განსაკუთრებით
მრავალფერადაა მოხატული ევანგელურ
პერსონაჟთა და წმიდანთა სამოსელი. 1643
წელს მოიხატა მოხატრის სატრაპეზო,
რომელსაც საცხოვრისი ნაგებობების სა-
მხრეთი ფრთის პირველი სართული ნაწი-
ლი უჭირავს. კედლის მხატვრობა აქ
გამოირჩევა ფართო თემბაკიეთი, სახეთა
და კოლორიტის სიმდიდრით. სატრაპეზოს
ცენტრალზე მოხატულია ანტიკური ხანის
მწერალთა და ფილოსოფოსთა, ერთვთა-
ებობის მომხრეთა სახეებით. აქ გამოხა-
ტული არიან არისტოტელე, არისტოფანე-
ლიკენი, სოკრატე, პიაროსი, კლეოქენი.
კედლების გასწვრივ გამოხატულია ძველი
და ახალი აღთქმების სცენები და სახეე-
ბი. აქვეა რამდენიმე სცენა ღვთისმშობ-
ლის აუთვისტოიდან. საეკლესიო კრება,
რაც იშვიათობა ჩვენი მხატვრობისათვის,
აქ სრულად, თანმიმდევრულად გამოუსა-
ხავთ. უცნობ მხატვარს ბაჩკოვს მონა-
სტრის სატრაპეზო მდიდრულ მხატვრულ
გალერეად გადაუქცევია. მთავარი ეკლე-
სიის გვერდით, მონასტრის ეზოს შუაგულ-
ში, აშაღლებულია მთავარანგელოზთა
ეკლესია. ივარაუდება, რომ ესაა მონასტ-
რის ეზოს უძველესი ეკლესია. თუისი სა-
მშენებლო გეგმით, სართო განლაგებითა
და არქიტექტურული გაფორმებით მთა-
ვარანგელოზთა ეკლესია გამოირჩევა საკ-
რებულო ეკლესიისგან. ექვს ვეება ქვის
სივტი ემყარება ნაგებობის ზედა სართულ-
სადაც არის მომცრო ერთნაიანი, გვარი-
სახა და ერთფსიდიანი ეკლესია. მის თავზე
დიდ, მრავალხანაგოვან, პლასტიკურად
გაფორმებულ ყელზე აზიდულია გუმბათი,
რომელიც მთელ ცენტრალურ ნაგებობას
ფარავს. ეკლესიის ქვედა ნაწილი გაფორ-
მებულია ღია თალოვანი კარიბჭის სახით,
რომელიც 1840 წ. მოხატა ჯაქარია ზოგრა-
ფმა.

XVIII საუკუნის დასაწყისში ბაჩკოვს
მონასტერი კვლავ დიდი სასულიერო და
ლიტერატურული ცენტრი ხდება. ფრანგი
მწერლის, პოლ ლიუვიეს ცნობით, — ლი-
უკასმა მონასტერი 1706 წელს მოინახუ-
ლა, — აქ უკვე ასზე მეტი ბერი იყო. მო-
ნასტერს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა,
რომელშიც დაუზღვებულ უამრავ ძველ ხე-
ლნაწერს ბერები სათუთად ინახავდნენ.
XIX საუკუნის შუახანისათვის მონასტერი
კიდევ უფრო მდიდრდება და ძლიერდება.
არსებული ორი მონასტერი ვინორ აღმო-
ჩნდა ასენოვგრადიდან და პლოდვიდან
დღესასწაულებზე ჩამოსული ხალხისათ-
ვის. მონასტრის სამხრეთ ეზოში შენდება
წმინდა ნიკოლოზის (1837) ახალი ეკლესია,
რომელიც 1840 წელს მოხატა ზაქარია ზო-
გრაფმა. აქ ყველაზე მეტად საინტერესოა
კომპოზიცია „განკითხვის დღე“, რომე-
ლიც გამოხატულია ეკლესიის მარჯვენა
კედელზე ღია კარიბჭის ქვეშ. კარიბჭის

ცენტრალურ გუმბათზე „ვედრება“ მასუ-
ბრივი სცენების გარეშე მოკვდება. განსაკუთ-
რებით საინტერესოა „განკითხვის დღის“
მარჯვენა ხანებიანი. ცოცხლთა შორის აქ
გამოსახული არიან პოლოდვიელი მდი-
დრების იმ დროისათვის ტიპურად ჩატვე-
ლი ცოლდები, იმის გამო, რომ ისინი პლო-
დვიში ბულგარული სკოლის გახსნის წი-
ნააღმდეგ გამოვიდნენ. ეს მოხატულობა
ლაპარაკობს ზაქარია ზოგრაფზე, როგორც
ეროვნული თვითშეგნებისა და მოქალაქე-
ობრივი პასუხისმგებლობის გრძნობით გა-
მსჭვალულ მხატვარზე. ზედა მარცხენა
კუთხეში ზაქარია გამოხატა თავისი,
იღუმენ მათესა და პროიდუმენ ანანიას
პორტრეტები.

1850 წელს მოსკო ოდრიჩანინი ძველი
შემჭვარტლული გამოსახულებების ადგი-
ლებს ახლად მოხატავს. მოგვიანებით, XIX
საუკუნის მეორე ნახევარში ასენოვგრაფე-
ლი მხატვარი ალექსი ათანასოვი მონასტ-
რის სატრაპეზოს ჩრდილოეთ კედელზე ხა-
ტავს უძველეს კომპოზიციას — ყველაზე
დიდს ბულგარეთში, რომელიც საინტერე-
სოა არა მარტო შემოქმედებითი ჩანაფი-
რით, არამედ მხატვრული შესრულები-
თაც. ესაა ტრადიციული სვლა მორწმუნე-
ებისა — მოსაყვებენ წმინდა ღვთისმშო-
ბლის ძველ სატაძრო ხატს. კომპოზიცია-
ში მორწმუნეთა ჯგუფი — კაცები და ქა-
ლები — გამოსახულია იმ დროისათვის
ტიპიური სამოსლით. კომპოზიციის მო-
ედვად — კომპოზიცია ეკ ფანრული თე-
რათია — გამოყენებულია შტაპების ჩა-
მოსახმელი 1807 წლის სპილენძის გრაფიუ-
რა, რომელზეც სოფელი ბაჩკოვი და მისი
თვალწარმტაცი მიდამოებია ასახული, სა-
ცხოვრისი სამონასტრო ნაგებობები გამოი-
რჩევა აღორძინების ვიკის სულისკვეთე-
ბით. ნაგებობები ორ და სამსართულია-
ნია, ისინი გამშვენებულია უამრავი სვე-
ტით, განიერი ხის ვერანდებით, რომელ-
ბიც მონასტრის ეზოს ყოველი მხრიდან
რკალავენ.

ბაჩკოვს მონასტრის ისტორიასთან
დაკავშირებული საინტერესო რელიქვიე-
ბი დაცულია მუზეუმის ფონდებში. აქ
ინახება XVII საუკუნის ორი მოხახუნე-
ბელი — პანტოპოტი, XVII-XVIII საუკუ-
ნეებში მდიდრულ ყდებში ჩასმული ძველ-
ნაბჭქდი სახარებები, 1807 წლის ზემოთ-
სხენებული, შტაპების ჩამოსახმელად
სახმარი სპილენძის გრაფიურა, XVI-XVIII
საუკუნეების ხატები. მოოქროვილი დისკო,
რომელიც 1647 წელს შექმნა და ძვირფასი
თვლებითა და მინარეთი გაამშვენიერა
ჩიპროველმა ოსტატმა პეტრემ, ნაირგვა-
რი ჯვარი და სხვ. სამონასტრო კომპლექ-
სის ცალკეულ ეკლესიებში ინახება უამ-
რავი ძველებული ხატი, რომლებიც ბულ-
გარული ხატწერითი ხელოვნების ძვირ-
ფას ნიმუშებს წარმოადგენენ. განსაკუთრე-
ბით საინტერესოა სატაძრო ხატი „ღვთის-
მშობელი“, სულთხლად ვერცხლით მოჭე-
დილი, რომელზეც ამოტვირფულია 1310
წლით დათარიღებული ღირსსახსოვარი
საძღვრო წარწერა ქართულ ენაზე.

დიონისეს კელიზია და კრისვმი

1972 წ. მოსკოვში გამოვიდა თეოხაროს კესიდის წიგნი „მიოთიდან ლოგოსამდე“, სადაც დეტალურად არის განხილული ძველ საბერძნეთში მიოთიდან და რელიგიიდან ფილოსოფიის გამოყოფა და დადგინება. თეოხაროს კესიდი ჩვენს რესპუბლიკის მკვიდრია. ვაქვეყნებთ ამ წიგნის მესხეთე თავს მცირე შემოკლებით.

თეოხაროს კესიდი

ორფიკაული პითაგორიზმი და დიონისეს რელიზმი; პითაგორა ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელმწიფო-პოლი მოაზროვნეა ფილოსოფიისა და მეცნიერების ისტორიაში, და საერთოდ, იდეათა ისტორიაში. მის სახელთან არის დაკავშირებული მათემატიკის სფეროში მნიშვნელოვანი აღმოჩენები და ასევე დიდი მნიშვნელობის თეოლოგიური მიმდინარეობა, რომელმაც პირველად სცადა და სულის უკვდავებაზე რელიგიური მოძღვრების ფილოსოფიურ-მათემატიკური, ე. ი. რაციონალისტური დასაბუთება.

თუმცა რელიგიური მისტიკისა და მათემატიკური რაციონალიზმის ასეთი შერწყმა „უკანონოდ“ და უცნაურდაც კი გვეჩვენება, მაგრამ ეს ფაქტია. მეტიც შეიძლება ითქვას, მეცნიერებისა და რელიგიის სწორედ ეს შერწყმა გვიცნაურებს პითაგორიზმის დიდ გავლენას როგორც ძველ დროსა და შუა საუკუნეებში, ასევე შემდგომი ხანებიდან ჩვენს დღევამდე (იგულისხმება ახალი დროის რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრებანი და კათოლიკური ელფერის მქონე „რაციონალისტური“ ლეთისმეტყველება). ძველ დროსა და ისტორიის შემდგომ პერიოდებში პითაგორიზმის დიდ გავლენას აღიარებენ არამც თუ ლეთისმეტყველნი არამედ ის ფილოსოფოსებიც და სწავლელებიც, რომლებიც უარყოფენ პითაგორულ და საერთოდ ყოველგვარი სხვა სარწმუნოებისა და თეოლოგიის კუმარიტებას. უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, ბ. რასელი, რომლის თანახმადაც „მხოლოდ ბოლო ხანებში გახდა ჩვენთვის ცხადი, თუ რაში ცდებოდა პითაგორა“.

ბ. რასელი პითაგორასა და მისი მიმდევრების ცდომილებათა წყაროს წმინდა მათემატიკის იდეალური ობიექტიდან გამომდინარე არასწორი დასკვნების შესაძლებლობებში ხედავს. წმინდა მათემატიკის ეს ზედროული

და მარადიული იდეალების ობიექტი შეიძლება და განმარტებულიყო როგორც ლეთის აზრები და დაპირისპირებული ყოფილიყო გრძობაზე აღქმის მატერიალურ ობიექტებისადმი... მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ არის სწორი. რადგან მათემატიკური პრობლემები ანტერესებდათ არა მარტო პითაგორასა და მის მიმდევრებს, არამედ თაღესიდან მოყოლებული თითქმის ყველა ბერძენ ფილოსოფოსს. მხოლოდ ეფესელი ჰერაკლიტე იყო გამოხაყისი, მაგრამ მის მხატვრულ შედარებებშიც შეიძლება დაიძებნოს გეომეტრიული პროპორციების მსგავსი რამ. ძალიან ბევრს ფიქრობდა მათემატიკურ პრობლემებზე დემოკრიტეც, თუმცა მისთვის უცხოა რელიგიური მოძღვრებისა და მათემატიკის პითაგორასებური შერწყმა. ცხადია, რომ პითაგორიზმის ფესვები მათემატიკის საზღვრებს გარეთ, საზოგადოებრივი ცხოვრების, სოციალური წყობილებისა და იდეურ მიმდინარეობათა სფეროში უნდა ვეძებოთ...

ჩვენს VII-VI საუკუნეების საბერძნეთში საჩინოვდება მნიშვნელოვანი იდეური მიმდინარეობა, რომელიც ბევრი ასპექტით უპირისპირდებოდა მილეთური (და საერთოდ იონიური) ნატურფილოსოფიის მეცნიერულ ტრადიციებს. ხსენებული მიმდინარეობა ერთი მხრივ, ლეგენდარული ორფოსის სახელთან არის დაკავშირებული, რომელმაც დიონისეს კელტის რეფორმა მოახდინა, ხოლო მეორე მხრივ, პითაგორას სახელთან, რომელმაც კროტონში რელიგიურ-პოლიტიკურად გააერთიანა ორფიკული სექტები და ორფიზმს ფილოსოფიურ-თეოლოგიური მოძღვრების ხასიათი მისცა.

დიონისეს რელიგია (განსაკუთრებით მისი ორფიკული ინტერპრეტაცია) ოლიმპური რელიგიისაგან იმით

განსხვავდება, რომ თუ უქანასკნელში ღმერთთა და კაცთა შორის დასაბამიდანვე არ არსებობს თანასწარობა (ღმერთები უკვდავი არიან, ხოლო კაცნი მოკვდავი), პირველში ღმერთთა და კაცთა შორის დასაბამიდანვე მჭიდრო კავშირი იგულისხმება. ოლიმპიური რელიგიის დღესასწაულთა მიზანია საყდრის მიუზღონ ღმერთების ისეთი სიხალისეობა, რომელთა ნებასტყობილება დამოკიდებული მოკვდავთა ბედზე; დიონისური რელიგიის დღესასწაულთა მიზანია კი ის არის, რომ თავად ეზიარო ღვთავას ან კონტაქტი მიიღწე დაამყარო მასთან (რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გაიგვით, თითქოს ოლიმპიურ რელიგიაში კაცის ღმერთთან კავშირი გამორიცხვლია)...

